ლელო
გამოცემის 75-ე წელიწადი
№059 (12738) 13 მარტი პარასკევი 2009 ფასი 50 თეთრი



## სად არის გამოსავალი?

იტალია ევროფიასკომ ჩააფიქრა » 8

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ისევ ქეცბაია და ნიუკასლი



ქეცბაიას ნიუკასლში მუშაობის ამბიცია აქვს

კვიპროსზე საქართველოს რეალურად აფასებენ

» 4



## კუპერისა და ცხადაძის ერთობლივი სამშაბათი?

» 3





## ღვინო, ცეკვა და კალათბურთი

ინტერვიუ მანუჩარ მარკოიშვილთან » 12



### ადამიამ ბაქი ნახევარფინალში გაიყვანა

» 5 ლეგიონერები



### ქევხიშვილი სეზონის საუკეთესო მძლეოსანია

» 11 აღიარება



### რუმინეთამდე კიდევ ორი დაგვაკლდა

» 11 რაგბი. ერთა თასი

ეროვნული
ბიბლიოთეკა



საქართველოს XX ჩემპიონატი
უმაღლესი ლიგა
XXIII ტურის მიმოხილვა

# ბომბარდირთა დაბრუნება

| 10 მარტი, სამშაბათი | |
|---|---|
| გაგრა-დინამო | 0:1 |
| ბორჯომი-ვიტ ჯორჯია | 0:3 |
| **11 მარტი, ოთხშაბათი** | |
| ოლიმპი-ზესტაფონი | 1:0 |
| მგლები-სიონი | 2:0 |
| ლოკომოტივი-მესხეთი | 0:0 |

*სპარტაკი ისვენებდა*

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ვიტ ჯორჯია | 21 | 14 | 6 | 1 | 37-12 | 48 |
| 2. დინამო | 21 | 15 | 2 | 4 | 46-15 | 47 |
| 3. ზესტაფონი | 21 | 12 | 3 | 6 | 26-15 | 39 |
| 4. ოლიმპი | 21 | 10 | 9 | 2 | 24-11 | 39 |
| 5. სიონი | 21 | 7 | 8 | 6 | 22-19 | 29 |
| 6. ლოკომოტივი | 21 | 8 | 4 | 9 | 24-21 | 28 |
| 7. მესხეთი | 21 | 5 | 9 | 8 | 15-25 | 23 |
| 8. მგლები | 21 | 6 | 4 | 11 | 19-27 | 22 |
| 9. გაგრა | 21 | 4 | 4 | 13 | 14-35 | 16 |
| 10. სპარტაკი | 20 | 3 | 4 | 13 | 18-35 | 13 |
| 11. ბორჯომი | 21 | 2 | 6 | 13 | 16-46 | 12 |

| ბომბარდირები | |
|---|---|
| მერებაშვილი (დინამო) | 13 |
| გელაშვილი (ზესტაფონი) | 11 |
| სპასოევიჩი (დინამო) | 9 |
| ვაწაძე (დინამო) | 9 |
| კვარაცხელია (ვიტ ჯორჯია) | 9 |
| სამადაშვილი (მესხეთი) | 8 |

... რამდენად გაუძლებენ ჩვენი ფეხბურთელები ჩემპიონატის მარათონულ ტემპს, ძნელი სათქმელია. მით უმეტეს, ჩვენს გავერანებულ მოედნებზე ხომ, რასაც ხარისხიანი ფეხბურთის ჩვენება ჰქვია, ძნელი კი არა, შეუძლებელიც გახლავთ. მერე, ეს კალენდარიც ისე არის შედგენილი, რომ ფეხბურთელებს ამოსუნთქვის საშუალებაც არა აქვთ — აი, ახლაც, მონაწილე გუნდებს რვა დღეში სამ-სამი მატჩის ჩატარება მოუწევთ. არადა, თერთმეტიდან სამ-ოთხ გუნდს თუ აქვს იმის ფუფუნება, რომ ძირითად შემადგენლობაში მეტ-ნაკლები როტაციით სასურველ შედეგს მიაღწიოს. თუმცა, ასეა თუ ისე, ჩემპიონატი გრძელდება და განვლილი ტურით, ჩემპიონატის დასკვნითი, მესამე წრე დაიწყო. როგორც უკვე დავეჩვიეთ, ტური ორ დღედ იყო გაყოფილი და პირველმა უხმაუროდ და ლოგიკურად ჩაიარა. მით უმეტეს, რომ ჩემპიონობისათვის მებრძოლი ორივე გუნდი („ვიტ ჯორჯია“ და „დინამო“) ნამდვილად არ აპირებს დაუგეგმავი ქულების დაკარგვას. თანაც, ორივე ფავორიტს მარტში აშკარად იოლი თამაშები აქვს. რასაც ნამდვილად ვერ ვიტყვით აპრილის თვეზე. ჰოდა, რამაზ მუმლაძისა და რაინერ ცობელის გუნდებიც ისევ „წყვილად“ მიიწევენ წინ და ერთობ დამაინტრიგებელ გაზაფხულსაც გვპირდებიან. განვლილ ტურში ორივე ლიდერს გასვლითი მატჩები ჰქონდა; ორივემ გაიმარჯვა და, ერთი შეხედვით, არც იყო მოულოდნელი: მეტოქეებად ხომ სატურნირო ცხრილის აუტსაიდერები ჰყავდათ. თუმცა, დაგეგმილი სამ-სამი ქულა „ვიტ ჯორჯიამ“ და „დინამომ“ სხვადასხვაგვარად მოიპოვეს: ჩემპიონატის ერთპიროვნულმა ლიდერმა ბორჯომში უპრობლემოდ გაიმარჯვა, „დინამოს“ კი „გაგრასთან“ საკმაოდ გაუჭირდა. ისე, „ბორჯომის“ პრობლემებზე ლაპარაკით, ალბათ, ყველა დაიღალა; ეგ კი არა, ჩემპიონატის დარჩენილ მატჩებში ამ გუნდმა რომ ერთი კინკილა ქულა მოიპოვოს, ის უნდა გაგვიკვირდეს!..

„ვეტერინარებმა“ დაუძლურებულ მეტოქეს სამი უპასუხო გოლი გაუტანეს და სასიამოვნოა აღინიშნოს, რომ კვლავაც გამოიჩინა თავი **ჯაბა ლიპარტიამ**. ამას გარდა, ისიც უნდა აღვნიშნოთ, მეორე ეტაპზე პირველი გოლი გაიტანა „ვიტ ჯორჯიას“ საუკეთესო ბომბარდირმა **ვახტანგ კვარაცხელიამ**.

ასევე ხანგრძლივი შესვენების მერე გაიტანა გოლი **მათე ვაწაძემ** — „დინამოსა“ და საერთოდ, ჩემპიონატის ერთ-ერთი გამორჩეული ფორვარდი ნელ-ნელა უახლოვდება ოპტიმალურ სპორტულ ფორმას. იმის მიუხედავად, რომ ეს შეხვედრა „გაგრას“ ახალგაზრდული გუნდისთვისაც ბევრს ნიშნავდა, „დინამომ“ მასპინძლები პირველ ტაიმში, ფაქტობრივად, უშანსოდ დატოვა. წესით, საქმე პირველ 45 წუთშივე უნდა დასრულებულიყო, მაგრამ ხან დინამოელთა შემტევები სცოდავდნენ დამაგვირგვინებელ ფაზაში, ხან კი „გაგრას“ მეკარე **რევაზ თევდორაძე** ყოჩაღობდა. აი, მეორე ტაიმში კი სურათი რადიკალურად შეიცვალა: „დინამოს“ ერთბურთიანი უპირატესობის შენარჩუნება ძალიან გაუჭირდა და მეტოქედ უფრო გამოცდილი გუნდი რომ ჰყოლოდა, „უდროო დროს“, შესაძლოა, ძვირფასი ქულებიც დაეკარგა. სხვათა შორის, მატჩის დასრულების მერე რაინერ ცობელმა მეტოქეს კომპლიმენტებიც უძღვნა — ამ გუნდთან თამაში მუდამ გვიჭირსო...

ტურის ცენტრალური მატჩი კი რუსთავში ჩატარდა, სადაც „ოლიმპმა“ დამსახურებულად მოუგო „ზესტაფონს“ და უშუალო კონკურენტს ქულებით გაუთანაბრდა. ამასაც თავი რომ გავანებოთ, **ვარლამ კილასონიას** ხელმძღვანელობით „ოლიმპს“ უკვე 18-მატჩიანი წაუგებელი სერია აქვს! ამ შეხვედრის შესახებ გუშინაც ვრცლად ვისაუბრეთ და ისიც აღვნიშნეთ, რომ მატჩის მნიშვნელობიდან გამომდინარე, დაძაბულობის ხარისხი მაღალი იყო. საბედნიეროდ, ჩემპიონატის ორი გამორჩეული გუნდის დაპირისპირებამ უექსცესოდ ჩაიარა და მეტოქეთა მწვრთნელ-ფეხბურთელებთან ერთად ყოველივე ეს, ალბათ, მთავარი არბიტრის **გიორგი ვადაჭკორიას** დამსახურებაც გახლდათ. „ოლიმპმა“ აქცენტი სწრაფ გოლზე აიღო და ამ ჩანაფიქრმაც გაამართლა: შეტევაში წასულმა **ერნესტ აკუასაგამ** ზუსტი დარტყმით, ამ შეხვედრის პირველი და, როგორც მერე აღმოჩნდა, უკანასკნელი გოლი გაიტანა. აკუასაგამ, მართლაც, შთამბეჭდავი მატჩი ჩაატარა — საკუთარ ფლანგზეც არ გაახარა სტუმართა გარემარბები და იერიშებსაც ხშირად იწყებდა. არანაკლებ სასარგებლოდ გაისარჯა „ოლიმპის“ მეორე განაპირა მცველიც: **თეიმურაზ ლონლაძემ** მოულლელ **გიორგი სეთურიძესთან** ერთად მარჯვენა ფლანგი ჩინებულად აკონტროლა; ასევე ქების სიტყვებით უნდა მოვიხსენიოთ მასპინძელთა ცენტრალური ნახევარმცველები **დენის დობროვოლსკი** და **შოთა ბაბუნაშვილი**, რომელთა უნარიანმა ქმედებებმა მნიშვნელოვნად შეუწყეს ხელი „ოლიმპის“ გამარჯვებას. ცალკე საუბრის თემაა **გიორგი მეგრელაძე** — მეოცე ჩემპიონატის ერთ-ერთი გამორჩეული ფორვარდი სანამ მოედანზე იყო, სტუმართა მცველებს ამოსუნთქვის საშუალებას არ აძლევდა. არანაკლებ საინტერესო აღმოჩნდა ორი ახალგაზრდა და, ამასთან, წარმატებული მწვრთნელის ტაქტიკური „დუელიც“: **გია გეგუჩაძემ** საკუთარი გუნდის გამოსაფხიზლებლად რა ხერხს აღარ მიმართა და შეცვლებითაც შეეცადა სიტუაციის გამოსწორებას. თუმცა მისი კოლეგა ვარლამ კილასონია მაშინვე საპასუხო სვლას ამზადებდა: **თენგიზ ჩიკვილაძის** მოედნის ცენტრში შემოყვანაც გამართლებული ნაბიჯი გახლდათ და **გოგა ფიფიას** სულ წინა ხაზზე გამწესებაც. მოკლედ, ორი ღირსეული გუნდის ასევე ღირსეული მწვრთნელების დაპირისპირება ვიხილეთ. ოღონდ, რა თქმა უნდა, მატჩის დასრულების მერე, გეგუჩაძეც და კილასონიაც აშკარად საპირისპირო განწყობილებაზე იყვნენ, ისევე, როგორც ადგილობრივი და ზესტაფონელი ქომაგები: ნამდვილად არ არის ჩვეულებრივი ფაქტი, რომ რუსთავში მატჩს 1000-ზე მეტი გულშემატკივარი დაესწრო. ეგ კი არა, პრესლოჟაში ათამდე ჟურნალისტიც ვიჯექით! თუმცა უფრო „მასშტაბურ“ და საპატიო ადგილზე არანაკლებ საპატიო ხალხს ფეხზე დგომამაც მოუწია. ჰო, ეგრეთ წოდებულ ვიპ-ლოჟაზე მოგახსენებთ, სადაც ახლო წარსულის ცნობილ ფეხბურთელებთან ერთად ქართული პოლიტიკის ზოგიერთი ლიდერიც იმყოფებოდა; ქალაქის თუ სამხარეო ადმინისტრაციის ხელმძღვანელები, პარლამენტის წევრები — მოკლედ, პოლიტ-ელიტა პლუს რუსთაველი კლუბის ზომაზე მეტად ემოციური ხელმძღვანელებიც. ისე, ამ უკანასკნელთ, კონკრეტულად კი **ზურაბ ჯაფარიძეს** ვერც ვერავინ გაამტყუნებს — საკუთარ გუნდს ხან ომახიანი შეძახილებით რომ ამხნევებდა, ხან კი არანაკლებად ხმაურიანი განცდებით ფეხბურთელებს სიმშვიდისკენ მოუწოდებდა. აი, პრეს-ლოჟის ნომერ პირველ ფიგურას (ნომენკლატურად) კი აშკარად მეტი კორექტულობა მოეთხოვებოდა. გასაგებია, რომ იმ ახალგაზრდა კაცს სპორტი და კონკრეტულად ფეხბურთი უყვარს (დაუნახავები არა ვართ — ქვემო ქართლში ამ მხრივ ბევრი სასიკეთო საქმე გაკეთდა); ისიც კარგად ვიცით, რომ სტადიონი... ოპერისა და ბალეტის შენობა არ არის და აქ ემოციებს ვერავინ შეგიზღუდავს; თუმცა, როცა კაცი საჯარო პირია (თან - გუბერნატორი), მეტოქე გუნდის (ხან - საკუთარის!) ფეხბურთელთა გაუთავებელი ქილიკი (თანაც - ხმამაღლა), რბილად რომ ვთქვათ, ულამაზოა და ამ წარმატებულ პოლიტიკოსს არც შეჰფერის!..

ახლა კი ალბათ დროა, ისევ ოცდამესამე ტურს დავუბრუნდეთ და „მგლებს“ მეორე ეტაპზე მოპოვებული პირველი გამარჯვება მივულოცოთ. ჰო, როგორც იქნა, **ბესიკ შეროზიას** გუნდმა ნავსი გატეხა და სამი ქულის მოპოვებასთან ერთად უახლოესი მდევარი „გაგრაც“ საგრძნობლად უკან ჩამოიტოვა. შეგახსენებთ, რომ „სიონისა“ და „მგლების“ მეორე წრის ბოლნისური მატჩი სერიოზული სკანდალით დასრულდა. ამას „გაგრძელება“ საკონტროლო შეხვედრაშიც მოჰყვა (ოღონდ, ეს ფაქტი არ გახმაურებულა). მოკლედ, ნერვიული ფონი ამ გუნდების დაპირისპირებამდეც არსებობდა და ასეც მოხდა: შეხვედრის დაწყების წინ „სიონის“ მთავარ მწვრთნელს **ოთარ კორღალიძესა** და ადგილობრივ ქომაგებს შორის შეკამათება მოჰყვა, რაც სიტყვიერ შეურაცხყოფაში გადაიზარდა. ვერ გეტყვით, მთლად ამის თუ სხვა რამის გამო იყო, მაგრამ ფაქტია, რომ შეხვედრამაც უაღრესად ნერვიულად ჩაიარა. ფეხბურთელებმაც მოედანზე ხისტი თამაში გააჩაღეს და შედეგად რვა გაფრთხილებაც ვიხილეთ! სხვათა შორის, კვარაცხელიასა და ვაწაძის მსგავსად, გარკვეული პაუზის მერე კვლავ გაიხსენა გოლის გემო „მგლების“ საუკეთესო ბომბარდირმა **გია თოდუამ**. მეორე და გადამწყვეტი გოლი კი ზუგდიდური კლუბის ახალწვეულმა **როინ ონიანმა** გაიტანა. სხვათა შორის, მეოცე ჩემპიონატის ერთ-ერთი ყველაზე გამოცდილი ფეხბურთელი „მგლებში“ ამ ზამთარს გადავიდა და უკვე მეორე გოლი გაიტანა ახალი გუნდის შემადგენლობაში. ახალწვეულები ვახსენეთ და „მგლების“ ბოლო შენაძენზეც უნდა ვთქვათ: „სიონთან“ მატჩში ზუგდიდური კლუბის ღირსება პირველად დაიცვა „ვიტ ჯორჯიას“ ყოფილმა კაპიტანმა **პაატა დათუნაიშვილმა**.

რაც შეეხება ტურის ბოლო შეხვედრას „ლოკომოტივისა“ და „მესხეთის“ მონაწილეობით, ამ შემთხვევაში ანგარიში სტუმრების სასარგებლოდ უნდა მივიჩნიოთ. არავინ იცის, თბილისში მოპოვებული ეს ერთი ქულა სეზონის მიწურულს **კობა თედიაშვილის** გუნდს როგორ წაადგება.

**გია ტუხაშვილი**

XXIII ტურის სიმბოლური ნაკრები

მწვრთნელი: ვარლამ კილასონია (4) (ოლიმპი)

სომხიშვილი (2) (მგლები)
მაჭავარიანი (2) (ოლიმპი)
რ. ონიანი (4) (მგლები)
თ. ლონლაძე (2) (ოლიმპი)
აკუასაგა (4) (ოლიმპი)
კახელიშვილი (4) (ლოკომოტივი)
ბაბუნაშვილი (4) (ოლიმპი)
გ. თოდუა (4) (მგლები)
ლიპარტია (5) (ვიტ ჯორჯია)
ვაწაძე (6) (დინამო)
მეგრელაძე (4) (ოლიმპი)



ოლიმპი-ზესტაფონი 1:0

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე
მთავარი რედაქტორის მოადგილე პაატა გელაშვილი; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი მიხეილ ჯაში; ფოტო: ალექსანდრე კოტორაშვილი.
1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. ლელოს მთავარი რედაქტორები: მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).
თქვენს ხელთაა უძველესი და მდიდარი ტრადიციის გაზეთი. გსურთ "ლელო" უფრო უკეთესი? მოგვწერეთ რა მოგწონთ, რა არ მოგწონთ, რას ისურვებდით... ელექტრონული ფოსტა lelo@palitra.ge
მისამართი: იოსებიძის, 49. ტელეფონები: 42 32 73, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 32 38 08 63; ელფოსტა: leloltd@gmail.com; ინდექსი 66435 INDEX. რეკლამა: 37 78 07
დამფუძნებელი და გამომცემელი შპს გამომცემლობა ლელო
გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტურის მწვრთნელი — ვარლამ კილასონია

# ასეთ მოედნებზე სწრაფად ვერ ვითამაშებთ



**რუსთავის „ოლიმპმა“ სატურნირო ცხრილის მეზობელ „ზესტაფონს“ შინ 1:0 მოუგო და შეიძლება ითქვას, უეფას თასისთვის მებრძოლმა გუნდმა სამის ნაცვლად 6 ქულა მოიპოვა. რეალურად, სწორედ ასე შეფასდება „ოლიმპის“ გამარჯვება და „ზესტაფონის“ მარცხი - ისინი ხომ უშუალო კონკურენტები არიან და ასეთ დროს ქულები მეტისმეტად ძვირად ფასობს.**

**ეს იყო ცენტრალური შეხვედრა და სწორედ მატჩის მნიშვნელობიდან გამომდინარე, „ლელომ“ ტურის მწვრთნელად „ოლიმპის“ დამრიგებელი ვარლამ კილასონია დაასახელა, სხვათა შორის, უკვე მეოთხედ...**

**- ბატონო ვარლამ, უშუალო კონკურენტთან მოიგეთ, „ლელომ“ კი ამ სეზონში მეოთხედ დაგასახელათ საუკეთესო მწვრთნელად. ვგონებთ, ურიგო შედეგი არ უნდა იყოს. თავად თუ ხართ კმაყოფილი?**

- კმაყოფილი ვარ, რადგან შეგნებულ ხალხთან მიწევს მუშაობა. ამას ვამბობ გუნდის თითოეულ წევრზე, თუნდაც „ზესტაფონთან“ განხორციელებულმა შეცვლებმა დაამტკიცა ეს ფაქტი. ბუნებრივია, ყველას ძირითადში, პირველივე წუთებიდან სურს თამაში, მაგრამ ჩვენთან არავის წყინს, თუკი ამა თუ იმ მატჩზე სასტარტოში ვერ მოხვდება. აი, ასეთ მეგობრულ გუნდში ვმუშაობ. თითოეული ფეხბურთელი მთელი გულით და ხალისით ვარჯიშობს. საქმისადმი ამგვარი დამოკიდებულება შედეგებსაც ეტყობა.

**- განსაკუთრებით მეორე ტაიმში გამოჩნდა თქვენი და გია გეგუჩაძის ტაქტიკური ბრძოლა. 56-ე წუთიდან მოყოლებული, ერთმანეთის შეცვლებზე რეაგირებდით...**

- ბუნებრივია, თამაშიდან გამომდინარე, გია გეგუჩაძე ტაქტიკური გადაადგილებებით ცდილობდა შეტევის გაძლიერებას, ჩვენ კი საპასუხო სვლები გავაკეთეთ. მიხარია, რომ საბოლოო ჯამში დამსახურებულად გავიმარჯვეთ.

**- სიმართლე გითხრათ, რუსთავის ძალზე გაფუჭებულ მოედანზე თქვენი გამარჯვება ნაკლებად სავარაუდო ჩანდა, რადგან შემტევ გუნდებს უხარისხო მოედანზე სწრაფი იერიშების განხორციელება უჭირთ...**

- მოედანი მართლაც ძალიან გაფუჭდა, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ ვვარჯიშობთ არა მთავარ მოედანზე, არამედ მის გვერდით მდებარე არასტანდარტულ ხელოვნურ საფარზე. ეტყობა, ჯერაც შემორჩენილი სუსხი მოედნის მდგომარეობაზე გავლენას ახდენს. მესმის, რომ უხარისხო გაზონზე მართლა ძნელია სწრაფად თამაში, მაგრამ ჩვენ ფრე არ გვაძლევდა ხელს და სხვა რა გზა გვქონდა? - უნდა შეგვეტია და მეტოქისთვის მაღალი ტემპიც შეგვეთავაზებინა. გეგუჩაძის „ზესტაფონიც“ არ არის ის გუნდი, დაცვაში რომ ჩაჯდება და მხოლოდ კონტრშეტევების იმედად იქნება. ბუნებრივია, ამანაც გარკვეულწილად ხელი შეგვიწყო ჩვენი მიზნის განხორციელებაში. საერთოდ კი უხარისხო მოედნები მართლაც სერიოზული პრობლემაა. როგორც გითხარით, ხელოვნურ საფარზე ვვარჯიშობთ. ამის შემდეგ უხარისხო მოედანზე ბურთის ერთი შეხებით გაგორება და სწრაფი თამაში წარმოუდგენელია. საერთო ჯამში, ეს ჩვენი ფეხბურთის დონეზე უარყოფით გავლენას ახდენს.

**- თქვენი აზრით, დარჩენილი შეხვედრების განრიგი მესამე ადგილზე გასვლის მეტ შანსს „ოლიმპს“ აძლევს თუ „ზესტაფონს“?**

- ვფიქრობთ, თანაბარ მდგომარეობაში ვართ. თუმცა „ზესტაფონს“ ძალზე რთული მატჩები ელის „ვიტ ჯორჯიასთან“, „დინამოსა“ და „სიონთან“.

**- რატომ ვერ მოახერხეთ ზაქარია ბეგლარიშვილის დამატება?**

- ბეგლარიშვილი ძალიან მომწონს და მისი აყვანაც მინდოდა, მაგრამ აღმოჩნდა, რომ პირველ აპრილს კვლავ ჰოლანდიაში უნდა გამგზავრებულიყო. შესაბამისად, კლუბის ხელმძღვანელობამ მხოლოდ 3 თამაშით მისი დამატება საჭიროდ არ ჩათვალა. რაღაც საკითხზეც ვერ მოილაპარაკეს...

**- გაბონელი ერნესტ აკუასაგას დიდი შესაძლებლობები „ზესტაფონთან“ გამოჩნდა. თუმცა ის თითქოს ყოველთვის მონდომებული არ არის...**

- აკუასაგამ „დინამოსთანაც“ კარგად ითამაშა, თუმცა რამდენიმე შეხვედრაში ვერ დატოვა სასურველი შთაბეჭდილება და სათადარიგოებში გადავიყვანეთ. ეტყობა, ამიტომაც იყო „ზესტაფონთან“ მეტისმეტად მონდომებული. მან ყველა მატჩში უნდა დაამტკიცოს, რომ ძირითადში თამაშს იმსახურებს.

**- სეზონის დასრულების შემდეგაც დარჩება „ოლიმპში“?**

- კონტრაქტი ერთ წელიწადში უმთავრდება, თუმცა კლუბის ხელმძღვანელობა მოთამაშეების დაბრკოლებას არ აპირებს. აკუასაგა ზაფხულში ლვოვის „კარპატიში“ ისინჯებოდა, მაგრამ ბოლოს ჩვენთან მოვიდა. ასე რომ, თუ საინტერესო წინადადება ექნება, ხელს არ შევუშლით. თუმცა ვადასტურებ, რომ ის ჩვენთვის სასურველი ფეხბურთელია.

**- პირადად თქვენ რამდენწლიანი კონტრაქტი გაქვთ კლუბთან?**

- დეკემბრის ბოლომდე მქონდა და მერე მაისამდე გამიხანგრძლივეს. მეტზე ჯერ არ გვილაპარაკია.

**მერაბ მამულაშვილი**

## პირველი ლიგა

### აღმოსავლეთი

**11 მარტი**

| | |
|---|---|
| თბილისი-გაგრა 2 | 1:0 |

**12 მარტი**

| | |
|---|---|
| ვიტ ჯორჯია 2-კახეთი | 2:0 |
| ჰერეთი-დილა | 1:1 |
| ჩიხურა-დინამო 2 | 1:1 |
| ნ/დინამო-სიონი 2 | 2:0 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ჩიხურა | 19 | 13 | 3 | 3 | 38-13 | 42 |
| 2. ამერი | 18 | 12 | 4 | 2 | 30-7 | 39 |
| 3. ვიტ ჯორჯია | 18 | 11 | 5 | 2 | 29-6 | 38 |
| 4. დინამო 2 | 18 | 6 | 7 | 2 | 27-13 | 34 |
| 5. დილა | 18 | 7 | 6 | 5 | 24-15 | 27 |
| 6. თბილისი | 18 | 6 | 3 | 9 | 26-27 | 21 |
| 7. სიონი 2 | 18 | 5 | 4 | 9 | 22-39 | 19 |
| 8. გაგრა 2 | 19 | 5 | 3 | 11 | 27-40 | 18 |
| 9. ნ/დინამო | 18 | 2 | 7 | 9 | 19-31 | 13 |
| 10. კახეთი | 18 | 2 | 5 | 11 | 9-30 | 11 |
| 11. ჰერეთი | 17 | 1 | 7 | 10 | 13-39 | 10 |

**მომდევნო ტური**

**16 მარტი, ორშაბათი**

დინამო 2-ჰერეთი
დილა-ვიტ ჯორჯია 2
კახეთი-ნორჩი დინ.
სიონი 2-თბილისი
გაგრა 2-ამერი

*ჩიხურა ისვენებს*

### დასავლეთი

**12 მარტი**

| | |
|---|---|
| ბაია-ჭიათურა | 3:0 |
| ხობი-გურია | 2:0 |
| ზესტაფონი 2-კოლხეთი | 2:1 |
| მარტვილი-მეშახტე | 1:0 |
| ბათუმი-ტორპედო | 1:0 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბაია | 18 | 12 | 4 | 2 | 32-8 | 40 |
| 2. სამტრედია | 18 | 12 | 2 | 4 | 32-15 | 38 |
| 3. მარტვილი | 18 | 11 | 5 | 2 | 29-15 | 38 |
| 4. კოლხეთი | 18 | 8 | 4 | 6 | 22-16 | 28 |
| 5. ხობი | 18 | 8 | 3 | 7 | 22-27 | 27 |
| 6. ჭიათურა | 19 | 7 | 2 | 10 | 26-28 | 23 |
| 7. ტორპედო 2008 | 18 | 7 | 1 | 10 | 16-14 | 22 |
| 8. გურია | 18 | 6 | 3 | 9 | 26-30 | 21 |
| 9. ზესტაფონი 2 | 18 | 5 | 4 | 9 | 16-26 | 19 |
| 10. ბათუმი | 18 | 5 | 4 | 9 | 24-31 | 19 |
| 11. მეშახტე | 17 | 1 | 2 | 14 | 9-41 | 5 |

**მომდევნო ტური**

**16 მარტი, ორშაბათი**

ტორპედო 2008-მერანი
მეშახტე-ზესტაფონი 2
კოლხეთი-ხობი
გურია-ბაია
ჭიათურა-სამტრედია

*ბათუმი ისვენებს*

სანაკრებო ამბები



ექტორ კუპერი



კახა ცხადაძე

# კუპერისა და ცხადაძის ერთობლივი წვრთნა?

## მორიგი სამშაბათობა 17 მარტსაა

ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელი **ექტორ კუპერი** ნაკრების წევრ-კანდიდატებს კიდევ ერთ „სამშაბათობას“ ჩაუტარებს. მას ჯერ კიდევ წინა სამშაბათს სურდა ვარჯიშის გამართვა, მაგრამ 10 მარტს ტურის მატჩები იყო. 17 მარტი კი ეროვნულ ჩემპიონატში თავისუფალი დღეა და „სამშაბათობას“ წინ ვერაფერი დაუდგება. შესაძლოა, ეს ვარჯიშები წინისგან განსხვავებულიც იყოს...

იკითხავთ, ალბათ, რა არის განსხვავებაო? გეხსომებათ, ახალგაზრდული ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **კახა ცხადაძემ** თავის დროზე აღნიშნა, რომ კუპერის „სამშაბათობებს“ მიესალმება და თავადაც აპირებდა ამგვარი წვრთნების ჩატარებას. ის და **ზაურ სვანაძე**, 8 ქართველ მწვრთნელთან ერთად, შოტლანდიაში სემინარზე გაემგზავრნენ. ისინი გლაზგოდან სწორედ 17 მარტს, დილით დაბრუნდებიან. ჩვენი ინფორმაციით, გამორიცხული არ არის, ცხადაძემ 21-წლამდელები იმ დღესვე შეკრიბოს და „სამშაბათობა“ კუპერთან ერთად გამართოს, თუ არა და, ახალგაზრდულის მწვრთნელები ვარჯიშს ოთხშაბათს ჩაატარებენ. ეროვნულისა და 21-წლამდელთა დამრიგებლები გამოსაძახებელთა სიას დღეს-ხვალ გამოამზეურებენ.

**დავით ცაბაძე**

U 17. ელიტრაუნდის წინ

# ანანიძეს ავსტრიაში ელიან

## მასპინძლებს ტრავმები მიეძალათ

საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრების მიერ გუშინწინ ლუქსემბურგთან სტუმრად გამართული სპარინგი (2:0 ჩვენების სასარგებლოდ), ევროპის ჩემპიონატის ელიტრაუნდის პირველი მატჩის წინ გენერალური რეპეტიცია იყო. ჭაბუკთა ნაკრებს ჯერ კიდევ აკლია ერთი გამორჩეული ფეხბურთელი - მოსკოვის „სპარტაკის“ ნახევარმცველი **ჯანიკო ანანიძე**, რომელიც ამას წინათ იტალიაში ჩატარებულ საერთაშორისო ტურნირზე ერთ-ერთი საუკეთესო იყო. ანანიძე ჯერაც რუსეთშია, თუმცა, როგორც გავიგეთ, მისი საკითხი უკვე გარკვეულია - ის ნაკრებს 15 მარტს შეუერთდება.

ჩვენი 17-წლამდელები გუშინ ლუქსემბურგიდან ავსტრიის პატარა ქალაქ ზანკტ ვიტში ჩავიდნენ და „ბლუმენ ოტელში“ დაბინავდნენ. 18 მარტის ჩათვლით შეყილაძე გუნდს სწორედ ამ ქალაქის სპორტკომპლექსში მოამზადებს. 19-ში ჩვენები ბად-ვალდერშტოფში ჩავლენ და სწორედ იქ გამართავენ ელიტრაუნდის მატჩებს.

ჩვენს მეტოქეებზე პერიოდულად განვდიდით ცნობებს. მორიგი ინფორმაცია ასეთია - ავსტრიის ფეხბურთის ფედერაციის ოფიციალური ვებგვერდი იუწყება, რომ 17-წლამდელთა დამრიგებელ ჰერმან შტადლერს ტრავმების პრობლემა აწუხებს. უფრო კონკრეტულად კი:

*„ბაიერნელ დევიდ ალაბას კოჭ-წვივის სახსრის ტრავმამ შეახსენა თავი და ექიმთა მეთვალყურეობის ქვეშაა. მეკარე გიუნტერ არნბერგერი კი ელიტრაუნდში, ალბათ, ვერ ითამაშებს, ყოველ შემთხვევაში, ეჭვები ძალზე დიდია. მას მუხლის ტკივილი აწუხებს. შტადლერის გუნდთან მოსამზადებელ შეკრებაზე არ არის ნაკრების კაპიტანი, „რაპიდის“ ნახევარმცველი ფილიპ პროსენიკი და „ჰეერენვეენის“ წევრი ტობიას კაინცი. ნაკრების თავკაცი შტადლერი ამ ორ ფეხბურთელს მომავალი კვირის დასაწყისში ელის“.*

ბოლოს ისევ ჩვენებით დავასრულოთ. ავსტრიაში მყოფი შეყილაძის გუნდი დღეიდან განაახლებს ვარჯიშს. როგორც ადრე გაუწყეთ, შესაძლოა, ქართველმა ჭაბუკებმა 15 მარტს კიდევ ერთი ამხანაგური მატჩი გამართონ - მეტოქე ერთ-ერთი ადგილობრივი ქვედალიგოსანი ან რეგიონის 17-წლამდელთა ნაკრები იქნება. ამ მატჩის ჩატარება-არჩატარების საკითხი დღეს გადაწყდება.

**დავით ცაბაძე**



ერთი კვირის ათასი წვრილმანი

დავით თავართქილაძის რუბრიკა

# რა აკლია ზესტაფონს?

საქართველოს საფეხბურთო მოედნებზე ბურთი ბაყაყივით ხტის და ფეხბურთელმაც არ იცის, როგორ შეუშვიროს ფეხი. რა თქმა უნდა, არის ერთი-ორი გამონაკლისიც, სადაც ბურთი ნორმალურად დაგორავს და დახტის, მაგრამ მთლიანობაში ბურთი ჩვენთან მაინც ბაყაყს დაემსგავსა.

...და რას დაემსგავსება ბრძოლა ეროვნული ჩემპიონატის ბოლო, მესამე წრეში? მაიმუნობას, მამაძაღლობას, ღორობას... შეიძლება ითქვას, საქმე ასარჩევადაც კია, ოღონდ, ბევრი რამ იქნება დამოკიდებული უნარებზეც - როგორ უნდა იმაიმუნო, როგორ უნდა იღორო, როგორ უნდა იმამაძაღლო და ასე შემდეგ...

ამ ყველაფერში ფეხბურთი საფეხბურთო გზებს მაინც პოულობს და გვაქვს იმის საშუალება, რომ უშუალოდ ფეხბურთზეც ვილაპარაკოთ. აგერ, წინა ტურში რუსთავის „ოლიმპმა" „ზესტაფონი" დაამარცხა და სამეულში მოსახვედრად ძალზე სერიოზული განაცხადიც გააკეთა. გია გეგუჩაძის ხელში „ზესტაფონი" თანამედროვე, შემტევი ფეხბურთის თამაშს ცდილობს, მაგრამ ჯერ კარგად არ გამოსდის. ამ სეზონის მეორე ეტაპზე ფეროელებმა თამაშები კი მოიგეს, მაგრამ, როგორც კი სერიოზულ მეტოქეებს გადაეყარნენ, ხელი მოეცარათ. „ზესტაფონს" ჰყავს ცნობილი მწვრთნელი, აქვს დიდი ამბიციები და თუ „დინამოს" არ ჩავთვლით, სხვაზე უკეთესი პირობებიც, მაგრამ გუნდს თითქოს რაღაც აკლია...

„ზესტაფონის" ახალგაზრდობას უნიჭო ნამდვილად არ ეთქმის, მაგრამ არც ისეა საქმე, ციდან ვარსკვლავები რომ მოწყვიტოს. ისინი „ოლიმპის" გამოცდილ ფეხბურთელებზე უკეთ მოემზადნენ სეზონის განახლებისთვის, მაგრამ მეტოქეს ვერც ძალით აჯობეს და ვერც სისწრაფით, ოსტატობაში კი თავად აღმოჩდნენ ჯაბანნი. მას შემდეგ, რაც „ზესტაფონიდან" ბექა გოცირიძე წავიდა, გუნდში აღარ არის გამორჩეულად ძლიერი ახალგაზრდა ფეხბურთელი. გეგუჩაძემ სატრანსფერო პერიოდში არაერთი ახალწვეული მიიყვანა გუნდში, მაგრამ „ზესტაფონი" ჯერაც არ ჰგავს კარგად გაპოხილ მანქანას.

გეგუჩაძის ბიჭები სხვაზე მეტს მოძრაობენ მოედანზე, ცდილობენ დინამიკის შექმნას, მაგრამ ეს ჯერ არ არის ის, რისი იმედიც აქვს ზესტაფონელ ქომაგს. ფაქტია, გეგუჩაძის ხელში გუნდმა სახე იცვალა, მაგრამ ჯერ არ ჩანან ის ფეხბურთელები, გუნდს ძალას რომ მოუმატებენ.

„ზესტაფონი" ხმაურიანი კლუბია. ამ გუნდში და მის გარშემო სულ რაღაც ხდება - სკანდალები, საინტერესო და უცნაური ამბები... ისიც უცნაური იყო, გეგუჩაძე რომ მივიდა „ზესტაფონში", მაგრამ ახლა უფრო სხვა რამეა აქტუალური - რას გახდება გეგუჩაძე გუნდში, სადაც მართლაც ატარებს საკუთარ საკადრო პოლიტიკას და ცვლის სათამაშო კონცეფციას, პრინციპული მატჩებიდან კი ჯერ ერთიც ვერ მოიგო და მიმდინარე ჩემპიონატს ესეც თავისებურ ინტრიგას მატებს - მესამე წრეში ფეროელები „ვიტ ჯორჯიას" გორში ესტუმრებიან, „დინამოს" კი შინ დაუხვდებიან.

გეგუჩაძისთვის ეს დიდი გამოწვევაა, სეზონი თუ ისე ჩაამთავრა, რომ ასეთ მეტოქეებს ერთხელაც ვერ მოუგო, არავინ იცის, რა პოზიციას დაიკავებს კლუბის ხელმძღვანელობა. თუმცა გეგუჩაძე გამოცდილი, უკვე ბევრის მნახველი მწვრთნელია, აქაურ საფეხბურთო მესვეურებს კარგად იცნობს და ვინძლო, ჯენტლმენური შეთანხმებაც ჰქონდეს „ზესტაფონის" პრეზიდენტ ილია კოკაიასთან - ამ სეზონში შედეგს ნუ მომთხოვთ, მერე კი მე ვიციო...

## უცნაური ამბავი

ცხოვრება რომ სწორი გადაწყვეტილებების მიღების ხელოვნებაა, ვინ არ იცის. როცა პრობლემა გამოჩნდება, მერე უფრო კარგად ხედავ, სად რა შეგეშალა. შეცდომებზე სწავლობენ და იწრთობიან, მაგრამ ხშირად ცხოვრება შეცდომებს არ პატიობს.

როგორ გგონიათ, რატომ არის საქართველოს ნაკრების თავდამსხმელი დავით სირაძე დღემდე უგუნდოდ? ვერსია არაერთია - ზოგს, ალბათ, ის ჰგონია მიზეზი, რომ შარშან დათომ მეორე ბუნდესლიგას რუსეთის პრემიერლიგის პერიფერიული გუნდი ამჯობინა. მაგრამ ეს ისეთი საკითხია, ცალსახად ვერ იტყვი, სწორი გადაწყვეტილება იყო თუ არა. ფინანსური პირობები ძალიან ბევრს ნიშნავს. ქართველი ფეხბურთელი ყოველთვის რთულ სიტუაციაშია, რადგან ფეხბურთი მისთვის და მისი ოჯახისთვის კეთილდღეობის ერთადერთი საშუალებაა და რა თქმა უნდა, ამ ყველაფერს ითვალისწინებს.

თავის დროზე, გოგიტა გოგუას შოთა არველაძის დახმარებით ამსტერდამის „აიაქსში" შეეძლო გასინჯვაზე წასვლა, მაგრამ ასეთ პერსპექტივას მან რუსეთის პირველი ლიგის „ხიმკიში" გადასვლა ამჯობინა. ვინც ამ ყველაფერს გარედან უყურებს, ადვილია ფეხბურთელების გადაწყვეტილებებზე მსჯელობა, რადგან ცდუნებასთან არ აქვს საქმე. ფეხბურთელის კარიერა ხანმოკლეა, საქართველოში ნორმალურად ცხოვრება კი ძნელია - ამიტომაც არის, ქართველ ფეხბურთელს სხვაგან თამაში და ცხოვრება რომ ურჩევნია შუაგულ ევროპას, რადგან იქ უფრო მეტს უხდიან, ვიდრე მეორე ბუნდესლიგის გუნდში...

ამაზე ძალიან ხშირად ულაპარაკიათ თავად ფეხბურთელებს, ახალი კი ამ ყველაფერში სირაძის პრობლემაა. როგორც ჩანს, მან ისეთ აგენტთან დაიჭირა საქმე, რომელთანაც ამის გაკეთება არ ღირდა. დათოს შეუძლია, თბილისის „ლოკომოტივში" დაბრუნდეს. სწორედ ამ კლუბიდან გაიცნო ის ჩვენმა საფეხბურთო მილეთმა. მაშინ „ლოკომოტივის" პრეზიდენტი აკაკი ჩხაიძე გახლდათ და გუნდს ფული არ აკლდა, „ლოკომოტივში" გამოცდილი, ნაკრებგამოვლილი ფეხბურთელებიც კი თამაშობდნენ, თუნდაც ზაზა ჯანაშია, სირაძე კი იქ ნათელი წერტილი იყო - გამორჩეული, მართლაც პერსპექტიული ახალგაზრდა. ერთხელ კადნიერი მეტაფორაც კი ვუძღვენი სირაძეს - რკინიგზელთა ბალაკია-მეთქი, რამეთუ თავით თამაშითა და ძლიერი, შორეული დარტყმებითაც გვაწონებდა თავს. მერე იყო მეორე ბუნდესლიგა - ბერლინის „უნიონი" და ტრირის „აინტრახტი". შემდეგ სირაძე ნახევარი სეზონით „ლოკომოტივში" დაბრუნდა და გაოცებული იყო - თურმე, რა რთული ყოფილა გერმანიიდან დაბრუნებულისთვის საქართველოში თამაშიო.

საქართველოს ნაკრები კლაუს ტოპმიოლერმა რომ ჩაიბარა, სირაძე ერცგებირგეს „აუეს" ფეხბურთელი იყო. ტოპი ფეხს ითრევდა სირაძის გამოძახებაზე. „აუეში" მეუბნებიან, ცოტა არ იყოს, მორცხვი ფეხბურთელიაო, - ამბობდა ტოპმიოლერი. ჰერ კლაუსმა სირაძე პირველად ურუგვაისთან ამხანაგურ შეხვედრაში ათამაშა და მყის დადებითად განეწყო მის მიმართ. სირაძის თავურით ტოპის ნაკრებმა მოუგო თურქეთს, გაათანაბრა ანგარიში უკრაინასთან და მატჩის შემდეგ ოლეგ ბლოხინი საკუთარ გუნდს შემოსწყრა - შეცვლაზე შემოსულმა ბავშვმა გაუტანა გოლი ჩემს ბედოვლათებსო. ბლოხინი გაიშიფრა. გაცხადდა, რომ მას რიგიანად არ ჰყავდა შესწავლილი მეტოქე და 26 წლის სირაძე დამწყები ფეხბურთელი ეგონა...

სირაძემ გოლი შოტლანდიასაც გაუტანა, ახლახან კი ირლანდიასთან, საგოლე პასი მიართვა ალექსანდრე იაშვილს. სირაძე ნაკრებისთვის ფასეული ფეხბურთელია და ასეთ კაცს გუნდის მოძებნა უჭირს - ღმერთმანი, დიდად უცნაური ამბავია...

## კუპერიც ხომ გავლით არის...

ჟამთასვლამ მოიტანა ასეთი ფსონი - თუ კუპერის საქართველო ამ შესარჩევში ერთ თამაშზე მეტს მოგებს, მოგებულ-წაგებულსაც ეს გაარკვევს. მოკლედ, კუპერის ამოცანა ნათელია - საქართველოს ნაკრებს თითქმის ყველა შესარჩევში ჰქონდა გამონათება, ერთ კარგ თამაშს თითქმის ყოველთვის იგებდა და თუ ახლა, როცა ჯგუფში ფარერები არ გვყავს და კუპერის გუნდმა ერთზე მეტი მატჩი მოიგო, ძაან მაგარი იქნება...

კუპერის ხელში კი საქართველოს ჯერ ერთი თამაშიც არ მოუგია. გასაგებია, რომ ჩვენმა ნაკრებმა არ იცის, როგორ მოიგოს, მაგრამ სამაგიეროდ, იცის, როგორ ითამაშოს ერთი კარგი თამაში ნებისმიერ შესარჩევ ციკლში. ეს უკვე რაღაცას ნიშნავს. აი, გერმანიას არ ჰყავდა კარგი ნაკრები 2002 წლის მუნდიალზე, მაგრამ გუნდმა ფინალამდე მიაღწია, რადგან გერმანიამ იცის, როგორ გავიდეს ფინალში. ასე იყო ჩვენი საქმეც - არ გვყავდა კარგი გუნდი, მაგრამ ერთ კარგ თამაშს მაინც ჩუქნიდა ქომაგს. ამით, საქართველოს ნაკრებმა ერთგვარი ტრადიცია, საკუთარი სახეც შეიქმნა.

ახლა კუპერის ჯერია. ეს კაცი თითქოს ანტისხეულია, ძალზე დისტანციური დამოკიდებულება აქვს ქართულ მასმედიასთან და ძნელია, მისი, როგორც პიროვნების და ნაკრების მწვრთნელის გახსნა. არც ესაა პრობლემა, მაგრამ თუ კუპერმა ტრადიცია დაგვირღვია, მაშინ კი უთუოდ დადგება ცვლილებების დრო.

კვიპროს-ჩერნოგორიისთვის მას არ ეყოლება კახა კალაძე, ალბათ, არც ლევან ყენია. სირაძე უგუნდოდაა და მისი გამოძახებაც სათუოა, ისევე, როგორც ლევან მჭედლიძის ოპტიმალურ ფორმაში შესვლა. კუპერი რთულ სიტუაციაშია, მაგრამ რარიგ წესიერ კაცადაც არ უნდა მივიჩნიოთ, ის უცხოელია და საქართველოში გავლითაა, კონტრაქტით გათვალისწინებულ ფულს აიღებს და საუკეთესო სურვილებით დაგვემშვიდობება.

კახა ცხადაძე, გია ნემსაძე, გოჩა ჯამარაული, გიორგი ქინქლაძე, თემურ ქეცბაია, შოთა არველაძე - როცა ასეთი ხალხი გვყავდა ნაკრებში, აქტუალური იყო კარგი უცხოელი მწვრთნელი. ახლა კი სხვა დროა, სულ სხვა კონტინგენტია საქართველოს ნაკრებში, რომელსაც აღარ სჭირდება მაინცდამაინც კუპერივით სახელგანთქმული სპეციალისტი - თუ ეს საკამათოა, ვიკამათოთ, ოღონდ, მხოლოდ და მხოლოდ არგუმენტებით.

კუპერზე კი საკამათო აღარაფერია - შედეგი არ აქვს და „სამშაბათობებით" თავს ვერ მოგვაწონებს. მის სიჯიუტესაც არ უჩანს ზღვარი. სწორად შენიშნა დავით მუჯირმა - კუპერი თავის ახირებულ ტაქტიკას არგებს საქართველოს ნაკრებს, იმის მიხედვით კი არ არჩევს, რა კონტინგენტიც ჰყავსო.

მოკლედ, კუპერი ვირზე ზის, მაგრამ ჯერ აქვს შანსი - იქნებ, ერთი კარგი თამაში მაინც მოაგებინოს ჩვენს ნაკრებს...



ლეგიონერი მწვრთნელი



# ისევ ქეცბაია და ნიუკასლი...

## კვიპროსზე საქართველოს რეალურად აფასებენ

**თემურ ქეცბაია** „ნიუკასლის" მთავარ მწვრთნელად - ამ თემამ კიდევ ერთხელ წამოიწია ინგლისურ პრესაში. ბრიტანულმა „ივნინგ ქრონიკლმა" ვრცელი მასალა გამოაქვეყნა სათაურით - **„კვიპროსელთა ქართველი გმირი თემურ ქეცბაია „ნიუკასლის" მწვრთნელად მუშაობას არ გამორიცხავს"**. ამ თემას ვებგვერდი „ტრიბალფუტბოლიც" გამოეხმაურა - **„ქეცბაიას „ნიუკასლში" მუშაობის ამბიცია აქვს"**, - ასეთია წერილის სათაური.

„ივნინგ ქრონიკლის" სტატიაში ავტორი **სტიუარტ რაინერი** 1998 წელს, ასოციაციის თასის ფინალში „ნიუკასლის" გამყვან ქეცბაიას დიდი პატივით მოიხსენიებს, მიმოიხილავს მის საფეხბურთო და სამწვრთნელო კარიერას. მეტიც - მისტერ რაინერი თემურს „ნიუკასლის" პოტენციურ მწვრთნელადაც კი განიხილავს. კლუბის ბოსებს კი ურჩევს - თუ ქეცბაიას სამწვრთნელო კარიერას დეტალურად განიხილავენ, „ჯორდების" თავკაცად ჩინებული კანდიდატურა შერჩებათ ხელთ.

*„ქეცბაიამ სამწვრთნელო საქმეში საკმაო პროგრესი განიცადა. 40 წლის ქართველი კვიპროსზე გმირად შერაცხეს. მან იქაურ ფეხბურთს ისტორიის ახალი ფურცელი შეუქმნა და კვიპროსის „დიდების მუზეუმში" მოხვედრაც დაიმსახურა. ფეხბურთელობისას ქეცბაიამ ბევრი მისცა „ნიუკასლს". ლაპარაკის დროს მას აშკარად ეტყობა, რომ ყოფილ გუნდს დღესაც გულშემატკივრობს და სულაც არ არის უარს, „ნიუკასლი" ჩაიბაროს. „ანორთოსისს" მან თითქმის ყველა შინაური ტიტული მოაგებინა, ბოლოს კი ეს კლუბი ევროპასაც ღირსეულად გააცნო. გასულ კვირაში მოულოდნელი საშინაო მარცხით „ანორთოსისმა" ჩემპიონობის რეალური შანსი დაკარგა და ქეცბაიას გადაბირება ახლა უფრო იოლია. მისი სამწვრთნელო ამბიციას უკვე საკმაო ცოდნა-გამოცდილება და „ანორთოსისის" ევრონარმატებები უმაგრებს ზურგს. რეალური წინადადების შემთხვევაში, ქართველი თანახმაა, „ნიუკასლი" ჩაიბაროს". მაგრამ მიიღებს კი ასეთ წინადადებას? თუ ქეცბაიამ მიიღო ამგვარი შეთავაზება, საკითხავია, რა პოზიციას დაიკავებენ „ანორთოსისის" ბოსები"?* - სვამს კითხვას სტიუარტ რაინერი.

წერილში ქეცბაიას კომენტარებიცაა: *„ნიუკასლში" გატარებულ დღეებს ახლაც სიამოვნებით ვიხსენებ. ტელევიზიით კვლავაც ხშირად ვადევნებ თვალს იმ გუნდის თამაშს, რომელთანაც არაერთი ტკბილი მოგონება მაკავშირებს. „ნიუკასლს ახლაც ვგულშემატკივრობ. ის ჩემთვის ერთი უბრალო, რიგითი ინგლისური კლუბი არ არის, „ნიუკასლს" ჩინებული ფეხბურთელები ჰყავს, მაგრამ დაკარგული ქულები და პრემიერლიგის ცხრილში დაქვეითება, ვფიქრობ, ტრავმების სიმრავლითაა განპირობებული.*

» 5

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ისევ ქეცბაია და ნიუკასლი...

4«

*ჩავიბარებდი თუ არა „ნიუკასლს“? თუ რეალურ წინადადებას მივიღებ, სიამოვნებით მოვკიდებდი ხელს ამ საქმეს. თუმცა, როცა მსგავსი შეთავაზება ჯერ არ არის, სხვას ვერაფერს ვიტყვი“,* - აცხადებს ქეცბაია.

20-გუნდიან პრემიერლიგაში „ნიუკასლს“ 28 ქულა აქვს და ამდენივექულიან „პორტსმუთთან“ XVII- XVIII ადგილებს იყოფს. „ჯორდებს“ რეალურად ემუქრებათ პირველ დივიზიონში დაქვეითების საფრთხე. ამასთან, წინ კიდევ ორ თვეზე მეტია და კლუბის ბოსები მწვრთნელის შეცვლაზე სწორედ ამ დროს ფიქრობენ ხოლმე. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, კვამლი უცეცხლოდ არ ჩნდება. მით უმეტეს, „ნიუკასლის“ მესვეურებმა ქეცბაიას შარშან უკვე შესთავაზეს, 6 მატჩით ჩაებარებინა გუნდი. ქართველმა ეს შეთავაზება არასერიოზულად მიიჩნია და უარი განაცხადა...

ამის შემდეგ თავად ქეცბაიასთან დაკავშირება გადავწყვიტეთ. როცა მის ტელეფონზე „ლელოს“ ზარი აწკრიალდა, გუნდს ვარჯიში ეწყებოდა. თემურს დრო ცოტა ჰქონდა და ამიტომ, უმალ „ნიუკასლზე“ ვკითხეთ.

*„რა გითხრათ, „ნიუკასლიდან“ ჩემთვის არავის დაურეკავს. თუ რეალური წინადადება მექნება, სერიოზულად ვიფიქრებ და „ანორთოსისის“ ხელმძღვანელობასთანაც მომიწევს დალაპარაკება. მაგრამ ჯობს, შევეშვათ ამ თემას, რადგან შეთავაზება არ ყოფილა, ასე ტყუილი ლაპარაკი გამოგვივა მხოლოდ“,* - აღნიშნა ქეცბაიამ „ლელოსთან“ საუბარში.

27 და 28 მარტს საქართველოს ეროვნული და ახალგაზრდული გუნდები კვიპროსში ორ მატჩს გამართავენ. ბუნებრივია, თემურს ამ თამაშებზეც ვკითხეთ.

*„მანამდე ორი კვირაა დარჩენილი და ჯერ აჟიოტაჟი არ იგრძნობა, მაგრამ მალე ესეც იქნება. კვიპროსი ფეხბურთით ცხოვრობს და დარწმუნებული ვარ, ორივე თამაში აქ დიდ ინტერესს გამოიწვევს. გავიგე, ახალგაზრდულ ნაკრებში ჩემს მეგობრებს - კახა ცხადაძეს, მურთაზ შელიას, გელა ინალიშვილსა და დათო გვარამაძეს დაუწყიათ მუშაობა. მათ დებიუტი სწორედ აქ კვიპროსში ელის და გულით ვუსურვებ წარმატებებს“.*

...და რაც შეეხება ეროვნულ ნაკრებთა მატჩს, რომელიც 28 მარტს გაიმართება. ქეცბაიას კომენტარი ასეთი იყო: *„ორივე გუნდისთვის მეტად რთული მატჩი იქნება. საქართველომ და კვიპროსმა შარშან, ოქტომბერში, თბილისში ითამაშეს და აქედან გამომდინარე, შემიძლია ვთქვა, რომ ჩვენს გუნდს ახლაც დიდი ბრძოლა მოუწევს შედეგის მისაღწევად. მეტოქეები ერთმანეთს კარგად იცნობენ. ვფიქრობ, გადამწყვეტი ფაქტორი იქნება ფეხბურთელთა მომზადების დონე და ის, თუ როგორ შეასრულებენ მოთამაშეები მწვრთნელთა დავალებებს. კვიპროსზე საქართველოს ნაკრების ძალას რეალურად აფასებენ და მიიჩნევენ, რომ ჩვენი ეროვნული გუნდი ჰექტორ კუპერის ხელში უკეთ ათამაშდა. თუმცა ისიც კარგად უწყიან, რომ საქართველოს ნაკრებს მიმდინარე საკვალიფიკაციო ეტაპზე ჯერ არ მოუგია. გულშემატკივარი, მწვრთნელები და ფეხბურთელები კარგა ხანია ელიან საყვარელი გუნდის მოგებას და იმედია, ეს დღე ახლოს არის“.*

საქართველოს ნაკრებისთვის დიდი დანაკლისია **კახა კალაძის** არყოფნა, თუმცა ამას ვერც მეტოქე ასცდა:

*„კვიპროსზე უკვე იციან, რომ საქართველოს ნაკრებს კახა კალაძე დააკლდება. მაგრამ ანგელოს ანასტასიადისის გუნდსაც აქვს დანაკლისი - უკრაინაში მოთამაშე მაკრიდისმა ფეხი მოიტეხა და 28 მარტს ვერ ითამაშებს. არადა, მაკრიდისი აქაური ნაკრებისთვის მნიშვნელოვანი ძალაა. კვიპროსელებს სხვა დანაკლისი არ აქვთ. ეროვნულ ნაკრებში ჩემი გუნდის სამი ფეხბურთელია. ისინი ახლაც კარგ ფორმაში არიან, მაგრამ ანასტასიადისს სანაკრებო შემადგენლობა ჯერ არ გამოუქვეყნებია და არავინ იცის, ვის დაეყრდნობა საქართველოსთან მატჩში“,* - გვითხრა საუბრის ბოლოს ქეცბაიამ.

**დავით ცაბაძე**

ლეგიონი

# გიორგი ადამიამ ბაქო ნახევარფინალში გაიყვანა

გუშინ და გუშინწინ აზერბაიჯანში თასის საპასუხო მეოთხედფინალური მატჩები გაიმართა. ნახევარფინალში გასვლა ყველას დაასწრო **გოგა ბერაიასა** და **თორნიკე აფციაურის** „გაბალამ“, რომელიც პირველ მატჩში შინ ვიცე-ჩემპიონ „ოლიმპიკს“ დაუზავდა (1:1), გუშინ კი ბაქოში მოულოდნელად 1:0 გაიმარჯვა (1:0). პირველ ტაიმში ბერაია შორეული დარტყმით დაემუქრა მასპინძელთა კარს. გოლი კი 66-ე წუთზე ფორვარდმა **ჰათემიმ** გაიტანა. აფციაური 54-ე წუთიდან ჩაერთო თამაშში და ერთიორად გაამწვავა „გაბალას“ იერიშები. „ოლიმპიკის“ შემადგენლობაში ქართველთაგან მხოლოდ **რომან ახალკაცმა** ითამაშა (72-ე წუთიდან), **ალექსანდრე გოგობერიშვილი** სათადარიგო იყო, ხოლო **რევაზ გეწაძე** ტრავმირებულია.

ზაქათალაში „სიმურგმა“ „ინტერს“ უმასპინძლა. პირველ მატჩში ჩემპიონმა 2:0 გაიმარჯვა, საპასუხო შეხვედრაში კი „ინტერმა“ პირველივე ტაიმში გახსნა ანგარიში და ცხადი გახდა, რომ „სიმურგის“ შანსები მეტისმეტად შემცირდა. თუმცა მასპინძლებმა მაინც გაიბრძოლეს. პირველი ტაიმის მიწურულს **დავით ბოლქვაძის** დარტყმულს **მაზიარმა** დაამატა და ანგარიში გათანაბრდა. მეორე ტაიმში „სიმურგმა“ კიდევ ერთი გოლი გაიტანა, თუმცა ქართველთა გუნდს ნახევარფინალისთვის 2:1 არ ეყო. ბოლქვაძე 55-ე წუთზე შეცვალეს, **კახა ჩხეტიანი** 61-ე წუთზე, ხოლო **მიხეილ მახვილაძე** 71-ეზე. რაც შეეხება **გრიგოლ დოლიძეს**, მას თამაში დისკვალიფიკაციის გამო გაუცდა.

„ბაქოს“ „ხაზართან“ პირველი მატჩი სტუმრად 1:0 ჰქონდა მოგებული. ამ შეხვედრაშიც გამოუცხადეს ნდობა **გიორგი დემეტრაძეს**, რომელიც პირველივე წუთებზე მეკარესთან პირისპირ გავიდა, მაგრამ სისწრაფემ უმტყუნა - მცველები წამოეწივნენ და მომენტიც განიმუხტა. მალე დემეტრაძემ არბიტრთან კამათისთვის ყვითელი ბარათი მიიღო, ხოლო „ბაქომ“ 2009 წელს პირველი გოლი გაუშვა. ეს გოლი ჩემპიონატის თანაბომბარდირმა (**ამირან მუჯირთან** ერთად) **ივან ცვეტკოვმა** გაიტანა. დემეტრაძე შესვენებისას შეცვალეს. 59-ე წუთზე მწვრთნელმა მოედანზე **გიორგი ადამიას** უხმო. სწორედ ამის შემდეგ განვითარდა მთავარი მოვლენები - ცვეტკოვმა კიდევ ერთი გოლი გაიტანა, ადამიამ კი საპასუხო შეტევის დროს (68-ე წუთი) გამოიჩინა თავი. შემდეგ „ბაქოს“ ფორვარდი **ბატიშტა** გააძევეს, თუმცა კაცნაკლულმა მასპინძლებმა მაინც გაიტანეს გოლი და „ბაქო“ ნახევარფინალში გავიდა.



დავით ოდიკაძე (№49) გოლს ზეიმობს



ნუკრი რევიშვილი



გიორგი დემეტრაძე (№9) მეტოქეს გაურბის

## ანჟიმ შეკრება დაასრულა

მახაჩყალის „ანჟიმ“ თურქულ შეკრებაზე უკანასკნელი სპარინგი გამართა - **ომარ თეთრაძის** გუნდმა 3:2 მოუგო დანიურ „ფრემს“, რომელიც მეორე დივიზიონში ასპარეზობს. ქართველებს თავი არაფრით გამოუჩენიათ, გოლები **ჟოსანის** (2) და **მაზალოვის** ანგარიშზეა. *„თამაშით მხოლოდ ნაწილობრივ ვარ კმაყოფილი, 2:0-ზე რატომღაც გავჩერდით და მეტოქეს გათანაბრების საშუალება მივეცით“*, - განაცხადა მატჩის შემდეგ ქართველმა მწვრთნელმა.

ჩვენებურთაგან თავიდან ბოლომდე მხოლოდ **გიორგი ნავალოვსკიმ** და **გოჩა ხოჯავამ** ითამაშეს, მეორე ტაიმში შეცვალეს **სანდრო იაშვილი, ოთარ მარცვალაძე** და **კახა ალადაშვილი**, 75-ე წუთიდან კი მოედანზე **ედიკ საჯაია** გამოჩნდა. დღეს „ანჟი“ თურქეთიდან შინ ბრუნდება.

## ორი ქართველი განაცხადში

ნალჩიკის „სპარტაკმა“ საჩემპიონატო განაცხადი წარადგინა. მასში 33 ფეხბურთელია. შარშან ამ გუნდში 3 ქართველი თამაშობდა, წლეულს კი სეზონს მხოლოდ ორი დაიწყებს - **გოგიტა გოგუა** (7-ნომრიანი მაისურით) და **ალექსანდრე ამისულაშვილი** (5). ბოლო საკონტროლო მატჩში, რომელშიც „სპარტაკმა“ „ადლერი“ 5:0 გაანადგურა, ერთი გოლი სწორედ გოგუამ გაიტანა. შეგახსენებთ, შარშან ამ კლუბში თამაშობდა **დავით სირაძეც**, რომელიც ახლა უკლუბოდაა.

## მანჩხავა ტორპედოში

27 წლის **ნუკრი მანჩხავა** უკლუბოდ დიდხანს არ ყოფილა. ერთი კვირის წინ მან დატოვა ლიტვური „კაუნასი“ (სადაც 3,5 სეზონი ითამაშა) და ჟოდინოს (ბელარუსი) „ტორპედოში“ გადავიდა. შარშან აქ ახალგაზრდა ფორვარდი **გიორგი ჭედია** თამაშობდა, თუმცა გუნდში ვერ დამკვიდრდა და ზუგდიდის „მგლებს“ მიაშურა...

ჟოდინოს „ტორპედომ“ გასული სეზონი მე-13 ადგილზე დაასრულა. ლიტვაში მანჩხავა ორჯერ გახდა ქვეყნის ჩემპიონი (2006, 2007), ხოლო თითოჯერ მოიგო თასი (2008), სუპერთასი (2006) და ბალტიის ლიგა (2008).

## რევიშვილს გაუხანგრძლივეს

რუსეთის ჩემპიონ ყაზანის „რუბინის“ ოფიციალური ვებგვერდი იუწყება, რომ კლუბმა ერთი წლით გაუგრძელა ხელშეკრულება ქართველ გოლკიპერ **ნუკრი რევიშვილს**. სეზონის წინ „რუბინის“ ქართული სამეულიდან ორი, **ლაშა სალუქვაძე** და რევიშვილი, უკონტრაქტოდ იყო დარჩენილი, თუმცა ორივე ყაზანურ კლუბში დარჩა - სალუქვაძემ სამწლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი, ხოლო რევიშვილმა ერთიანს. „რუბინის“ საჩემპიონატო განაცხადში 5 გოლკიპერია. რევიშვილი 29-ნომრით ითამაშებს.

## ოდიკაძემ თასზეც ივარგა

ოთხშაბათს უნგრეთის თასის მეოთხედფინალურ მატჩში ქართველთა „დიორი ეტომ“ სტუმრად 2:1 დაამარცხა მეორე ლიგის „კაზინბარჩიკა“. ეს მეოთხედფინალის პირველი შეხვედრა იყო, რითიც „ეტომ“ ფაქტობრივად გაინაღდა ნახევარფინალის საგზური. მატჩის გმირი გახდა დიორელთა ესტონელი ლეგიონერი **ტარმო კინკი**, რომლის ანგარიშზე გოლი და საგოლე პასია. **დავით ოდიკაძემ** მარჯვენა მცველის პოზიციაზე შეუცვლელად ითამაშა. სწორედ მისი დამსახურებაა, რომ „ეტომ“ თამაშის გადარჩენა შეძლო - მეორე ტაიმის სტარტზევე ოდიკაძის ფლანგურ გარღვევასა და საგოლე გადაცემას დროულად გამოეხმაურა კინკი, რომელიც კართან ორიოდ მეტრში იდგა - 1:1.

**რატი ალექსიძე** სასტარტო შემადგენლობაში იყო. ის 55-ე წუთზე შეცვალა **ბაჟატმა**, რომელმაც მალე გამარჯვების გოლი გაიტანა.

## ქართველთა მარცხი ავსტრიაში

ავსტრიული ბუნდესლიგის ძალზე მნიშვნელოვან მატჩში ქართველთა „შტურმი“ ვენის „აუსტრიასთან“ სტუმრად 0:2 დამარცხდა. გრაცელები 42 ქულით კვლავ მე-4 ადგილზე არიან, თუმცა მესამეადგილოსან „აუსტრიასთან“ უკვე 6 ქულა აშორებთ. **ილია კანდელაკმა**, რომელმაც წინა ტურში გოლი გაიტანა, შეუცვლელად ითამაშა, **გიორგი შაშიაშვილი** კი 63-ე წუთიდან დაასვენეს.



ილია კანდელაკი

## უზბეკურმა ლეგიონმაც დაიწყო

უზბეკეთის ჩემპიონატში ჯერ მხოლოდ ორი ტურია ჩატარებული. ჩვენს ყურადღებას იპყრობს ორი კლუბი - „ანდიჟანი“, რომლის შემადგენლობაში სამი ქართველი ლეგიონერი თამაშობს, და „მაშალი“, რომლის ღირსებასაც ფორვარდი **მამუკა ლონლაძე** იცავს.

მეორე ტურში „ანდიჟანმა“ ტაშკენტის „პახტაკორს“ უმასპინძლა და უგოლო მატჩში პირველი ქულა მოიპოვა. მასპინძელთა შორის შეუცვლელად ითამაშა **ზურაბ ძამსაშვილმა**, ხოლო **ლევან მდივნიშვილმა** 64-ე წუთიდან გადაინაცვლა სათადარიგოთა სკამზე, ხოლო **თენგიზ კობიაშვილს** არ უთამაშია.

„მაშალიმ“ სამარყანდის „დინამო“ შინ 1:0 დაამარცხა. ლონლაძემ სრულად ითამაშა. „მაშალის“ 3 ქულა აქვს.

## ქართველთა დაპირისპირება და ტრაგედია

ყაზახეთის პირველობა ტრაგედიით დაიწყო: უსტ-კამენოგორსკში, ადგილობრივი „ვოსტოკისა“ და „ატირაუს“ მატჩის (2:2) დასრულების შემდეგ გულის შეტევით გარდაიცვალა სტუმართა თავკაცი, წარსულში ცნობილი ფეხბურთელი, 80-ანი წლების „დნეპრის“ კაპიტანი, 49 წლის **ანტონ შოხი**...

ამ შეხვედრაში „ვოსტოკი“ კაპიტნის სამკლაურით **ზვიად ჯელაძემ** გამოიყვანა. „ავტირაუს“ რიგებში კი დებიუტი ჰქონდა **გიორგი ფეიქრიშვილს**, რომელმაც სრულად ითამაშა, ისევე, როგორც ჯელაძემ მასპინძელთა შემადგენლობაში.

**ლაშა ჭელიძის** „ეკტისუმ“ ჩემპიონატი მოგებით დაიწყო, დაამარცხა (2:0) რა სტუმრად „ირტიში“. ლაშამ შეუცვლელად ითამაშა. ფინანსური კრიზისის გამო ყაზახურ პრემიერლიგაში გუნდების რაოდენობა 14-მდე შემცირდა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

1001

# გურიის გაცოცხლების შანსი

## სპორტულ-საკურორტო ბიზნესი. თუკი ტურისტული ქვეყნის პრეტენზია გვაქვს, შესაბამისი კანონებიც გვჭირდება

ბიბლიოთეკა

თბილისის „დინამოსა" და საბჭოთა კავშირის ნაკრების ყოფილი ფეხბურთელი **ახრიკ ცვეიბა** სეპარატისტული აფხაზეთის ფეხბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტად დაინიშნა. რუსული პოლიტელიტის, კონკრეტულად კი მოსკოვის მერის, **იური ლუჟკოვის** იდეები ნელ-ნელა ხორცს ისხამს - აფხაზეთის ფეხბურთის ფედერაცია მოსკოვის დაფინანსებით ლესელიძის ბაზების მოდერნიზაციას აპირებს. ცვეიბას თქმით, ვიცე-პრეზიდენტის პოსტზე მუშაობისას მთავარ მიზნად სწორედ ამ პროექტის განხორციელებას ისახავს.

*„20-წლიანი უმოქმედობით და იზოლაციით ძალიან დავილალეთ და გამოცოცხლება გვჭირდება. აფხაზეთი დანგრეულია, მაგრამ იმედი გაგვიჩნდა, რომ რუსეთის მიერ ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობის აღიარება ვითარებას რადიკალურად შეცვლის, ბიზნესმენები კი ინვესტიციებს ჩადებენ. საბჭოთა პერიოდში ლესელიძის სანვრთნელი ბაზით კიევისა და თბილისის „დინამო", „ზენიტი" და კიდევ ბევრი საბჭოური კლუბი სარგებლობდა. გარდა ამისა, იქ ვეტერანთა ტურნირები და სხვა ღონისძიებებიც ტარდებოდა. ამიტომაც მიმაჩნია, რომ ლესელიძის ბაზის აღდგენას პერსპექტივა უდავოდ აქვს. ჩვენ გვსურს ისეთი საფეხბურთო ბაზის აშენება, სადაც ორი ჩვეულებრივი გაზონი და ორიც ხელოვნურსაფრიანი მოედანი მოეწყობა; პლუს ამას, აშენდება სამვარსკვლავიანი სასტუმრო, სადაც ფეხბურთელებს დასვენებისა და ვარჯიშის ყველანაირი პირობა ექნებათ. იმედია, რუსეთის მეორე ლიგის კლუბებს მაინც მოვიზიდავთ. ჩვენი პლუსია ისიც, რომ ლესელიძე ადლერის აეროპორტიდან 13 კილომეტრშია, თანაც, ზღვის სანაპიროზე, ეკოლოგიურად სუფთა გარემოშია გაშენებული",* - განაცხადა ახრიკ ცვეიბამ.

ასეთი გეგმები აქვთ სეპარატისტული აფხაზეთის ფეხბურთის ფედერაციას, მთავრობასა და ამ კუთხის რეალურ მეპატრონე იური ლუჟკოვს. აფხაზეთის მიმართ მას ექსკლუზიური ბიზნესინტერესები აქვს. მისი და საქართველოს ინტერესები კი ერთმანეთს ეწინააღმდეგება...

...და რა ხდება ამ დროს საქართველოში? ქვეყანა, რომელსაც ტურიზმის განვითარების პრეტენზია აქვს, შავი ზღვის სანაპიროს ვერ იყენებს. არადა, სეპარატისტთა გეგმების განხორციელება საქართველოს შავი ზღვისპირეთის მოსახლეობის ისედაც მცირე შემოსავლებს, კიდევ უფრო შეამცირებს. იაფი დასვენების მოყვარულები რუსეთის გავლით აფხაზეთში მთელი პოსტსაბჭოური ქვეყნებიდან ჩადიან...

ეს წერილი რომ იწერებოდა, „პირველმა არხმა" საოცარი ინფორმაცია გაავრცელა - ბათუმში ორ მილიონ ლარად მუსიკოსის ქანდაკების წამოჭიმვა გადაუწყვეტიათ. ხალხმა გააპროტესტა - მეტისმეტად ძვირი პროექტიაო. მართალია. ამ გაჭირვების ჟამს ხსენებული თანხით უფრო მნიშვნელოვანი და სასარგებლო საქმის გაკეთება შეიძლებოდა. მაგალითად, აჭარის სანაპირო ზოლში არ მოიძებნება არც ერთი ნორმალური საფეხბურთო მოედანი, რომელსაც კლუბები ზამთარსა თუ ზაფხულში გამოიყენებდნენ. ამის მოთხოვნა კი უდავოდ არსებობს, რადგან პოსტსაბჭოეთში არ არის ქვეყანა, რომელიც სასურველი კლიმატით, საჭირო ინფრასტრუქტურითა და გარემოთი მიიზიდავდა კლუბებს. საქართველოს მშვენიერი შანსი აქვს, მაგრამ ჩვენთან 22 მილიონი ლარი ხმარდება არა მსგავსი ინფრასტრუქტურის, არამედ მინიმოედნების მშენებლობას.

მინიმოედნები აუცილებელია, მაგრამ ეს ფული წყალში იყრება, რადგან უკუგება არ არის, სახელმწიფოს კუთვნილ ტერიტორიებზე კი სავსებით შესაძლებელია ეკონომიკურად მისაღები და მომგებიანი პროექტების განხორციელება...

და აი, მივადექით მთავარ თემასაც. მცირე ხნის წინ გურიაში მომიხდა გამგზავრება. ოდესღაც მდიდარი რეგიონი, დღეს უმძიმეს მდგომარეობაშია. მოსახლეობის ტრადიციული შემოსავლების წყარო (მანდარინი, ფორთოხალი, გრეიპფრუტი, ჩაი) დამშრალია, წარსულს ჩაჰბარდა. იქაურები ჩაის პლანტაციებს ანადგურებენ, რადგან ჩაისა და ციტრუსს ფასი აღარ აქვს, გასაღების ტრადიციული ბაზრებიც დაიკარგა, ახლის ათვისებაზე ლაპარაკი სასაცილოა - ქართულ ბიზნესელიტას ამაში მცირე შემოსავალი, უცხო ენებისა და მენეჯმენტის არცოდნა ხელს უშლის.









დავიარე ურეკი, იქვე, 5-10 კილომეტრის რადიუსში მდებარე სოფლები - ნატანები, მერია, სუფსა... ყველგან ერთი და იგივე სურათია - სოფლები დაცლილია და ოდესღაც აყვავებულ დასახლებებს ასაკოვანი ხალხიღა შემორჩა.

გურული რისი გურულია - გაჭირვებამ ბევრი კი დააძაბუნა, მაგრამ გონება ძველებურად უჭრის. გურულები ერთი დიდი პროექტის განხორციელებაზე ფიქრობენ - რეგიონში შემოსავლის გაზრდის უებარ საშუალებად სპორტული ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია-რეკონსტრუქცია მიაჩნიათ.

ახლახან ურეკში, სასტუმრო „კოლხიდაში", სომხური კლუბები - ერევნის „არარატი" და „ულისე" ჩაიყვანეს. სასტუმროს ორი საკუთარი, არასტანდარტული მოედანი აქვს, 300 მეტრში კი ორი სტანდარტული მოედანიცაა. სომხები საქართველოდან კმაყოფილნი წავიდნენ, რადგან მათთვის აქამდე უცნობი მოსამზადებელი ცენტრი აღმოაჩინეს...

სასტუმროს მეპატრონე **ამირან ჩხაიძე** მის ხელთ არსებული ტერიტორიის სრულად ათვისებასა და სასტუმროშივე სტანდარტული მოედნის მოწყობას აპირებს. აი, მისი ნააზრევიც:

*„ქართველი სპორტსმენების უცხოეთში მოსამზადებლად დიდი თანხები იხარჯება. მარტო საფეხბურთო კლუბები მინიმუმ 500 ათას დოლარს გაიღებენ. ამას დაუმატეთ სპორტის სხვა სახეობის გუნდების მომზადება და დაახლოებითი გაანგარიშებით, 3 მილიონი დოლარი მაინც ჩვენი ქვეყნის ფარგლებს გარეთ გადის. საქართველოში ამ თანხის ნაწილიც რომ დახარჯონ და ეს აქაურ მოსახლეობაში გადანაწილდეს, ხალხი სერიოზულ შვებას იგრძნობს. გურიაში ბევრი ფიქრობს, რომ ურეკსა და მის ირგვლივ თანამედროვე სპორტული კომპლექსის აშენება შეიძლება, რაც გურიის ღარიბ ბიუჯეტს შეავსებს, ხალხი დასაქმდება, ტურიზმი რეალურად განვითარდება და ინვესტიციებიც ნელ-ნელა გაიზრდება. ტურისტულ ქვეყნებს კი მოგეხსენებათ, სტაბილური და სანდო ქვეყნების სტატუსი აქვთ. ბევრი ფიქრობს, რომ ურეკი ნალექიანი ადგილია. სინამდვილეში კი ჩვენთან საკმაოდ კარგი კლიმატია, არის საოცარი თვისებების მქონე მაგნიტური ქვიშა. მეცნიერული დასკვნაც არსებობს - თუკი სხვაგან ტრავმების სამკურნალოდ, პირობითად, 10 დღეა საჭირო, ჩვენთან ხუთი დღეც საკმარისია. ჩვენი სასტუმროდან ბათუმის აეროპორტი მაქსიმუმ 30 კილომეტრშია, აქვეა ფოთის პორტიც, საიდანაც ასევე შეგვიძლია მგზავრების გადმოყვანა, 10-15 კილომეტრის რადიუსშია გრიგოლეთის ბაზა, ნატანების სპორტული კომპლექსი, სოფელ მერიის მოედნები... საბჭოური პერიოდის დროს ჩვენთან ლამის ყველა რესპუბლიკიდან ჩამოდიოდნენ გუნდები, ოლიმპიური ნაკრებები, უმაღლესი ლიგის გუნდები... ამ ტრადიციის აღდგენა აუცილებელია. ურეკის მიდამოებში სპორტულ ობიექტებს ხელის შევლება სჭირდება, მაგრამ სურვილის შემთხვევაში, მათი რეკონსტრუქციაც რეალურია. რაც მთავარია, ეს ყველაფერი კომპლექსში შეიკვრება და გურიაში საკურორტო სეზონის ორიდან ექვს თვემდე გაზრდა შესაძლებელი იქნება. ეს არ არის მხოლოდ სპორტული მნიშვნელობის საკითხი. შავი ზღვის სანაპიროზე ბიზნესპროექტები ისე გადანაწილდება, შესაძლოა, ქართველები თამაშგარე მდგომარეობაში აღმოვჩნდეთ. რომ იყოს ადეკვატური გადასახადები და ერთიანი სახელმწიფო პროგრამა, დაკარგულ პოზიციებს მალე აღვიდგენთ. ურეკი ხომ სპორტულ ქალაქად ჩამოყალიბებისთვის ზედგამოჭრილი დასახლებაა".*

აფხაზებმა სპორტული ინდუსტრიის განვითარება პრიორიტეტად გამოაცხადეს და დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენი შემოსავლის ნაწილს, ისედაც მცირეს, მაინც წაიღებენ. როცა ჩვენი კლუბები ათასობით დოლარს უცხოეთში ტოვებენ, შეიძლება, ეს თანხა გურიასა და სხვა ზღვისპირა რეგიონს დარჩეს, თან უამრავი ადამიანიც დასაქმდეს. მოედნების, დარბაზებისა და ტრენაჟორების მოწყობა სახელმწიფოსთვის პრობლემა არ უნდა იყოს, ამას მიებმება სასტუმროები და ცხოვრებაც გამოცოცხლდება, ქვეყნისა და რეგიონის ბიუჯეტში ახალი შემოსავალი გაჩნდება. კვლავ ამირან ჩხეიძის კომენტარი:

*„ახლახან, სომხეთის ყველაზე პოპულარული კლუბი ერევნის „არარატი" და ასევე „ულისე" ჩვენთან ემზადებოდნენ. სტუმრებს აქაურობა ძალიან მოეწონათ. საქართველოში პოსტსაბჭოთა რესპუბლიკებიდან კიდევ ბევრი გუნდი ჩამოვა, მაგრამ მხოლოდ ერთი სასტუმროს მოწესრიგება საქმეს ვერ უშველის. აქ ერთიანი სახელმწიფოებრივი ხედვაა საჭირო და სპორტულ-საკურორტო ინდუსტრია აუცილებლად ამოქმედდება".*

საბჭოურ ნატანებში, **გივი ნითლიძის** დროს, ისეთი დარბაზი ააშენეს, ბევრ დიდ ქალაქშიც რომ არ დასიზმრებიათ. დღეისთვის, ამ დარბაზს შპს „ნატანები" ჰპატრონობს, მაგრამ ესეც პირობითადაა ნათქვამი - ხალხი უფულოდ უვლის შენობას, რეკონსტრუქციისთვის კი დიდი თანხაა საჭირო. სხვათა შორის, დარბაზის დირექტორი ცნობილი ფეხბურთელის, **ირაკლი ზოიძის** ბიძა, **ომარ ზოიძე** გახლავთ და ისიც იზიარებს ჩხეიძის აზრს, რომ გურიას აქვს სპორტულ-საკურორტო რეგიონად გადაქცევის პოტენციალი და ეს თუ განხორციელდა, რეგიონი სულს მოითქვამს.

*„მშვენიერი დარბაზი გვაქვს, მაგრამ დღესდღეობით, ფაქტობრივად, უმოქმედოდაა, არადა, შეიძლება, ამ დარბაზს სასტუმრო და მოედნები მიება, რაც რეგიონს შემოსავალს მოუტანს",* - ამბობს ომარ ზოიძე.

სპორტული-საკურორტო ბიზნესის განვითარების საინტერესო მოდელს გვთავაზობს პროფესიული ფეხბურთის ლიგის პრეზიდენტი **დიმიტრი რამიშვილი**.

*„თურქებმა საინტერესო მოდელს მიაგნეს - სასტუმროებს წყლისა და მიწის გადასახადი მოუხსნეს. შედეგად, უნდოდათ თუ არა, ამ სასტუმროთა მეპატრონეები დაფიქრდნენ და მივიდნენ დასკვნამდე, რომ მოედნების მოწყობა მომგებიანი იქნებოდა. ამით სეზონი მნიშვნელოვნად გაახანგრძლივეს და სადღეისოდ თურქულ სანაპიროებზე კლუბები მოსამზადებლად ლამის მთელი მსოფლიოდან ჩადიან. ასე რომ, თურქებმა ააშენეს არა უბრალოდ მოედნები, არამედ ის ქვეყნის ბიუჯეტისთვის მნიშვნელოვანი შემოსავლის, დასაქმებისა და განვითარების წყაროდ აქციეს. ამას საქართველოშიც უნდა მიექცეს ყურადღება. ფეხბურთის ფედერაციის აღმასკომის სხდომაზეც ვისაუბრებთ ამის შესახებ და შესაბამისი წინადადებით მთავრობასაც მივმართავთ. ხელისუფლებასთან ისედაც გახსნილი ურთიერთობა გვაქვს და ყველა საკითხზე გულახდილად ვისაუბრებთ. ნებისმიერი პროექტი განხორციელდება, თუ შესაბამისი ბიზნესგარემო შეიქმნება",* - ამბობს რამიშვილი.

თურქებმა ეს გადაწყვეტილება შემოსავლების გასაზრდელად მიიღეს. ჩვენთან ტურიზმს მხოლოდ სიტყვით ავითარებენ, საქმე კი სხვაგვარადაა - სასტუმროებს გაზის გადასახადი 53 თეთრიდან 77-დე გაუზარდეს. მერე უკვირთ, რომ ჩვენთან სასტუმროს ნომრები გაცილებით ძვირია, ვიდრე თურქეთში. ჩვენს მეზობელ ქვეყანაში წყლის, გაზისა და სხვა გადასახადები ისეა გათვლილი, რომ ბუზი ბაღდადიდანაც მიფრინდეს. დაულაგებელ საქართველოში კი, მით უფრო, არარსებული ინფრასტრუქტურის პირობებში, ისედაც კვდომის პირას მისული ბიზნესი საბოლოოდ ჩაკვდება, თუკი ეკონომიკურად მომგებიანი გადაწყვეტილებებისა და საკანონმდებლო ბაზის მიღებას წლები დასჭირდება. ამას არ უნდა ბევრი ფიქრი, მოქმედებაა საჭირო!

**მერაბ მამულაშვილი**

ჩემპიონთა ლიგა. 1/8 ფინალი. საპასუხო მატჩები

# მანჩესტერმა იუვეს რეკორდი დაამხო

## ჩემპიონთა ლიგა იტალიელებისგან სრულიად სტერილურია




**ბარსელონა–ლიონი 5:2 (1:1)**

გოლები: 1:0 ანრი (25), 2:0 ანრი (27), 3:0 მესი (40), 4:0 ეტო'ო (43), 4:1 მაკუნი (44), 4:2 ჟუნინიო (48), 5:2 ს. კეიტა (90)

გაძევება: ჟუნინიო (90. ლიონი)

კატალონიური მაგია ჩემპიონთა ლიგაში გაცოცხლდა. „ბარსელონამ" პრიმერა დივიზიონში ბოლო რამდენიმე ტურის შეხვედრა საკმაოდ უსახურად ჩაატარა, მაგრამ „ლიონთან" მატჩში რამდენიმე უპასუხისმგებლო საქციელს თუ არ ჩავთვლით, მასპინძლებმა საუკეთესო თვისებები გამოამჟღავნეს და გულშემატკივრებს უდიდესი სიამოვნება მიანიჭეს. კატალონიელებმა განსაკუთრებით კარგად პირველი ტაიმი ჩაატარეს. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ **პეპ გვარდიოლას** ბიჭებმა ფრანგი სტუმრები მიწასთან გაასწორეს და სასიკვდილო განაჩენი გამოუტანეს. ფანტასტიკური თამაშით „ბარსელონას" ვარსკვლავებმა მთელ ევროპას დაანახვეს, რომ გარკვეული პრობლემების მიუხედავად, კონტინენტის ერთ-ერთი საუკეთესო კლუბის ღირსებას იცავენ. როგორც გითხარით, პირველ ტაიმში გვარდიოლას შეგირდებმა უდიდესი უპირატესობა მოიპოვეს და მეტოქეს ოთხი გოლი გაუტანეს. „ლიონმა" ერთი ბურთი პირველივე ტაიმში გაქვითა. შესვენების შემდეგ კი, დაახლოებით სამ წუთში მეორე გოლიც შეაგდეს. ამით სტუმრებს იმედი გაუღვივდათ და მერვედფინალის გადარჩენა სცადეს, მაგრამ ეს მცდელობა ჩანასახშივე მოისპო.

„ბარსელონამ" „ლიონს" საფეხბურთო გაკვეთილი ჩაუტარა. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ კატალონიურმა გრანდმა ამ დიდ გამარჯვებას ეგრეთ წოდებული ბარსელონური სტილი, ერთგულებით მიაღწია. ეს ის სტილია, რომელმაც ამ გუნდს არსებობის განმავლობაში ყველაზე დიდი წარმატება მოუტანა, მაგრამ ბოლოდროინდელი ჩავარდნის გათვალისწინებით, ექსპერტების ერთი ნაწილი ვარაუდობდა, რომ გვარდიოლა ტაქტიკას შეცვლიდა და უფრო ფრთხილი სტრატეგიით შეეცდებოდა მეოთხედფინალის საგზურის მოპოვებას. ეს ვარაუდი არ გამართლდა. მადლობა ღმერთს, „ბარსამ" ჩვეულ სტილში ითამაშა და კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა, რომ ღირებულებების ღალატი საამაყო საქმე არ არის. ფეხბურთს რომანტიკა ყოველთვის დასჭირდება. ძალიან კარგია, რომ არსებობენ გუნდები, რომლებიც რომანტიზმს არასოდეს უღალატებენ. მათ შორისაა, „ბარსელონაც". რა თქმა უნდა, ჩავარდნა მასაც აწუხებს ხოლმე, მაგრამ მთავარი ის არის, რომ „ბარსა" ყოველთვის და ყველა პირობებში საკუთარ სტილში თამაშს ცდილობს. ეს ხან კარგად გამოსდის, ხან ვერაფერს ახერხებს. „ლიონთან" ყველაფერი არაჩვეულებრივად დასრულდა. **მესიმ, ინიესტამ, ჩავიმ, ანრიმ, ეტოომ** და კიდევ რამდენიმე ფეხბურთელმა ფანტასტიკურად იასპარეზეს. კიდევ ერთხელ უნდა მოგახსენოთ, რომ ინიესტას ფენომენი განსაკუთრებულ აღნიშვნას საჭიროებს. როცა ანდრესი მოედანზეა ყველაფერი უფრო მარტივად და ლამაზად მიმდინარეობს.

ფრანგები „კამპ ნოუზე" განსხვავებულ ფეხბურთს ელოდნენ. მათ იმედი ჰქონდათ, რომ მწვავე იერიშების მოწყობის საშუალება მიეცემოდათ და **ვიქტორ ვალდესის** კარი სიახლოვეს საჯარიმო დარტყმის უფლებას ხშირად მოიპოვებდნენ. მათ, რა თქმა უნდა, **ჟუნინიოს** იმედი ჰქონდათ, მაგრამ მასპინძლები მომზადებული აღმოჩნდნენ. კატალონიელებს კარგად ახსოვდათ, რომ ვალდესმა ლიონში სამარცხვინო შეცდომა დაუშვა და ბრაზილიელს გოლის გატანის საშუალება მისცა. „ბარსას" უკანა ხაზმა მთლად უშეცდომოდ მაინც ვერ ითამაშა. დაცვაში დაშვებული რამდენიმე მიუტევებელი შეცდომა ამ გუნდს ორ გოლად და მცირე ნერვიულობად დაუჯდა.

საშინაო გამარჯვებამ ბუნებრივია ყველა ძალიან გაახარა, მაგრამ განსაკუთრებული სიამაყის საბაბი, ალბათ, მაინც ტიერი ანრის ჰქონდა. ამის მიზეზი ის არის, რომ ფრანგმა ფორვარდმა „ბარსელონას" არსებობის განმავლობაში მე-700 ევროპული გოლი გაიტანა. მცირე იუბილე ვიქტორ ვალდესსაც ჰქონდა, მან „ბარსას" მაისურით ჩემპიონთა ლიგაში 50-ე შეხვედრა ჩაატარა. მატჩისშემდგომ პრესკონფერენციაზე პეპ გვარდიოლამ დიდი სტუმართმოყვარეობა გამოიჩინა და მიკროფონი კოლეგას, **კლოდ პუელს** დაუთმო: *„ჩვენ მოსაგებად გავედით, არ ვფიქრობდით, რომ უფრო შედეგიანი ყაიმის შემთხვევაში მეოთხედფინალში გავიდოდით. გადავწყვიტეთ, მხოლოდ მოგებაზე გვეფიქრა, მაგრამ ამ საქმიდან არაფერი გამოვიდა. „ბარსელონა" „ლიონზე" ბევრად ძლიერი აღმოჩნდა და სრულიად დამსახურებულად გაიმარჯვა. სამწუხაროდ, პირველ ტაიმში იმდენი შეცდომა დავუშვით, რომ თამაშის გადარჩენა შეუძლებელი გახდა."*

ახლა გვარდიოლას განცხადებასაც გავეცნოთ: *„დღეს ძალიან კარგად ვითამაშეთ. პირველ რიგში ის უნდა აღვნიშნო, რომ პოზიციურად გამართულად ვიასპარეზეთ. „ლიონი" სახიფათო გუნდი რომ არის, ამაში კიდევ ერთხელ დავრწმუნდით. ფაქტობრივად, ორი შეცდომა დავუშვით და ორივე შემთხვევაში დაგვსაჯეს. მადლობა ღმერთს, რომ „ბარსელონას" გენიალური თავდასხმა და შუახაზი ჰყავს. ჩვენ ხუთი გოლი შევაგდეთ და მომდევნო ეტაპზე გავედით. გულშემატკივრებს მეოთხედფინალის საგზურს ვულოცავ, მაგრამ აქვე შევახსენებ, რომ ჯერ არაფრისთვის მიგვიღწევია."*

**რომა–არსენალი 1:0, პენ 6:7 (0:1)**

გოლი: 1:0 ჟუანი (9)

„რომა" იტალიური ფეხბურთის ბოლო იმედი იყო. ბოლო იმიტომ, რომ აპენინური კლუბები მანამდე გამოეთიშნენ ასპარეზობას. **ლუჩანო სპალეტიმ** და მისმა ბიჭებმა კი დამატებით დროში თამაშის უფლება მოიპოვეს. დასამალი არ არის, რომ ევროპელი მიმომხილველების დიდი ნაწილი, „არსენალთან" „რომას" ასეთ წინააღმდეგობას არ ელოდა. მიუხედავად იმისა, რომ რომაელები სახლში თამაშობდნენ, მიმომხილველები მაინც ბრიტანელების გამარჯვებას წინასწარმეტყველებდნენ... თუმცა ჟუანის მიერ შეხვედრის დებიუტში გატანილმა გოლმა სიტუაცია მნიშვნელოვნად შეცვალა. ალბათ, ბევრი არ ელოდა, რომ **არსენ ვენგერის** გუნდი ამდენად საპასუხისმგებლო დაპირისპირებაში გოლს ასე მალე გაუშვებდა, მაგრამ ინგლისელებმა დაცვაში ძალიან უხეში შეცდომა დაუშვეს და საქმე ისე გაირთულეს, კინაღამ ჩემპიონთა ლიგის მიღმა აღმოჩნდნენ. ობიექტურად რომ ვიმსჯელოთ, ეს მერვედფინალური დუელი მთლიანობაში თანაბარი აღმოჩნდა. ამის გათვალისწინებით თამამად შეიძლება ითქვას, რომ პენალტების სერიამდე საქმის მისვლა სრულიად ლოგიკური იყო. „ოლიმპიკოზე" გოლის გატანის საშუალება ორივე გუნდს ჰქონდა, მაგრამ გოლის შემდეგ დარჩენილი 21 წუთი და დამატებითი დრო ისე ამოიწურა, რომ კარის ბადე აღარ შერხეულა. ხაზგასასმელია, რომ 11-მეტრიანების სერიამაც უშეღავათო და თანაბარ ბრძოლაში ჩაიარა. გუნდებმა მთლიანობაში 16 პენალტი დაარტყეს. გასაკვირი არ არის, რომ უფრო მტკიცე ნერვები ბრიტანელებს აღმოაჩნდათ.

არსენ ვენგერმა ძალიან გაიხარა და აღიარა, რომ ჯოჯოხეთურად ბევრი ინერვიულა: *„უნდა გამოგიტყდეთ, რომ შეხვედრის მსვლელობისას ჩემი გულის პულსმა სახიფათო ზღვარს მიაღწია. დიდი ხანია, ამდენი არ მინერვიულია. ჩვენთვის ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალში გასვლა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი იყო. ამ მიზნისთვის რომ არ მიგვეღწია, ალბათ, გავგიჟდებოდი. მადლობა ღმერთს, რომ ამოცანა შევასრულეთ. „რომამ" ძალიან ბევრი დაბრკოლება შეგვიქმნა. როცა დებიუტში გოლი გავუშვით, მივხვდი, რომ ცუდად იყო ჩვენი საქმე, მაგრამ არ შევშინდით და ბრძოლა გავაგრძელეთ. არ მინდოდა, საქმე პენალტებამდე მისულიყო. ჩემი ბიჭების ნერვების სიმტკიცეში ეჭვი არ მეპარება, მაგრამ 11-მეტრიანების სერია მაინც ლატარიაა და მეშინოდა, მეტოქეს უფრო მეტად არ გამართლებოდა. საბედნიეროდ, ბოლოს ყველაფერი ჩვენთვის სასარგებლოდ დასრულდა. შეიძლება, საქმე იმიტომ გავგირთულდა, რომ შეხვედრის დასაწყისში ძალიან ვნერვიულობდით. ვერ გეტყვით, ეს რამ განაპირობა. ჩემს შემადგენლობას არაერთი პრინციპული დაპირისპირება აქვს ჩატარებული და უცნაურია, რომ ნერვიულობამ ამდენი პრობლემა შეგვიქმნა."*

საბრალო სპალეტი ისეთ ხასიათზე იყო, დანა პირს არ უხსნიდა. მისთვის პენალტების სერიაში დამარცხება ძალიან მძიმე დარტყმა აღმოჩნდა. იტალიელ სპეციალისტს გულწრფელად სჯერა, რომ მომდევნო ეტაპის საგზურს მისი ბიჭები უფრო იმსახურებდნენ.

»»» 10



## უცხოური ფეხბურთი



ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალური ეტაპის მთავარი ინტრიგა ინგლისურ-იტალიური საკლუბო დაპირისპირება გახლდათ. გაკეთდა უამრავი პროგნოზი და ანალიზი იმისა, თუ როგორ შეიძლებოდა განვითარებულიყო მოვლენები. საბოლოოდ კი მივიღეთ შედეგი, რომელსაც ბევრი ნამდვილად არ მოელოდა - იტალიური საკლუბო ფეხბურთის სრული ფიასკო, 3:0 პრემიერლიგის სასარგებლოდ.

იტალიური საფეხბურთო საზოგადოება ამ ამბავმა საგონებელში ჩააგდო. ეს ის შემთხვევაა, როდესაც კრიტიკაც კი უადგილოა. ან ვინ უნდა გააკრიტიკო, რომელი ერთი? გუნდი, ფეხბურთელი თუ მწვრთნელი? სახეზეა ზოგადად, აპენინური საკლუბო ფეხბურთის ჩავარდნა და არა, რომელიმე ცალკე აღებული გუნდის.

გამოსავალზე პრესაში არაერთი სტატია დაიწერა და ერთ-ერთი მათგანი ამას წინათ შემოგთავაზეთ კიდეც. საუბარი გახლდათ ინფრასტრუქტურაზე და ამ მიმართულებით გადასადგმელ ნაბიჯებზე. ორი აზრი არ არსებობს, სტადიონები და სტადიონზე არსებული არცთუ ჯანსაღი ატმოსფერო გამოსასწორებელია, თუმცა მხოლოდ ამაშიც არ უნდა იყოს საქმე - იქნებ მოძველდა აპენინელი მწვრთნელების საფეხბურთო ფილოსოფია, მათი ზედმეტად ჩახლართული სტრატეგიები, რომელიც ხშირ შემთხვევაში ზედმეტად ფრთხილი და დაცვაზე ორიენტირებულია. მხოლოდ იტალიაში შეგვიძლია ვნახოთ უფორვარდო ტაქტიკა, რომელსაც ხშირად იყენებს **ლუჩანო სპალეტი**. იგივე, ერთბაშად ორი საყრდენი ნახევარმცველი, რომელსაც აპენინებზე ხშირად შეხვდებით. თავდამსხმელი, რომელიც დაცვითი ფუნქციებით არის გადატვირთული და ა.შ. და ა.შ.

ზუსტად ასეთი პათოსის გახლდათ გუშინდელი იტალიური პრესა. დიდი ადგილი დაეთმო საფეხბურთო სამყაროს ცნობილ პირებს, რომლებმაც არსებულ რეალობასთან დაკავშირებით საკუთარი მოსაზრებები გამოთქვეს. მაგალითად, **ენცო ბეარძოტი**, ვინაც იტალიაში დიდი ავტორიტეტით სარგებლობს და მის აზრს ყოველთვის უწევენ ანგარიშს. 1982 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის ტრიუმფატორმა საკმაოდ ვრცლად ისაუბრა:

*„რეალობას თვალი უნდა გავუსწოროთ და ვაღიაროთ, რომ დღეს ინგლისური გუნდები სხვებზე უკეთ გამოიყურებიან. გერმანელებს და ესპანელებს გაუმართლათ, რომ მეტოქეებად შედარებით სუსტი გუნდები ხვდათ წილად. მხოლოდ „რეალს" მოუწია პრემიერლიგის წარმომდგენელთან ჭიდილმა და თავადაც ნახეთ, როგორ დასრულდა ეს დუელი. ფაქტია, რომ ინგლისის ჩემპიონატი მუდმივად პროგრესირებს და თანდათან წამყვანი ლიგა ხდება ევროპული მასშტაბით. ბევრს საუბრობენ იმაზე, რომ ამის მთავარი მიზეზი უცხოური მილიარდებია. შესაძლოა ეს ასეც არის, თუმცა პირადად ჩემთვის ამას არსებითი მნიშვნელობა არ აქვს. მთავარი ის გახლავთ, რომ ბრიტანელები თანამედროვე ფეხბურთს თამაშობენ და მეტოქეებს ძალიან ბევრ კომპონენტში ჯაბნიან. თუნდაც ტემპი ავიღოთ, ინგლისელები დაულალავად დარბიან და თანაც გაცილებით სწრაფად, ვიდრე ჩვენი მოთამაშეები. როგორ უნდა გამოვიდეთ ამ სიტუაციიდან? - ერთმნიშვნელოვანი პასუხი არ არსებობს. საკითხს კომპლექსურად უნდა მივუდგეთ და ყველა კომპონენტში პროგრესზე ვიფიქროთ. ძალიან დიდ დროს ვუთმობთ ერთმანეთთან კინკლაობას, ურთიერთბრალდებებს, მუდმივ დავას, საქმე კი არ კეთდება. დღესაც კი პრესა ახალ სკანდალზეა ჩასაფრებული და ნუთუ გგონიათ, რომ ფეხბურთის განვითარება ასეთი ფორმებით შესაძლებელია? ჩემპიონთა ლიგის მიმდინარე გათამაშებამ ნათლად გვაჩვენა, რომ ბევრი პრობლემა გვაქვს. კარგი იქნება თუ მოვრჩებით უსაფუძვლო კრიტიკას, ლანძღვა-გინებას და საქმეს სერიოზულად მოვკიდებთ ხელს".*

იტალიური კლუბების ფიასკომ **ადრიანო გალიანიც** აალაპარაკა. მართალია, „მილანს" ინგლისელებთან „გუნდურ" მარცხში მონაწილეობა არ მიუღია, მაგრამ სენიორ ადრიანომ საჭიროდ ჩათვალა, არსებულ რეალობასთან დაკავშირებით საკუთარი ხედვა წარმოედგინა. მოვუსმინოთ მას:

*„იტალიური საკლუბო ფეხბურთის რეგრესის უმთავრესი მიზეზი მსოფლიოს ეკონომიკური კრიზისია. ჩვენს ქვეყანაში საფეხბურთო ინფრასტრუქტურა ძალიან დაბალ დონეზეა და ამ კრიზისმა, პრობლემის გადაჭრაში დიდად შეგვიშალა ხელი. ინგლისის კომფორტულ სტადიონებს გულშემატკივარი მუდმივად ავსებს, რაც კლუბისთვის ფინანსური კუთხით დიდი შეღავათია. გარდა ამისა, ბრიტანეთში კარგა ხანია დაინერგა უცხოური თანხების კლუბებში დაბანდება, რაც ასევე პოზიტიურად მოქმედებს ქვეყნის ფეხბურთის განვითარებაში. ასეთი ფორმით, პრემიერლიგა იოლად უმკლავდება ეკონომიკურ კრიზისს და ინარჩუნებს ბრძოლისუნარიანობას. ასე რომ, ერთადერთი გამოსავალი ინფრასტრუქტურის განვითარებაა. წინააღმდეგ შემთხვევაში, სერია A-მ შესაძლოა პრესტიჟი დაკარგოს და ევროპულ რეიტინგში მესამე პოზიციიდან კიდევ უფრო ქვემოთ დაეშვას. არადა, ყველას გვახსოვს, რომ 90-იან წლებში ბებერ კონტინენტზე ჩვენ ვდომინირებდით და შესანიშნავი შედეგებიც გვქონდა. ჩვენი მიზანი იმ სიმაღლეზე დაბრუნება უნდა იყოს – თუ მოვინდომებთ, ამას აუცილებლად მივაღწევთ".*

გალიანი კონკრეტულ დუელებსაც შეეხო: *„დარწმუნებული ვიყავი, რომ „მანჩესტერი" „ინტერს" გამოაგდებდა. თანაქალაქელებს ძლიერი გუნდი ჰყავთ, თუმცა „იუნაიტედი" საუკეთესოდ მიმაჩნია. ამ გუნდმა ბოლოს ლიგაზე 2007 წელს წააგო და ისიც „სან სიროზე", „მილანთან" შეხვედრაში. ჩემი აზრით, მიმდინარე გათამაშების მთავარი ფავორიტი სწორედ „მანჩესტერია". დიდია იმის ალბათობა, რომ ფინალში კვლავ ინგლისური გუნდები ვიხილოთ, ეს კიდევ ერთხელ გაუსვამს ხაზს პრემიერლიგის სიძლიერეს".*

საკუთარი პოზიცია დააფიქსირა იტალიის ოლიმპიური კომიტეტის თავმჯდომარემაც. **ჯანი პეტრუჩი** განბილებულია აპენინური გუნდების ასპარეზობით, თუმცა მომავალს ოპტიმიზმით უყურებს:

*„ჩემს გარშემო ყველა იმაზე საუბრობს, რომ იტალიური ფეხბურთი კვდება. ნუ ვიქნებით ასეთი პესიმისტუები და ვუყუროთ მომავალს იმედის თვალით. თუმცა აწმყოც არ არის ისეთი მძიმე, როგორც ეს ბევრს ეჩვენება. როდესაც იტალიურ და ინგლისურ ფეხბურთზე ვსაუბრობთ, პირველ რიგში სანაკრებო თემას უნდა შევეხოთ. კლუბებში უამრავი ლეგიონერია და დასკვნების გამოტანა უმადური საქმეა. რაც შეეხება ნაკრებებს, ყველამ კარგად იცის, ვინ რა სტატუსის მატარებელია. ისე კი, ჩვენი გუნდების გამოვარდნამ გული ძალიან დამწყვიტა. როგორც ჩანს, ამ ეტაპზე ბრიტანული კლუბები უკეთესად აღმოჩნდნენ მომზადებულნი. „რომას", „ინტერის" და „იუვენტუსის გაკრიტიკებას არ ვაპირებ, რაც შეეძლოთ, ის გააკეთეს".*

ბუნებრივია, ჟურნალისტებმა არც **ჯანკარლო აბატე** დაივიწყეს და კომენტარი მასაც სთხოვეს. იტალიის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი საკმაოდ უხასიათოდ გახლდათ, თუმცა ოპტიმისტური განწყობა მანაც გააჟღერა:

*„ინგლისელებმა გვაჯობეს და სათქმელიც ბევრი არაფერია. ფეხბურთში ყველაფერი ხდება და განგაშის ატეხვა საჭირო არ არის. იტალიურმა საკლუბო ფეხბურთმა მძიმე ოპერაცია გადაიტანა - კალჩოპოლს ყველაფრის სუფთა ფურცლიდან დაწყება მოჰყვა და ასეთი შედეგი სადღაც ლოგიკურიც გახლავთ. ჩვენმა გუნდებმა გაძლიერებაზე უნდა იზრუნონ, რომ მომავალში ასეთი რამ აღარ განმეორდეს. ბოლო პერიოდში ხშირად საუბრობენ არაობიექტურობაზე, მიკერძოებაზე, უნდა მორჩეს ამ თემით სპეკულირება. უმჯობესია, ყველამ ერთად კალჩოს განვითარებაზე ვიფიქროთ".*

აი, ასეთია იტალიელთა განწყობა კალჩოს ევროფიასკოს შემდეგ. თავადაც ხედავთ, რომ აპენინელები გამოსავლის ძიებაში არიან და გარკვეული დასკვნები გამოტანილიც აქვთ. დანარჩენს კი მომავალი გვიჩვენებს.

კალჩო ნალიგევს...

# სად არის გამოსავალი?

ეროვნული ბიბლიოთეკა

## იტალია ევროფიასკომ ჩააფიქრა...




გამოვიდა ახალი ნომერი

მეკარე

# აბიატიმ მესამეობა იუარა

„მილანისთვის" მიმდინარე სეზონი ერთმნიშვნელოვნად წარუმატებელია. ლომბარდიული გრანდი უეფას და იტალიის თასიდან ნაადრევად გამოვარდა, სკუდეტოს მოპოვების შანსი კი პრაქტიკულად დაკარგული აქვს. თუმცა, არის „მილანში" ერთი ადამიანი, რომელიც მიმდინარე სეზონით ძალიან კმაყოფილია. ეს, „როსონერის" გოლკიპერი **კრისტიან აბიატი** გახლავთ.

ნიჭიერი მეკარე თავის დროზე სათადარიგოთა სკამზე **დიდას** გამო აღმოჩნდა. შემდეგ, რამდენიმე წელი სხვადასხვა ქალაქში იმოგზაურა და მხოლოდ, სეზონის დასაწყისში დაუბრუნდა მშობლიურ გუნდს. **კარლო ანჩელოტი** აბიატის დაეყრდნო და არც წაუგია. კრისტიანი შესანიშნავად თამაშობს და მუდმივად მაღალ შეფასებებს იღებს.

იტალიურ პრესაში უკვე არაერთხელ გაიჟღერა მოსაზრებამ, რომელიც აბიატის ეროვნულ ნაკრებში გამოძახების აუცილებლობას შეეხო. გუშინ, კრისტიანმა ამ თემაზე კომენტარიც გააკეთა:

*„სკუადრა აძურაში" თამაში ნებისმიერი ფეხბურთელის ოცნებაა და გამონაკლისი არც მე ვარ. თუმცა უნდა გამოვტყდე, რომ მესამე მეკარეობის არავითარი სურვილი არ მაქვს. თუ ნაკრებში მესამე კიპერის რანგში მიხმეს, წასვლა-არწასვლის საკითხზე სერიოზულად დავფიქრდები. მარჩელო ლიპი აქცენტს ბუფონსა და ამელიაზე აკეთებს, ორივე დიდებული მეკარეა და სათქმელი არაფერი მაქვს. უბრალოდ, ჩემს პოზიციას ვაფიქსირებ - მესამეობას, მირჩევნია ეს ადგილი რომელიმე ახალგაზრდა გოლკიპერს დავუთმო. შეკრებებზე გამოცდილებას მაინც მიიღებს, რაც მომავალში დიდად გამოადგება. მიმდინარე სეზონით კი ძალიან კმაყოფილი ვარ. როგორც იქნა, მოვახერხე და „მილანის" ძირითადში დავმკვიდრდი. ბოლო წლებში მხოლოდ იმიტომ ვთამაშობდი, რომ ჩემს მშობლიურ კლუბში დავბრუნებულიყავი. დიდი მადლობა ანჩელოტის, ვინაც მენდო და სასტარტოში დამაყენა".*

გვერდი მოამზადა
**ლაშა ნიკლაურმა**



ინტერვიუ | რაფაელ და სილვა

# ფერგიუსონი მამასავით მეპყრობა

## ბრაზილიელს ინგლისში ყველაფერი მოსწონს, გარდა საშინელი ამინდებისა

**"მანჩესტერ იუნაიტედის"** მარჯვენა მცველმა რაფაელ და სილვამ უეფას ოფიციალურ ვებგვერდს საინტერესო ინტერვიუ მისცა, სადაც თინეიჯერი ბრაზილიელი მრავალ საინტერესო საკითხზე საუბრობს.

**- რას ნიშნავს თქვენთვის ჩემპიონთა ლიგაში თამაში? რას გეუბნებათ ხოლმე თამაშის წინ სერ ალექს ფერგიუსონი?**

- სერ ალექსი ჩემთვის მეორე მამასავითაა. მომწონს მასში ის თვისება, რომ რაც კი მის გარშემო ხდება, ყველაფრის ცოდნას ესწრაფვის. გასახდელში, როგორც წესი, ძალზე მშვიდია, თუმცა ხანდახან ისეც ხდება, რომ ემოციებად ილვრება. ის უამრავ დროს ხარჯავს იმაში, რომ ტაქტიკური დავალებები მაქსიმალურად მარტივი სიტყვებით გადმოგვცეს.

**- როგორ ფიქრობთ, შეძლებს თუ არა "მანიუ" პრესტიჟული ევროტიტულის შენარჩუნებას?**

- როცა ჩემს თანაგუნდელებს ვუყურებ, იმედი მიჩნდება, რომ შეძლებს. მნიშვნელოვანია, პატივისცემით მოვეპყროთ ჩვენს თითოეულ მეტოქეს. "იუნაიტედი" არაჩვეულებრივადაა დაკომპლექტებული და რაც მთავარია, თითქმის ყოველი მათგანი შარშანდელი ტრიუმფის მონაწილეა. ტიტულის შენარჩუნება წარმოუდგენლად რთული იქნება. ჩემპიონთა თასის მოგება ზედიზედ ორჯერ, ბოლოს, 19 წლის წინ, "მილანმა" მოახერხა. იქნებ ამ შეკითხვით ხელმეორედ რამდენიმე კვირაში მომმართოთ!

**- რომელი მომენტი დაგამასოვრდათ ყველაზე მეტად მას შემდეგ, რაც "მანჩესტერში" ჩაირიცხეთ?**

- რა თქმა უნდა, გოლი "არსენალის" კარში, რომელიც ჩემთვის პირველი აღმოჩნდა "ეშმაკების" რიგებში. თუ გახსოვთ, განსაკუთრებული გოლი იყო, დარტყმა შესანიშნავად გამომივიდა. კმაყოფილი დავრჩი ასევე "მანჩესტერ სიტის" წინააღმდეგ ჩატარებული შეხვედრით. თამაშის დასრულების შემდეგ ფერგიუსონმა მითხრა, რომ 90 წუთის განმავლობაში შევძელი რობინიოს დაჩრდილვა.

**- საყოველთაოდ აღიარებულია, რომ თქვენს ტყუპისცალ ფაბიოს თქვენზე არანაკლები მომავალი ელის. შეიძლება თუ არა თქვენი შედარება რობერტო კარლოსსა და კაფუსთან?**

- ყოველნაირად ვცდილობთ, ამ თემაზე არ ვიფიქროთ. ჩვენი ასეთი კალიბრის ფეხბურთელებთან შედარება ჯერ უსაშველოდ ადრეა. რობერტო და მარკუში ლეგენდარული ფეხბურთელები იყვნენ, რომელთაც მოიგეს ყველაფერი და ამასთან, წლების განმავლობაში ევროპული გრანდების წამყვანი ფეხბურთელები გახლდნენ. ჩვენ კი ჯერ იმას ვცდილობთ, რომ "მანჩესტერ იუნაიტედის" ძირითადში დავიმკვიდროთ ადგილი და ამით როგორმე ბრაზილიის ნაკრების თავკაცთა ყურადღება მივიპყროთ. თუმცა საერთოც ბევრი გვაქვს, ყველანი ბრაზილიელები დავიბადეთ, ვართ განაპირა მცველები და გვიყვარს შეტევაში ჩართვა.

**- უშვებთ თუ არა ვარიანტს, რომ მიჰბაძოთ რაიან გიგზს და კარიერის ბოლომდე "მანჩესტერ იუნაიტედში" დარჩეთ?**

- გიგზი "იუნაიტედის" ლეგენდაა - მისი ერთგულება და თავდადება ყველა ჩვენგანისთვის მისაბაძია. ამასთან ერთად, ყველას თავისი ბედისწერა აქვს. ისეც ხდება, რომ ფეხბურთელი კლუბს თავისი ნების საწინააღმდეგოდ ტოვებს. ჩემი მხრიდან ერთ რამეს გპირდებით: ყველაფერს გავაკეთებ, რომ ჩემი საუკეთესო ფეხბურთი სწორედ "ოლდ ტრეფორდზე" ვითამაშო და გუნდთან ერთად უთვალავი ტიტული მოვიგო.

**- თქვენ ბრწყინვალედ თამაშობთ. თქვენი ძმაც არანაკლები პოტენციალის ფეხბურთელია. როგორ ფიქრობთ, მინდორზე ორივეს ერთად როდის გიხილავთ?**

- ჩვენ ჯერ კიდევ ძალიან პატარები ვართ. ფაბიოს აუცილებლად მიეცემა შანსი, რომ თავისი პოტენციალი მთელი ბრწყინვალებით წარმოგვიდგინოს. ამ ეტაპზე კი ჯერ მხოლოდ ვსწავლობთ და ვცდილობთ, გუნდს ცოტათი მაინც დავეხმაროთ.

**- ყველაზე მეტად "იუნაიტედის" რომელ ფეხბურთელს მიიჩნევთ თქვენი შთაგონების წყაროდ?**

- გუნდის გასახდელში ძმები დღემდე თავს ცოტათი შებოჭილად ვგრძნობთ, რადგან თავს გვახვევიან მსოფლიო ფეხბურთის მეგავარსკვლავები. როცა მათ ახლოს გაიცნობ, ცხოვრება ბევრად უფრო მარტივდება. რიო ფერდინანდი ალბათ საუკეთესო თანაგუნდელია. ის ყოველთვის იღიმის და ხუმრობს. გიგზი და სქოულზი უკვე წლებია, უმაღლეს დონეზე ასპარეზობენ და ამის მიუხედავად სულაც არ ეთაკილებათ, რომ მხარი დაგიჭირონ ყველაზე მარტივ სიტუაციაშიც კი. რაც მთავარია, სერ ალექს ფერგიუსონს განუმეორებელი ქარიზმა აქვს. ჩვენ ბედნიერები ვართ, რომ მისი შეგირდები გვქვია.


ეროვნული ბიბლიოთეკა

**- რომელი ევროპული კლუბის მიმართ გქონდათ განსაკუთრებული სიმპათია?**

- ბავშვობაში ჩვენთან ინგლისის ჩემპიონატის თამაშებს ვერ ვუყურებდით... შეგვეძლო მხოლოდ ესპანეთისა და იტალიის პირველობების თვალყურის დევნება. მე და ფაბიოს "რეალისა" და "ბარსელონას" ფეხბურთი მოგვწონდა, თუმცა სიმართლე ითქვას, განსაკუთრებული ფანატიზმის გარეშე ვგულშემატკივრობდით.

**- თქვენ სულ რაღაც 18 წლის ხართ, ნერვიულობასა და ზეწოლას როგორ უმკლავდებით? ყველაზე მეტად რითი იღებთ სიამოვნებას ისეთი დიდი ტრადიციების კლუბში თამაშით, როგორიც "იუნაიტედია"?**

- უბრალოდ, ვაკეთებ ჩემს საქმეს და ვცდილობ, სხვა თემებზე ყურადღება არ გადავიტანო. რამდენიმე წლის წინ ოცნებასაც კი ვერ გავბედავდი, რომ ერთ დღესაც "მანიუს" ფორმას მოვირგებდი. აქ საქმე მხოლოდ გამართლებაში არ არის. ჩვენი თამაშით სახელგანთქმული კლუბის ყურადღება მივიპყრეთ და მან ინგლისში მიგვიწვია. ამ ფაქტმა საკუთარი ძალების მეტი რწმენა მოგვცა. რაც შეეხება კითხვის მეორე ნაწილს, გეტყვით, რომ ინგლისში ყველაფერი მომწონს, გარდა საშინელი ამინდებისა.

**- გაქვთ თუ არა გარკვეული მეგობრული პაექრობა თქვენს ძმასთან?**

- დიახ, მაგრამ ჩვენ ძალიან გვიყვარს ერთად თამაში. სწორედ ამ დღეებში ხუმრობით მითხრა, რომ "არსენალის" კარში გატანილი გოლი ცხოვრების ბოლომდე უნდა მახსოვდეს, რადგან ეს იყო ალბათ ის ბედნიერი გამონაკლისი, როცა მე მასზე მეტი გოლის გატანა მოვახერხე. ახალგაზრდულ ტურნირებზე ხომ ფაბიოს ყოველთვის ჩემზე მეტი გაჰქონდა.

**- როგორ ფიქრობთ, რომელი გამორჩეული ბრაზილიელი ტალანტი გადმოვა უახლოეს ევროპულ გრანდში და ვინ მიაღწევს წარმატებას?**

- რთული კითხვაა, რადგან ჩვენთან, ბრაზილიაში უამრავი უნიჭიერესი ფეხბურთელი თამაშობს. მათ შორის ბევრს შეუძლია სახელოვანი კარიერა გაიკეთოს - მაგალითად, მე და ფაბიოს...



ჰოლანდიური ამბები

# დუდეკი ფეიენოორდში დაბრუნდება

## ნარინჯისფრები მესამე ადგილზე დარჩნენ

**იეჟი დუდეკმა** დაადასტურა სურვილი, მიმდინარე სეზონის შემდეგ კარიერა „ფეიენოორდში" განაგრძოს. გამოცემა „ნოსის" თანახმად, პოლონელი მეკარე ყველაფერს გააკეთებს, რათა დატოვოს მადრიდის „რეალი", რადგან **იკერ კასილიასის** ხელში მას სათამაშო პრაქტიკის მიღების შანსი თითქმის არ აქვს. ფეხბურთელის თქმით, მის გადაწყვეტილებაზე დიდად იმოქმედა „ენფილდ როუდზე" სამეფო კლუბის კრახმა. ერთ-ერთი ჰოლანდიური ვებგვერდის ჟურნალისტებმა შეძლეს ფეხბურთელთან დაკავშირება და აი, რას აცხადებს 35 წლის ვეტერანი: *„შეიძლება კარიერაში ბოლო სეზონი მქონდეს წინ... სწორედ ამიტომ არ მინდა, მთელი წელი უსაქმოდ ვიჯდე. სრულფასოვანი სათამაშო პრაქტიკა მსურს და იმედია, „ფეიენოორდში" ამას მივაღწევ კიდეც. იმ შემთხვევაში, თუკი ტრანსფერი არ შედგა, დიდი ალბათობით, ბუცებს ლურსმანზე ჩამოვკიდებ"*. რამდენიმე დღის წინ გავრცელდა ინფორმაცია, რომ მხარეებმა წინასწარ შეთანხმებას უკვე მიაღწიეს, მაგრამ როტერდამელთა ახალმა ტექნიკურმა დირექტორმა **ლეო ბეენჰაკერმა** აღნიშნული კატეგორიულად უარყო, თუმცა არც ის უთქვამს, რომ კლუბი ამის წინააღმდეგი იყო. შეგახსენებთ, რომ დუდეკი „ფეიენოორდში" 1996/2001 წლებშიც თამაშობდა და სწორედ იმ დროიდან მოყოლებული, დღევანდელ დღემდე, ის გულშემატკივართა საყვარელ ფეხბურთელად მიიჩნევა. ჰოლანდიური გრანდი ახალ კარის დარაჯს მას მერე ეძებს, რაც **მარიო ბეენმა** განაცხადა, რომ ის არ აპირებს „ფეიეს" მეკარე **ჰენკ ტიმერთან** თანამშრომლობას.

როგორც „ეინდჰოვენს დანბლადი" გვატყობინებს, პსვ მზადაა, „ჰერენვენს" სარფიანი წინადადებით მიმართოს 21 წლის თავდამსხმელის **როი ბეერენსის** ტრანსფერთან დაკავშირებით. სხვადასხვა წყაროზე დაყრდნობით, შეგვიძლია დაგისახელოთ ფეხბურთელის სავარაუდო ღირებულება 6,5-7 მილიონი ევრო. აღნიშნული ტრანსფერი როისთვის, პრაქტიკულად, შინ დაბრუნებად შეიძლება ჩაითვალოს. ბეერენსი ხომ ფეხბურთის ანაბანას სწორედ „ეინდჰოვენში" ეზიარა. „ჰერენვენში" ის მხოლოდ სათამაშო პრაქტიკის მისაღებად გადავიდა. მარჯვენა თავდამსხმელი წელს ბრწყინვალედ ასპარეზობს. ერედივიზიონში მის ანგარიშზე 23 თამაშში გატანილი 8 გოლი და 9 შედეგიანი გადაცემაა. როი ჰოლანდიის მეორე ნაკრებშიც კი მიიწვიეს. ახალგაზრდა ფორვარდის მიმართ ინტერესს ზრდის ის გარემოება, რომ სეზონის ბოლოს გუნდს **იბრაჰიმ აფელაი** ტოვებს (სახელდება მილანის "ინტერის" ვარიანტი).

„ეინდჰოვენში" კვლავ არ ასახელებენ იმ სპეციალისტის ვინაობას, რომელიც მომავალ სეზონში კლუბს ჩაიბარებს. ჯერჯერობით, მთავარ პრეტენდენტად ასახელებენ „შალკეს" დამრიგებელ **ფრედ რუტენს**. მოგეხსენებათ, რუტენის მფარველი, „ხუმარათა" გენერალური მენეჯერი **ანდრეას მიულერი** დაკავებული თანამდებობიდან გაათავისუფლეს. ამბობენ, რომ ჰოლანდიელ სპეციალისტს „შალკეში" მომავალი არ აქვს.

ჰოლანდიის ეროვნული ნაკრები ფიფას ყოველთვიურ რეიტინგში იანვარშიც მესამე ადგილზე იმყოფებოდა. "ნარინჯისფრებმა" ეს პოზიცია თებერვლის ცხრილშიც შეინარჩუნეს. სიას სათავეში უდგას ესპანეთის ნაკრები, მას კვალში უდგას გერმანია, შემდეგ მოდიან - იტალია (4), ბრაზილია (5), არგენტინა (6), ხორვატია (7). პორტუგალიის ნაკრებმა მე-12-დან მე-10-ზე გადაინაცვლა. მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში ჰოლანდიელთა მეტოქეებმა რეიტინგში საერთო სურათი გამოიკეთეს. ასე მაგალითად: შოტლანდიამ 32-დან 28-ე პოზიციაზე გადაინაცვლა; ნორვეგიამ 56-დან - 45-ზე, ისლანდიამ ორი პოზიცია მოიგო და ამჟამად 75-ეა; დაქვეითდა მხოლოდ მაკედონია, რომელიც იანვარში 57 გახლდათ და თებერვლის რეიტინგში 61-ეა.

გვერდი მოამზადა
**შალვა ბიბილაშვილმა**

თმის გადანერგვის კლინიკა
«თალიზი»
თმის გადანერგვის პირველი სპეციალიზებული კლინიკა ამიერკავკასიაში
თმის აღდგენითი ქირურგიის საერთაშორისო საზოგადოების -ISHRS- წევრი



მრავალწლიანი გამოცდილება, ხარისხი, გარანტირებული შედეგები
უახლესი ამერიკული მეთოდები, მხოლოდ ჩვენთან!
ფოლიკულური გაერთიანებების მასშტაბური ტრანსპლანტაციები, სტერეომიკროსკოპული ტექნოლოგია, FOX-პროცედურები, წარბებისა და წამწამების გადანერგვა
თმის გადანერგვა ხორციელდება 2-3 საათში უმტკივნეულოდ
გადანერგილი თმა ბუნებრივად იზრდება და არ ცვივა.
კონსულტაციები უფასოა და ანონიმური.
მისამართი: ქ. თბილისი, ტაშკენტის ქ. №27
ტელ.: 25-37-39; 37-50-89; 899-53-07-10 www.talizi.ge

## უცხოური ფეხბურთი

««« 6

### მანჩესტერ იუნ–ინტერი 2:0 (0:0)

გოლები: 1:0 ვიდიჩი (4), 2:0 რონალდო (49)

„მანჩესტერისა“ და „ინტერის“ დაპირისპირება, რა თქმა უნდა, ყველაზე დიდ ინტერესს იწვევდა. მით უმეტეს, „სან სიროზე“ გამართულ შეხვედრას არაფერი გაურკვევია. ამიტომ, მზერა ყველას „ოლდ ტრეფორდისკენ“ ჰქონდა მიმართული და ლეგენდარულ სტადიონზე დიადი მატჩის გამართვას ელოდებოდა. ვერ ვიტყვით, რომ საზოგადოების მოლოდინი სრულად გამართლდა, ეს შეხვედრა ყველა დროის საუკეთესო მატჩებს შორის ფეხს ნამდვილად ვერ მოიკიდებს, მაგრამ ვერც იმას ვიტყვით, რომ მატჩი მოსაწყენი და არასანახაობრივი იყო. სულაც არა, სახიფათო შეტევები თითქმის მთელი მატჩის განმავლობაში ხორციელდებოდა. აგრესიული მანჩესტერელები არაფრის დათმობას არ აპირებდნენ. **ჟოზე მოურინიო** იმ ადამიანთა კატეგორიას არ განეკუთვნება, რომლებსაც ვინმესი შეეშინდებათ. პორტუგალიელმა სპეციალისტმა ბიჭები საკმაოდ თამამად ათამაშა, მაგრამ ოთხშაბათს გამოჩნდა, რომ „მანჩესტერ იუნაიტედი“ ბევრად უფრო გამართული და ჩამოყალიბებული გუნდია. ეს არც არის გასაკვირი, რადგან სერ **ალექს ფერგიუსონი** უკვე ძალიან დიდი ხანია ამ გუნდს ავარჯიშებს და სრულყოფილებასთან მის მისაახლოებლად გაცილებით მეტი დრო და საშუალება ჰქონდა. თუ მოურინიოს მშვიდად მუშაობის საშუალებას მისცემენ, „ინტერი“ მომდევნო წლებში სულ სხვა ფეხბურთს ითამაშებს. დღესდღეობით კი „ნერაძურისთვის“ „მანჩესტერ იუნაიტედი“ მსუყე ლუკმა აღმოჩნდა. მიუხედავად იმისა, რომ მომენტები იტალიელებსაც ჰქონდათ, გამარჯვება, ცხადია, „წითელი ეშმაკები“ უფრო იმსახურებდნენ. ობიექტურად უნდა ითქვას, რომ „ინტერს“ **ვიდიჩის** მიერ გატანილმა სწრაფმა თავურმა გოლმა საქმე მნიშვნელოვნად გაურთულა. ბუნებრივია, იტალიელებს ნებისმიერ შემთხვევაში უნდა გაეტანათ, მაგრამ ერთია, როცა ორი გუნდი თანაბარ მდგომარეობაში იმყოფება და მეორე, როცა ერთ-ერთი მეოთხე წუთზე მდევრის როლში აღმოჩნდება. ინგლისელებმა მეორე ბურთი მეორე ტაიმში გაიტანეს. ეს გოლი კლასიკური მანჩესტერული შეტევის შედეგი გახლდათ. **უეინ რუნიმ** მარცხნიდან ჩაკიდა და **კრისტიანო რონალდომ** ეფექტური თავური დარტყმით ლამაზი გოლი გაიტანა.

„მანჩესტერ იუნაიტედმა“ ჩემპიონთა ლიგაში ზედიზედ 21-ე შეხვედრა ჩაატარა წაუგებლად. ამით, ბრიტანულმა გრანდმა 1972 წელს „იუვენტუსის“ მიერ დაფიქსირებული რეკორდი გააუმჯობესა. მაშინ „ბებერმა ქალბატონმა“ ზედიზედ 20 შეხვედრა განვლო წაუგებლად. ბუნებრივია, რეკორდის დამყარება ბედნიერების კიდევ ერთი საბაბია. აქვე გეტყვით, რომ „წითელი ეშმაკები“ ევროარენაზე ბოლოს 2007 წელს, „მილანთან“ დამარცხდნენ (0:3).

სერ ალექს ფერგიუსონმა გამარჯვება ასე შეაფასა: *„ძალიან მძიმე და დაძაბული შეხვედრა გვქონდა, მაგრამ ყველა სირთულე გადავლახეთ და მეოთხედფინალში გავედით. ეს ძალიან დიდი მიღწევაა, რადგან დღეს დიდი გუნდი დავამარცხეთ. ალბათ, „მანჩესტერს“ უფრო მეტად გაუმართლა. იღბალის გარეშე ამ შეხვედრას ვერც ერთი გუნდი მოიგებდა. ანგარიშის გახსნის შემდეგ, შევძლოთ, თამაში მოგვეკლა. ყველა ზონა დაგვეკეტა და ანგარიშის შენარჩუნებაზე გვეზრუნა, მაგრამ ასე არ მოვიქეცით. ესტებან კამბიასოს მოქმედების თავისუფლება შევუზღუდეთ და არაჩვეულებრივი შედეგი მივიღეთ. ჩემი აზრით, „მანჩესტერმა“ მეორე ტაიმში ბევრად უკეთ ითამაშა. ფართო საზოგადოების გასაგონად უნდა ვთქვა, რომ ჩემს გუნდს გაცილებით უკეთ თამაშის უნარი შესწევს. დარწმუნებული ვარ, მომდევნო შეხვედრებში ბიჭები პოტენციალს უფრო მეტად გამოავლენენ.“*

**ჟოზე მოურინიო** ჩემპიონთა ლიგიდან გამოვარდნით, რა თქმა უნდა, ძალიან უკმაყოფილო და იმედგაცრუებული დარჩა: *„გაბრაზებული ნამდვილად არ ვარ, იმიტომ, რომ საკმაოდ მაღალი დონის ფეხბურთი ვაჩვენეთ. ჩემმა კოლეგამ სამართლიანად აღნიშნა, „მანჩესტერს“ უფრო მეტად გაუმართლა, თუმცა, რა თქმა უნდა, იმასაც ვიტყვი, რომ მასპინძლებმა უკეთ ითამაშეს. მიუხედავად ამისა, ჩვენი თავდადება ანგარიშმა სამართლიანად არ ასახა. 2:0 წაგებას ნამდვილად არ ვიმსახურებდით. ჩემმა ფეხბურთელებმა ხასიათის შესაშური სიმტკიცე გამოამჟღავნეს.“*

### პორტუ–ატლეტიკო 0:0 (2:2)

„ატლეტიკომ“ ჩემპიონთა ლიგა უღიმღამოდ დაასრულა. ჯგუფურ ეტაპზე ჩატარებული რამდენიმე არაჩვეულებრივი შეხვედრის შემდეგ მადრიდელებმა მერვედფინალში ღირებული ვერაფერი გააკეთეს. პირველ თამაშში ესპანელებმა დაცვაში ბევრი შეცდომა დაუშვეს. პორტუგალიაში დაცვა აშკარად უფრო მობილიზებული გახლდათ, მაგრამ შეცდომებისგან თავი მაინც ვერ დაიზღვიეს. განსხვავება ის გახლდათ, რომ „პორტუმ“ ეს შეცდომები ველარ გამოიყენა. **ლეო ფრანკო** რომ არა, „ატლეტიკო“, ალბათ, რამდენიმე გოლს გაუშვებდა. არგენტინელ მეკარეს ძელიც დაეხმარა. სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ მადრიდელებიც ცდილობდნენ გოლის გატანას, მაგრამ თვალში საცემი იყო, რომ თავდასხმის ხაზი ნახევარდაცვას მოწყვეტილი იყო. **კუნ აგუერო** პრაქტიკულად ვერაფერს აკეთებდა. ბუნებრივია, ეს არ გახლდათ, **აბელ რესინოს** ჩანაფიქრი. უბრალოდ, „ატლეტიკო“ წელში „პორტუს“ ნახევარდაცვამ გაწყვიტა. აგუერომ მატჩისშემდგომ პრესკონფერენციაზე თავი იმით იმართლა, საჭირო დახმარება ვერ ვიგრძენი და მიტოვებულ კაცს მარტო რა უნდა გამეკეთებინაო...

აბელ რესინომ მსაჯის მიერ დაშვებულ შეცდომებზე გაამახვილა ყურადღება: *„სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ სიმაო წესების დარღვევით შეაჩერეს. მსაჯმა 100-პროცენტიანი პენალტი არ დაგვინიშნა, ამიტომ, თავს უფლებას მივცემ და ვიტყვი, რომ არბიტრის შეცდომამ ჩვენს ცხოვრებაზე პირდაპირი გავლენა იქონია. ის პენალტი რომ დაენიშნა, მეოთხედფინალში გავიდოდით.“*

**ილია ნიკოლაიშვილი**



ეს საინტერესოა










ეროვნული ბიბლიოთეკა

# სანტა კრუსი და სატნა კრუსი

## ასეთი რამ პრემიერლიგაშიც ხდება

„ბლექბერნში“ არაერთხელ განუცხადებიათ, რომ დიდი სურვილი აქვთ, **როკე სანტა კრუსი** გუნდში დატოვონ, თუმცა ეს ასე რომ არ მოხდება, ალბათ, ყველას კარგად მოეხსენება. სამხრეთამერიკელი კარიერას, სავარაუდოდ, „მანჩესტერ სიტიში“ განაგრძობს. ამასობაში ინგლისელმა ჟურნალისტებმა გულშემატკივართა ყურადღება ერთ ფრიად დელიკატურ გარემოებას მიაპყრეს: 1-ელ მარტს „ვარდებმა“ „ჰალ სიტისთან“ გასვლითი შეხვედრა მოიგეს. ექსბაიერნელმა მინდორზე 87 წუთი გაატარა. ამ ფაქტში განსაკუთრებული საინტერესო არაფერი იქნებოდა რომ არა... გვარი, რომელიც ფეხბურთელს ზურგზე ეწერა - Satna Cruz. დიახ, დიახ, ფეხბურთელს გვარი შეცდომით ეწერა. ბარემ აქვე გეტყვით, რომ ეს არ არის პირველი შემთხვევა, როცა „ბლექბერნში“ ასეთი რამ ეშლებათ. 2007 წლის ნოემბერში ანალოგიური დაუდევრობის მსხვერპლი გახდა **დევიდ ბენტლი**, რომელსაც პრემიერლიგის შეხვედრაში Bentley-ის ნაცვლად Betnley ეწერა. ყურადღება მიაქციეთ, ორივე შემთხვევაში დაშვებულია იდენტური შეცდომა - nt-ს ნაცვლად tn წერია. როგორც ჩანს, ეს გარკვეული „ტრადიციაა“.

თუმცა ამ საქმეში მხოლოდ მხოლოდ „ბლექბერნი“ არ სცოდავს. 1997 წლის „ჩერითი შილდის“ მატჩში **დევიდ ბექჰემის** გვარი Beckham-ის ნაცვლად ეწერა Beckam. კიდევ უფრო გაუგებარია, როგორ შეეშალათ და როგორ დააწერეს **ტომაშ კუშჩაკს** (Kuszczak) Zuszczak-ი.

**შალვა ბიბილაშვილი**

ბაიერნი

# რიბერი შაბათს დაბრუნდება

## ვან ბუიტენს ინგლისელთა რიდი აქვს

„ბაიერნის“ ფრანგმა მეგავარსკვლავმა **ფრანკ რიბერიმ** მცირე ტრავმის გამო უკვე ორი თამაში გამოტოვა. მიუხედავად უდავო ლიდერის არყოფნისა, რეკორდმაისტერმა ჯერ „ჰანოვერს“ გადაუარა (5:1), შემდეგ კი „სპორტინგს“ 7:1. მერე რა, რომ გუნდი შთამბეჭდავად ათამაშდა, რიბოს ადგილი ძირითად შემადგენლობაში წამითაც კი არავის დაუყენებია ეჭვქვეშ (არ ვგულისხმობთ მხოლოდ ტვინნალრძობ გულშემატკივრებს). **იურგენ კლინსმანის** ბიჭებს შაბათს „ბოხუმთან“ გასვლითი თამაში აქვთ და ბუნებრივია, ფანები ფრანგის ძირითადში გამოჩენას ელიან. „ბაიერნის“ ექიმების დასკვნით, ის სრულიად ჯანმრთელია და რურელთა წინააღმდეგ მთელი ძალით შეეძლება თამაში. საბრძოლო განწყობაზეა თავად რიბერიც. ბუნდესლიგის ოფიციალური ვებგვერდის ცნობით, კლინსი სერიოზულ დანაკლისს მაინც ვერ ასცდა - „ბოხუმთან“ ვერ ითამაშებენ **ლუკა ტონი, ტიმ ბოროვსკი** და **ჰამით ალთინთოფი**. მიუნხენელები მოუთმენლად ელიან, რომ მინდორზე გამოჩნდება 19 წლის **თომას მიულერიც**. იმედია, კლინსმანი მას რამდენიმე წუთით მაინც მისცემს თავის გამოჩენის შანსს. თომასს წელს ერთი თამაში უკვე აქვს ჩატარებული ბუნდესლიგაში.

„ბაიერნის“ ბელგიელმა ცენტრალურმა მცველმა **დანიელ ვან ბუიტენმა** მცირე კომენტარი გააკეთა „სპორტინგთან“ გამართული ორთამაშიანი დუელის შემდეგ. მისი თქმით, პორტუგალიელებთან 12:1 მოგებულ დაპირისპირებას უკვე ალარავითარი მნიშვნელობა არ ექნება მეოთხედფინალურ ეტაპზე, სადაც გუნდმა უკვე ყველაფერი ნულიდან უნდა დაიწყოს. *„ჩემპიონთა ლიგაში ყოველ დღე არ იგებ თამაშს 7:1-ს,* - აცხადებს ბელგიელი. - *მოხარული ვართ, რომ ასეთი შედეგი მივიღეთ, მაგრამ უკვე დროა, შემდგომ დაპირისპირებებზე გადავერთოთ. დიახ, „სპორტინგთან“ შესანიშნავად ვითამაშეთ, მაგრამ შემდგომ ეტაპზე ბევრად უფრო რთული მატჩები გველის. დარწმუნებული ვარ, რომ მეოთხედფინალში უკლასო გუნდები ვერ მოხვდებოდნენ. ამ ეტაპზე სულაც არ მინდა, რომელიმე ინგლისურ გუნდთან დაპირისპირება, რადგან მათ სტადიონებზე ბრწყინვალე ატმოსფერო სუფევს, თანაც მათი და ჩვენი სათამაშო სტილი ერთმანეთს ჰგავს. ოთხივე პრემიერლიგელს ლიგაში გამარჯვების ღირსეულ პრეტენდენტად დავასახელებდი. ასეთ სტატუსს მივანიჭებდი „ბაიერნსაც“.*

**შალვა ბიბილაშვილი**




ამბები

### ევროპელები პლატინის მხარს უჭერენ

ევროპის წამყვანმა კლუბებმა და ლიგებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი უეფას პრეზიდენტის მიშელ პლატინის იდეას, რომლის თანახმადაც, 18-წლამდელი ფეხბურთელების ტრანსფერი უნდა აიკრძალოს, - გვამცნობს სააგენტო „როიტერი“. პლატინის თქმით, ხსენებული აკრძალვის შემოღება აუცილებელია, რათა აფრიკიდან და სამხრეთი ამერიკიდან „უნვერული“ ფეხბურთელების მასობრივი გადინება შეწყდეს. ბუნებრივია, ხსენებული კატეგორიის მოთამაშეთა ძირითადი ბაზარი ევროპის კონტინენტია. უეფას განცხადებაში ნათქვამია, რომ პრინციპული შეთანხმება მხარეთა შორის უკვე მიღწეულია და მას მალე მიეცემა კანონის სახე. კანონპროექტი ითვალისწინებს არასრულწლოვანი ფეხბურთელების ვალდებულებას, გააფორმონ ხელშეკრულება იმ კლუბთან, სადაც მათ საწყისი საფეხბურთო განათლება მიიღეს. მედალს მეორე მხარეც აქვს, საკითხავია, რამდენად ეთანხმება „კონტრაქტის გაფორმების ვალდებულება“ ევროკავშირის კანონმდებლობას. არსებობს ეჭვი, რომ თუკი აღნიშნული პროექტი დამტკიცდა, მას ხანგრძლივი სასამართლო გარჩევები მოჰყვება.

**შალვა ბიბილაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

მძლეოსნობა




მარიამ ქევხიშვილი

## ქევხიშვილი სეზონის საუკეთესო მძლეოსანი

ქართველმა მძლეოსანმა **მარიამ ქევხიშვილმა** საუნივერსიტეტო სპორტში დიდ აღიარებას მიაღწია - სამხრეთ-აღმოსავლეთის კონფერენციის (საუნივერსიტეტო სპორტი აშშ-ში რამდენიმე კონფერენციად იყოფა) ხელმძღვანელობამ იგი სეზონის საუკეთესო მძლეოსან ქალად აღიარა. ვაჟებში ეს ტიტული სიმაღლეზე მხტომელ **კრისტიან ტეილორს** ერგო. შეგახსენებთ, რომ კონფერენციის ჩემპიონატი მარიამმა ამ რამდენიმე დღის წინ მოიგო მისთვის რეკორდული შედეგით - 17,94. ქართველმა ბირთვის მკვრელმა სეზონში ყველა საუნივერსიტეტო შეჯიბრებაში იმარჯვა და დამსახურებულადაც გახდა საუკეთესო მძლეოსანი. ფლორიდის უნივერსიტეტის ქართველი ბირთვის მკვრელი, მალე ამერიკის საუნივერსიტეტო ჩემპიონატში იასპარეზებს, სადაც ფავორიტად მიიჩნევა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

მშვილდოსნობა

## თბილისის თასი აღდგა

6 მარტს სპორტული კლუბის „თბილისელების" ბაზაზე გაიმართა თბილისის თასის ღია გათამაშება მშვილდოსნობაში. ამ შეჯიბრებაში სულ 24-მა კადეტმა და იუნიორმა მშვილდოსანმა იასპარეზა. როგორც თბილისის მშვილდოსნობის ფედერაციის პრეზიდენტმა **გიორგი ბიჭიაშვილმა** გვითხრა, თბილისის თასი მერიისა და ფედერაციის თაოსნობით 6-წლიანი პაუზის შემდეგ აღდგა. პროგრესია მონაწილეთა რაოდენობაშიც, ადრე ასეთ ტურნირში 10-მდე იუნიორი მშვილდოსანი თუ გროვდებოდა. გოგონებში თბილისის თასი **ქეთევან მაცაბერიძემ** („თბილისელები") მოიგო, ხოლო ბიჭებში - **დავით ჭელიძემ** (თსუ), მან აბსოლუტურშიც იპირველა. კადეტებში გოგონებში **თამთა ოსაძემ** („თბილისელები") იმარჯვა, ხოლო ბიჭებში - **თორნიკე რიჟამაძემ** (ასპინძა). აქ აბსოლუტური პირველობა ოსაძეს დარჩა. სხვათა შორის, სპორტული კლუბი „თბილისელები" ახალია, ის სექტემბერში გაიხსნა. კლუბის ბაზა ვაკეში, მიხეილ მესხის სახელობის სტადიონზე მდებარეობს.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ბოლდერინგი

## პირველი ოფიციალური...

დღეს და ხვალ საქართველოს მთამსვლელთა ეროვნული ფედერაცია და „მაგთი" ა. ჯაფარიძის სახელობის საქართველოს ალპური კლუბის სპორტული დარბაზი, ხელოვნურ კლდეზე ბოლდერინგში საქართველოს პირველ ოფიციალურ ასპარეზობას, **ირაკლი გელდიაშვილის** მემორიალს უმასპინძლებს.

*„ამიერიდან მთელ მსოფლიოში პოპულარულ სპორტის ამ სახეობაში შეჯიბრებებს ყოველწლიურად ჩავატარებთ. პირველ მონაწილეთა შორის იქნებიან თბილისის, ქუთაისის, ბათუმის, ლენტეხის, მესტიისა და ყაზბეგის საუკეთესო მთამსვლელები"* — უთხრა „ლელოს" კორესპონდენტს მთამსვლელთა ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტმა **გივი ქართველიშვილმა.**

ჩოგბურთი

## კალაშნიკოვას დუბლი აღარ გამოუვა

18 წლის ოქსანა **კალაშნიკოვა** (387) კვლავ წინ მიიწევს. გიზაში (ეგვიპტე) 10-ათასიანი ტურნირის მერვედფინალში ჩვენებურმა ორ სეტში დაამარცხა თავისი მაროკოელი მეწყვილე **ფატიმა ელ ალამი** (519) - 7:5, 6:4. ტურნირის მეოთხედფინალში ოქსანას კვლავ მაროკოელი მეტოქე ეყოლება, ამჯერად **ნადია ლალამი** (706), რომელმაც ამ ეტაპამდე საკვალიფიკაციო ბადიდან გაიკაფა გზა. ლალამი კალაშნიკოვას თანატოლია, თუმცა კორტზე არასოდეს შეხვედრია ჩვენებურს. წყვილთა თანრიგის მეოთხედფინალში კალაშნიკოვა და ელ ალამი (მე-2 ნომრად განთესილები) რუს **გალინა ფოკინასთან** და უკრაინელ **ალიონა სოტნიკოვასთან** დამარცხდნენ - 6:4, 2:6, 8:10. ასე რომ, გასული კვირის მსგავსად ოქსანას დუბლის შესრულება ველარ გამოუვა, იგი მხოლოდ ერთეულებში აგრძელებს ასპარეზობას.

კანარის კუნძულებზე, ლას პალმასში საერთაშორისო ტურნირის (10 ათასი $) პირველ რაუნდში დამარცხდა 17 წლის **ეკა გორგოძე** (601). ეკამ შვეიცარიელ **სარა მუნდირთან** (987) წააგო - 4:6, 6:7 (5). გორგოძე და **სოფიო ქვაცაბაია** (661) ლას-პალმასს საბოლოოდ დაემშვიდობნენ, რადგან მათ წყვილთა თანრიგშიც წააგეს - მეოთხედფინალში ეკა და სოფიო მე-2 ნომრად განთესილ ჩინელებს (**ინ-ინ ლუ, შენ-ნან სუნი**) შეხვდნენ და მხოლოდ ერთი გეიმი აართვეს - 0:6, 1:6.

ახალგაზრდულ მსოფლიო რეიტინგში **ნიკოლოზ ბასილაშვილი** 67-ე ჩოგანია 286 ქულით, **ლაზარე კუხალაშვილი** 115 ქულით 294-ე პოზიციაზეა, გოგონებში ეკა გორგოძეს გამოვყოფთ, რომელსაც 150 ქულით 267-ე ადგილი უკავია.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ცურვა

## პირველი დღე ტონუსში



ირაკლი რევიშვილი

გუშინ შპს წყალთა სახეობების სპორტულ ცენტრ „ტონუსში" მოცურავეთა საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი (მთავარი მსაჯი **ლუდმილა კუხიანიძე**) დაიწყო. მედლებისთვის ბრძოლაში ბათუმის, რუსთავის, გორის, საჩხერისა და თბილისის ხუთი კლუბის („ლაგუნა ვერე", შპს „ტონუსი", შპს „დილომი", „დელფინი", სკა) 100-მდე წარმომადგენელი ჩაება. ასპარეზობის პირველ დღეს სპორტსმენები ცურვის ხუთ ყაიდაში ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს. სპეციალისტთა და გულშემატკივართა დიდი ინტერესი 400 მეტრზე თავისუფალი სტილით შეჯიბრებამ გამოიწვია, სადაც ძალებს ცდიდა პეკინის ოლიმპიადის მონაწილე **ირაკლი რევიშვილი.** მან მეტოქეები ამჯერადაც დაჯაბნა, თუმცა შედეგით (4.05,41) უკმაყოფილო დარჩა.

- შარშან ზაფხულს მინსკის საერთაშორისო ტურნირზე 50-მეტრიან აუზში 3.59,85 წუთი ვაჩვენე და პეკინის ოლიმპიადის საგზურამდე წამის მეასედები დამაკლდა, - მითხრა ირაკლიმ. - დღეს ბელარუსის დედაქალაქში ნაჩვენები დრო გავაუარესე. მიზეზი ის არის, რომ შარშან ოქტომბერში ბრმანაწლავის ოპერაცია გავიკეთე და გარკვეული ხნით ცისფერ ბილიკებს ჩამოვშორდი. ამ შეჯიბრებისთვის სათანადოდ ვერ მოვემზადე, ამიტომ 1500 მეტრზე პაექრობაში აღარ ჩავებმები, მხოლოდ 200 და 400 მეტრზე გამოვალ.

**- პეკინში 200 მეტრზე თავისუფალი სტილით საქართველოს რეკორდი დაგიმყარებია...**

- დიახ, 21 წლის განმავლობაში ხელუხლებელი მიღწევა (1.54,07) გავაუმჯობესე, ჯერჯერობით რეკორდებზე იერიშს ველარ მივიტან. მთავარია, სპორტული ფორმა აღვიდგინო მსოფლიოს ჩემპიონატისთვის, რომელსაც ზაფხულში რომი უმასპინძლებს.

გთავაზობთ პირველი დღის შედეგებს:

**ქალები. 50 მ. გულაღმა ცურვა.** 1. ანა ლომინაძე - 34,70 („ლაგუნა ვერე"), 2. სოფიო ცინცაძე - 36,76 (ბათუმი), 3. სოფიო დეკანოსიძე - 36,89 (შპს „ტონუსი"). **100 მ. თავისუფალი ყაიდა.** 1. მაია ხრიკული - 1.10,30 („ლაგუნა ვერე"), 2. სოფიო ცინცაძე - 1.12,78 (ბათუმი), 3. ანა დავითაშვილი - 1.20,70 („ტონუსი"). **200 მ. ბრასი.** 1. ეკა კაჭახიძე - 2.53,98 („ლაგუნა ვერე"), 2. თამარ გამგებელი - 3.30,0 (საჩხერე), 3. მარიამ ზუბიაშვილი - 3.32,36 (საჩხერე).

**ვაჟები. 50 მ. გულაღმა ცურვა.** 1. თორნიკე სხილაძე - 30,11 („ლაგუნა ვერე"), 2. დათო ბარდაველიძე - 32,0 („ლაგუნა ვერე"), 3. ალექსანდრე რემეჟენკო - 32,43 (ბათუმი). **100 მ. კროლი.** 1. გიორგი ბუხრიკიძე - 52,91 (გორი), 2. ალექსანდრე ხახანაშვილი - 54,97 („ტონუსი"), 3. ბექა დეკანოსიძე - 55,92 („ტონუსი"). **200 მ. ბრასი.** 1. ბესიკ მდივანი - 2.25,57 („ტონუსი"), 2. ირაკლი შენგელია - 2.34,87 („ტონუსი"), 3. აჩი შეყრილაძე - 2.45,66 („ლაგუნა ვერე"). **400 მ. კომპლექსური.** 1. გიორგი მთვრალაშვილი - 4.36,66 („ტონუსი"), 2. ირაკლი ბოლქვაძე - 5.07,41 („ტონუსი"). **400 მ. კროლი.** 1. ირაკლი რევიშვილი - 4.05,41 („ტონუსი"), 2. ცოტნე მაისურაძე - 5.16,44 (რუსთავი), 3. გაგა გრძელიშვილი - 5.44,31 (საჩხერე).

**ვაჟა დანელია**

ავტორის ფოტო

რაგბი

ერთა თასი

## კიდევ ორი დაგვაკლდა



საქართველოს მორაგბეთა ნაკრები ხვალ ეროვნულ სტადიონზე, ერთა თასის გათამაშების მორიგ შეხვედრაში რუმინეთის ეროვნულ გუნდს დაუპირისპირდება. ბორჯღალოსნები მიმდინარე გათამაშებაში ერთ-ერთი ყველაზე რთული და მნიშვნელოვანი მატჩისათვის მზადებას „შევარდენის" სანაკრებო ბაზაზე გადიოდნენ.

სამწუხაროდ, აქამდე ტრავმირებულ შერკინების პირველხაზელებს **დავით ზირაქაშვილსა** (კლერმონი) და **აქვსენტი გიორგაძეს** (კასტრი), კიდევ ორი ბორჯღალოსანი დაემატა. „მუხის ფოთლების" წინააღმდეგ შეხვედრაში მეორეხაზელი **ილია ზედგინიძე** (ექსი) და შუამარბი **ირაკლი გიორგაძე** დაგვაკლდებიან. სამაგიეროდ, გუნდში თითქმის ერთწლიანი პაუზის შემდეგ დაბრუნდა გარემარბი **მალხაზ ურჯუკაშვილი (ორიაკი)**, რომელიც უნივერსალი მორაგბეა, მას ფულ ბეკად და შუამარბადაც შეუძლია თამაში.

საკმაოდ სერიოზული დანაკლისით მოემგზავრება თბილისში რუმინელთა გუნდი. ვალახებს ბორჯღალოსნების წინააღმდეგ არ ეყოლებათ: **პეტრე მიტუ, კატალინ ფერკუ, მარიუს ტინკუ, ოვიდიუ ტონიცა, სილვიუ ფლორეა** და **კრისტიან პეტრე.** ამასთან, შეგახსენებთ, რომ რუმინეთის ნაკრებში თამაში დაასრულეს ჯერ ისევ მოქმედმა მორაგბეებმა **პეტრუ ბალანმა, პეტრისორ ტოდერაშკმა** და **იულიან დუმიტრაშმა.** ასე რომ, სტუმრები მიმდინარე გათამაშებაში საკმაოდ გადახალისებული შემადგენლობით ჩაებნენ. ზემოთ დასახელებული მორაგბეების არყოფნის მიზეზი, ჯერჯერობით, უცნობია. სვარაუდოდ, ჩვენი ხვალინდელი მეტოქეები ახალი გუნდის შექმნას ლამობენ და ძირითადად შიდა ჩემპიონატში მოთამაშე ახალგაზრდა მორაგბეებს ეყრდნობიან. რამდენად შეესაბამება ეს სინამდვილეს და რამდენად შორს გათვლილი ჩანაფიქრია, ამას მომავალი გვიჩვენებს.

აქვე შეგახსენებთ, რომ საქართველოს რაგბის კავშირის გადაწყვეტილებით, თამაშზე დასწრება უფასოა და ბორჯღალოსნების საქომაგოდ ყველა მსურველს ეპატიჟება.

### საქართველო

**15. მერაბ კვირიკაშვილი, 14. ირაკლი მაჩხანელი, 13. დავით კაჭარავა, 12. თედო ზიბზიბაძე, 11. მალხაზ ურჯუკაშვილი, 10. ლაშა მალაღურაძე, 9. ირაკლი აბუსერიძე.**

**1. დავით ხინჩაგიშვილი, 2. ირაკლი ნატრიაშვილი, 3. გოდერძი შველიძე, 4. რატი ურუშაძე, 5. ლევან დათუნაშვილი, 6. გია ლაბაძე, 7. გიორგი ჩხაიძე, 8. მამუკა გორგოძე**

**16. ანტონ ფეიქრიშვილი, 17. დავით ქუბრიაშვილი, 18. კახაბერ უჩავა, 19. დიმიტრი ბასილაია, 20. ბიძინა სამხარაძე, 21. ალექსანდრე თოდუა, 22. ოთარ ბარკალაია.**

### რუმინეთი

**პირველი ხაზი: ნიკოლაე ნერე (სტიაუა), იონ პაულიკა (ბასი), მიჰაიტა ლაზარი (იაში), ფლორინ ტასკა, კატალინ ბეკა (ორივე დინამო),**

**მეორე ხაზი: ვალენტინ პოპირლანი (დინამო), ალინ კოსტე (ნარბონი), კოზმინ რატიუ (დინამო).**

**მესამე ხაზი: სტელიან ბურეა (დინამო), ფლორინ კოროდეანუ (სენ მარსეინი), დანიელ კარპო (ფარული), ალექსანდრუ ტუდორი (დინამო), მიხაი მაკოვეი (ბაია მარე), კოსტიკა მერსოიუ (დინამო), დანიელ ლანუსი (დინამო).**

**№9: ვალენტინ კალაფეტეანუ (დინამო), ფლორინ სურუგიუ (ოლიმპია).**

**№10: იონიც დიმოფტე (სტიაუა), ანდრეი ფილიპი (დინამო).**

**№12-13: ადრიან ბარბულიკეანუ (დინამო), კატალინ დასკალუ (სტიაუა).**

**№11-14: მადალინ ლემნარუ (არადი), სტეფან კიუნტუ (დინამო), კატალინ ფერკუ (სტიაუა), კატალინ ნიკოლაე (ფარული).**

**№15: ფლორინ ვლაიკუ (სტიაუა), იონუც ბოტეზატუ (ბაია მარე).**

**ბესიკ ჯანგავაძე**

კალათბურთი

*ინტერვიუ მანუჩარ მარკოიშვილთან*

# ღვინო, ცეკვა და კალათბურთი

**ოთხშაბათს** გიორგი მარკოიშვილის ინტერვიუ შემოგთავაზეთ. დღეს პარასკევია და ისევ მარკოიშვილის ინტერვიუს წაკითხვას გთავაზობთ. საქმე ისაა, რომ ოთხშაბათს ჩვენი სტუმარი გიორგი მარკოიშვილი იყო, დღეს – მისი უმცროსი ძმა მანუჩარი.

აი, როგორ ახასიათებს მანუს "კიევის" პრესატაშე სტანისლავ შკაპა: "კიეველთა შემადგენლობიდან ყველა ლეგიონერი რომ ამოწერეს, მარკოიშვილის გაშვებაზე სიტყვა არ დაძრულა. იმიტომ, რომ იგი ყოველ მატჩზე ანთებული თვალებით გამოდის, ბურთისთვის თავდადებით იბრძვის. მანუს ორი წელიც ეყო იმისთვის, რომ "ჩვენი" გამხდარიყო. მას პატივს სცემენ თანაგუნდელებიცა და ფანებიც."

ახლა ინტერვიუს მივხედოთ.

**- "კიევიდან" ერთბაშად 6 ლეგიონერის წასვლის შემდეგ სათამაშო დრო გაგეზარდა. რაც, ალბათ, გახარებს...**

- თუკი მხედველობაში ვარჯიშებს მივიღებთ, ახლა გაცილებით იოლია. იმიტომ, რომ დღეში ერთხელ ვვარჯიშობთ. მატჩებისას კი დატვირთვა ერთი-ორად მომემატა. მეტი ენერგია მეხარჯება. ამის გამო, ზოგჯერ დაცვაში მაქსიმალური ყურადღების გამოჩენა მიძნელდება. ასეა თუ ისე, სათამაშო დროის მომატება მახარებს, რადგან გარდა მსროლელის და მსუბუქი ფორვარდის ფუნქციებისა, გამთამაშებლის მოვალეობის შესრულებაც მიწევს. ეს სამომავლოდ აუცილებლად წამადგება.

**- ყველაზე მეტად რომელ პოზიციაზე თამაში გსიამოვნებს?**

- მეორე და მესამე ნომრებად (მსროლელად და მსუბუქ ფორვარდად). მას შემდეგ, რაც პროფესიულ კალათბურთში გადავედი მხოლოდ ამ პოზიციებზე მიწევს თამაში. თუმცა გამთამაშებლობაც მაინტერესებდა, რადგან სწორედ ამ ამპლუის კალათბურთელებს მიჰყავთ თამაში. ძირითად გამთამაშებლობას, ალბათ, ვერ შევძლებ. ამ ეტაპზე ფლეიმეიქერის შემცვლელის როლიც მაკმაყოფილებს.

**- გუნდიდან უცხოელების წასვლის შემდეგ მოელოდი, რომ ევროჩელენჯის მეოთხედფინალში გახვიდოდით?**

- მჯეროდა, რომ ახალგაზრდა კალათბურთელებით უფრო აგრესიულად ვითამაშებდით. ჩვენი შესუსტების შემდეგ ზოგიერთ მეტოქეს ჰგონია, რომ იოლად დაგვამარცხებს და სერიოზულ მოწინააღმდეგედ არ მიგვიჩნევს. სწორედ ეს გვმატებს მოტივაციას. ყოველი მატჩის წინ ვიკრიბებით და ვამბობთ: დღეს ძლიერი მეტოქე გვყავს, მაგრამ მასზე ნაკლებები არც ჩვენ ვართ. მოდი 40 წუთი ვიბრძოლოთ და ვნახოთ, შედეგად რას მივიღებთ. შეიძლება ძლიერ გუნდთან წავაგოთ კიდეც, მაგრამ მატჩის მერე უკან რომ მოვიხედავთ, უნდა დავინახოთ - რაც შეგვეძლო, ყველაფერი გავაკეთეთ. ასეთი წაგება არც ისე გვალიზიანებს. "აზოვმაშთან" დამარცხებამ გული დამწყვიტა. ბევრს ვცდებოდი, მაგრამ ვიცი, რომ ყველაფერი გავიღე გამარჯვებისთვის. ეს მაძლევს იმედს, რომ მომდევნო მატჩში უკეთესად ვითამაშებთ და გამარჯვებას მეტოქეს არ დავუთმობთ.

**- ისეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ გაახალგაზრდავებული "კიევი" უკეთესად თამაშობს, ვიდრე რამდენიმე კვირის წინათ, ლეგიონერებით შეიარაღებული. რატომ?**

- რთული შეკითხვაა. იმ შემადგენლობისგან ბევრს ელოდნენ, რადგან ყველა უმაღლესი კლასის ოსტატი იყო. დამიჯერეთ, თითოეული მონდომებულად თამაშობდა, მაგრამ, ჩემი აზრით, ხუთივე პოზიციაზე საკმარისზე მეტი ძლიერი კალათბურთელი გვყავდა. ერთი შეცდომის შემდეგ მოედანზე სხვა მოთამაშე გამოდიოდა... ახლა ვიცით, რომ ბურთის დაკარგვის შემთხვევაში მეორე შანსიც მოგვეცემა და მესამეც. შეიძლება ეს ფსიქოლოგიაზე დადებითად მოქმედებს და, როგორც ვთქვი, "კიევის" ამჟამინდელი, ახალგაზრდული შენადგენლობა გამარჯვებებს უფრო მოწყურებულია.

**- ევროჩელენჯის ან უკრაინის ჩემპიონატის მოგებას ხომ არ აპირებთ?**

- წინასწარ ამ თემებზე მსჯელობა არ მსურს. უკრაინის პირველობის მოგება "აზოვმაშსაც" უნდა, "დონეცკსაც" და "ხიმიკსაც". ყოველი მატჩისთვის სათანადოდ უნდა განვეწყოთ, ბოლომდე დავიხარჯოთ და გზა შემდეგ გამოჩნდება.

**- საქართველოში კალათბურთზე პოპულარული ფეხბურთი და ჭიდაობაა. რატომ ფეხბურთელი არ გამოხვედი?**

- საქმე ისაა, რომ ჩემს ოჯახში სპორტის სახეობა კალათბურთია. მამაჩემი კალათბურთელი იყო და ბოლო 30 წელიწადია მწვრთნელად მუშაობს. ამჟამად უნივერსიტეტის გუნდს წვრთნის. უფროსი ძმა გიორგი პატარაობიდანვე კალათბურთზე დადიოდა. ბიძაჩემი ცნობილ ანსამბლ "სუხიშვილებში" სოლისტი იყო. ამიტომ, მშობლებმა გადაწყვიტეს, რომ ჩემი უფროსი ძმა მამაჩემის კვალს გაჰყვებოდა და კალათბურთს ითამაშებდა, მე – ბიძაჩემის დარად მოცეკვავე გამოვიდოდი. ექვსი წლისა ვიყავი, როცა ცეკვაზე მიმიყვანეს. ერთი წლის შემდეგ 10 წლის გიომ რაღაც ტურნირი მოიგო, რომლის მთავარი ჯილდო ჩემს ძმას ერგო (იგი გუნდის კაპიტანი იყო). ის თასი მუსიკალური იყო, ძალიან მომეწონა და მეც მომინდა მსგავსი ჯილდოს მიღება. მამასთან მისვლა მომერიდა და დედაჩემს ვუთხარი – ცეკვაზე აღარ ვივლი, კალათბურთზე მიმიყვანეთ-მეთქი. მშობლებმა იმ სექციაში შემიყვანეს, სადაც ჩემი ძმა თამაშობდა, მარტო რომ არ მევლო. ასე რომ, გაცილებით უფროსებთან მიწევდა ვარჯიში და თამაში.

**- კარგად ცეკვავდი?**

- ნორმალურად. სკოლის ჯგუფიდან სხვა, გაცილებით სერიოზულ ჯგუფში გადაყვანას მიპირებდნენ, მაგრამ მაშინ კალათბურთელობა მქონდა გადაწყვეტილი...

**- ახლა თუ დადიხარ დისკოთეკებზე?**

- იშვიათად, როცა მომდევნო დღეს დასვენება მაქვს. ისე, დილით ადრე ადგომა მიყვარს. შინ გვიანაც რომ მივიდე, დილას მაინც გამთენიისას მეღვიძება. მერე ვეღარ ვისვენებ.

**- საქართველოში ნაციონალურ ცეკვებს ახლაც ხშირად ცეკვავენ?**

- რა თქმა უნდა. ქორწილები, სხვადასხვა წვეულებები ქართული ცეკვის გარეშე არ ჩაივლის. ახალგაზრდები დისკოთეკებზე დადიან. მე კი, მეგობრებთან ერთად ისეთ რესტორნებს ვანიჭებ უპირატესობას, სადაც ქართული მუსიკის შეკვეთა და მასზე ცეკვა შეიძლება. ორი წლის წინათ, მეგობრის დაბადების დღეზე "შალახო" ვიცეკვეთ. ამ ცეკვაში არის ასეთი ელემენტი: ხელის დაუხმარებლად იატაკიდან ჭიქა პირით უნდა აიღო და ღვინო ისე დალიო. ამ ილეთის შესრულება ვერავინ შეძლო. ვიფიქრე, აბა, მე ვცდი მეთქი – გამომივიდა! ტაში დავიმსახურე, თუმცა იქვე ჩავფიქრდი: თუ ვინმემ მიცნო, კალათბურთელი ვიყავი შეიძლება ეფიქრა, რომ ყოველდღე ასე ვსვამ (იცინის)...

**- გაგებული მაქვს, რომ მამაშენი ღვინოს თავისით აყენებს.**

- საინტერესო თემას შეეხეთ. მამაჩემი ონიდანაა, სადაც ღვინის დაყენების ტრადიცია ძალიან კარგადაა შემონახული. მამაჩემი ახლა მეღვინეობას თბილისში ეწევა. სარდაფში ყოველწლიურად ათას ლიტრამდე ღვინოს ამზადებს. შემდეგ ახლობლებს ურიგებს, რათა სადღესასწაულო დღეებში ყველას კარგი ღვინო ჰქონდეს. როცა მამაჩემი სტუმრად მიდის, თავისი ღვინო მიაქვს.

**- მამისგან ღვინის დაყენებას არ სწავლობ?**

- პატარაობიდანვე ვეხმარები. ხან ჭურჭლის გარეცხვა გვიწევდა, ხან გადაღებაში მიხმარება. ექსპერტი არ ვარ, მაგრამ ვიცი ღვინო როგორ კეთდება. სამომავლოდ მეღვინეობის ტრადიციების გაგრძელებას ვაპირებ.



**- ამის მიუხედავად ცოტას სვამ...**

- ასეა. მიყვარს წითელი ღვინო, მაგრამ მისი ბევრი დალევა არ შეიძლება. ზოგჯერ ერთ ჭიქას ვსვამ, რათა დაღლილობა მომეხსნას და უკეთ დამეძინოს.

**- კიევში ღვინის ყიდვა გიწევს?**

- ვინ თქვა? კიევი საქართველოსთან ახლოსაა. აქ ჩემი ბიძაშვილი სწავლობს, ბევრი ახლობელი ცხოვრობს და მამაჩემი ყოველთვის მოძებნის კაცს, ღვინო ჩემთან რომ გამოატანოს.

**- გიორგის საკალათბურთო კარიერა როგორ აეწყო?**

- იგი საქართველოს ჩემპიონატში თსუ-ში თამაშობს. ამავე კლუბში მამაჩემი მეორე მწვრთნელია. გიორგი ეროვნული ნაკრების წევრი იყო. იგი 16 წლის ასაკში სინჯებზე "კიევში" ჩამოვიდა, მაგრამ რატომ არ დარჩა, აღარ მახსოვს. მაშინ არაერთი ვარიანტი ჰქონდა – თურქეთი, გერმანია... სლოვენიაში წასვლა გადაწყვეტილი ჰქონდა, როცა უთხრეს – იქ ფულს არ იხდიანო... მამაჩემიც ეუბნებოდა, ერთი წელიც ითამაშე საქართველოში და უცხოეთში შემდეგ წადიო. ჩემი ძმა ჩემზე ნიჭიერი იყო, კადეტთა და იუნიორთა ნაკრებების ლიდერი გახლდათ. იგი ჩემზე სამი სანტიმეტრით მაღალია, დაყენებული სროლა და კარგი ნახტომი აქვს.

**- გარეგნულად ძმას თუ ჰგავხარ?**

- დიახ, ხშირად ვერევით ერთმანეთში. ერთხელ თბილისის საავადმყოფოში ფეხზე რენტგენის გადასაღებად მივედი. დერეფანში ერთი გოგონა მოვიდა და გადამეხვია – გიო როგორა ხარო. ძლივს დავაჯერე რომ მანუჩარი ვიყავი.

**- საქართველოს ყველაზე პოპულარულ სპორტსმენად ვის დაასახელებდი?**

- ზაზა ფაჩულიასა და კახა კალაძეს. ისინი დიდი ხანია უმაღლეს დონეზე თამაშობენ. ლევან კობიაშვილის თამაშიც მომწონს. საერთოდ, ბევრი კარგი ფეხბურთელი გვყავს. ასევე ძალიან პოპულარულები არიან მოჭიდავეები, რომლებსაც საქართველოსთვის ოქროს მედლები მოაქვთ. არც მორაგბეების დავიწყება შეიძლება. სათამაშო სახეობებიდან მხოლოდ ისინი ხვდებიან მსოფლიო ჩემპიონატებზე.

**- კალაძესა და ფაჩულიას კარგად იცნობ?**

- ზაზა ჩემი მეგობარია. კახა კი ბათუმში, სილამაზის კონკურსზე გავიცანი.

**- სადაც გითამაშია, ყველა ენა იცი?**

- ახალი ქვეყნის გაცნობა და იქაური ენის შესწავლა ძალიან მსიამოვნებს. ეს ადგილობრივების პატივისცემაა. ძირითადად კალათბურთელებთან ურთიერთობებისას ვცდილობ ახალი ენის შესწავლას. ზოგჯერ ვცდები და დაცინვის ობიექტი ვხდები. მაგრამ ისიც ვიცი, რომ კაცი შეცდომებზე სწავლობს. ინგლისური ენა იტალიურ "ბენეტონში" თამაშისას ავითვისე, სადაც არაერთი ინგლისურად მოლაპარაკე კალათბურთელი თამაშობდა. სკოლაში რუსულსა და გერმანულს ვსწავლობდი. გერმანულისა ბევრი არაფერი გამეგება, რუსული არ მიყვარდა, რის გამოც მამაჩემი არაერთხელ გამიბრაზებია – სამიანებს ვღებულობდი. რუსულს ახლაც ვერ ვლაპარაკობ კარგად და ძირითადად ინგლისურ ენაზე ვსაუბრობ.

**- უკრაინული?**

- ამ ენის შესწავლას ერთი რამ აფერხებს – კიევში, ჩემს გარემოცვაში უკრაინულად იშვიათად საუბრობენ. ამიტომ არ ვარ ისეთ გარემოში, უკრაინულის შესწავლა რომ შევძლო.

**- საქართველოს, იტალიის, სლოვენიის ჩემპიონი და უკრაინის ვიცე-ჩემპიონი ხარ. მედლებს სად ინახავ?**

- შინ, თბილისში. ერთ ოთახში მამაჩემის, გიორგის, ჩემი ჯილდოები და ფოტოებია გამოფენილი. მათ მოწესრიგებაზე მამაჩემი ზრუნავს, ჩემი და გიოს საქმე კოლექციის შევსებაა.

*ქართველი NBA-ში*

# ატლანტამ ჯაზმენებიც დააღუმა

"ატლანტა ჰოქსი" აღარ ხუმრობს, ჯერ "ნიუ ორლეანს" შვიდმატჩიანი მოგებათა სერია შეაწყვეტინა, ახლა დასავლეთ კონფერენციის ერთ-ერთ ლიდერ "იუტა ჯაზს" (41 მოგება) აჯობა – 100:93.

ატლანტის "ფილიპს არენაზე" მასპინძლებმა იუტელებთან მატჩი კარგად დაიწყეს - 11:2 დაწინაურდნენ. პირველი მეოთხედის ბოლოს მოედანზე გამოჩენილმა **ზაზა ფაჩულიამ** თანაგუნდელთა იერიშები კიდევ უფრო გაამწვავა. მეორე თორმეტწუთეულის დასაწყისში მისი ეფექტური ზემოდან გდების შემდეგ "ატლანტა" 10 ქულით დაწინაურდა – 38:28.

დიდ შესვენებამდე "ჰოქსის" უპირატესობამ 16 ქულას უწია, მაგრამ მასპინძლებმა მიღწეული მესამე პერიოდში ქარს... უფრო სწორად, "იუტას" გაატანეს – გადამწყვეტი მეოთხედის წინ სტუმრები უკვე ორი ქულის სხვაობით იგებდნენ.

საფინალო სირენამდე 4 წუთით ადრე ტაბლოზე 89:89 ეწერა, თუმცა, ამ ეპიზოდის შემდეგ ატლანტელთა იერიშებს სიზუსტე მოემატა და **ჰორფორდი-ჯონსონის** ზუსტი ტყორცნების წყალობით "ატლანტამ" 100:93 მოიგო.

ზაზა ფაჩულიამ 15 წუთში ხუთი ცდიდან ერთადერთი სროლა ააცილა: 3-დან 2 ორქულიანი და 2-დან 2 საჯარიმო ჩააგდო. მას მწვრთნელი მეოთხე პერიოდში კვლავ ენდო, მაგრამ თითო შეცდომისა და ფოლის შემდეგ **მაიკ ვუდსონმა** ქართველი ჰორფორდით შეცვალა.

მატჩის სნაიპერი ჯო ჯონსონი გახდა – მან 31 ქულა და 9 პასი მიითვალა. ჰორფორდმა 13 ქულას 12 მოხსნა მიამატა.

"ატლანტა ჰოქსი" ზედიზედ ოთხ მომდევნო მატჩს შინ ჩაატარებს. მას უახლოესი შეხვედრა 13 მარტს "ინდიანა პეისერსთან" ელის.

| ატლანტა–იუტა | 100:93 |
|---|---|
| ზაზა ფაჩულია: 15 წუთი, 6 ქულა, 4 მოხსნა, 1 ჩაჭრა, 3 ფოლი, 3 შეცდომა | |
| **I პერიოდი** | |
| 03:25 | ზაზამ სმიტი შეცვალა |
| 01:52 | ორქულიანი: 2ძ (23:14) |
| 00:20 | მოხსნა: შეტ-0, დაც-1 |
| 00:19 | შეცდომა: 1 |
| **II პერიოდი** | |
| 11:20 | ფოლი: 1 |
| 10:57 | შეცდომა: 2 |
| 09:48 | ორქულიანი: არაზუსტი |
| 09:47 | მოხსნა: შეტ-1, დაც-1 |
| 09:47 | საჯარიმოები: 2\2 (4ძ, 27:22) |
| 09:04 | მოხსნა: შეტ-1, დაც-2 |
| 06:32 | ჩაჭრა: 1 (მაილსეპს ჩაუჭრა) |
| 06:27 | ჩატენვა: 6ძ (38:28) |
| 06:14 | ზაზა ჰორფორდმა შეცვალა |
| **III პერიოდი** | |
| 04:02 | ზაზამ ჰორფორდი შეცვალა |
| 03:44 | ფოლი: 2 |
| 02:18 | მოხსნა: შეტ-1, დაც-3 |
| **IV პერიოდი** | |
| 11:06 | ფოლი: 3 |
| 10:28 | შეცდომა: 3 |
| 09:45 | ზაზა სმიტმა შეცვალა |

გვერდი მოამზადა
**ვაჟა სიმონიშვილმა**



ჭადრაკი

# იმნაძეს ფეხი დაუცდა, ბერაძემ ლიდერობა დაიბრუნა

საქართველოს 14-წლამდელთა ჩემპიონატში დაძაბულობა პიკს აღწევს. გუშინ მე -7 ტურის პარტიები გათამაშდა. გოგონათა შორის ერთპიროვნული ლიდერი **ნატო იმნაძე** იყო, რომელიც უახლოეს მდევრებს ქულ-ნახევრით უსწრებდა. იმნაძეს რომ მოეგო, ფაქტობრივად, ინაღდებდა ჩემპიონობას და არც ყაიმის შემთხვევაში იქნებოდა შორს სასურველი შედეგისგან. მართალია, ლიდერი შავებით ხვდებოდა **მარიამ ჭოლაძეს**, მაგრამ მან უკვე არაერთხელ დაჯაბნა რეიტინგით მასზე დაწინაურებულნი და ალბათ წარმატებას ამჯერადაც მოელოდა. როგორც აღმოჩნდა, ჭოლაძეს სხვა გეგმები ჰქონია და ჯიქურ შეუტია. მცდელობამ გაამართლა და მოახერხა კიდეც შავების მეფის დამათება, რითაც ინტრიგა დაუბრუნა გოგონათა ტურნირს. ცხადია, ნატო წაგების მიუხედავადაც ერთპიროვნული ლიდერი გახდებოდა, მაგრამ ახლა მხოლოდ ნახევარი ქულა აშორებს მეორე-მესამე ადგილებს. 5,5 ქულა თავად ჭოლაძესაც გაუხდა და **ანა შამათავასაც**, რომელმაც თეთრებით **ლიზი წერეთელს** მოუგო. 5-5 ქულა ორ მონაწილეს აქვს - **ანა მარდალეიშვილს** და **ანა კუჭავას**. პირველმა თეთრებით **ასმათ სალდაძეს** აჯობა, ხოლო კუჭავამ **ნინო ხომერიკის** დამარცხება შეძლო. საპრიზოზე მოხვედრის და საგზურის მოპოვების შანსი სწორედ ამ ხუთეულს აქვს და დარჩენილ ორ ტურში დიდი ბრძოლებიც უნდა გადახდეთ. მე-8 ტურში იმნაძე თეთრებით ანა მარდალეიშვილს შეხვდება; ანა კუჭავა ასევე თეთრებით მარიამ ჭოლაძის დამარცხებას ეცდება, ხოლო ანა შამათავას შავებით მოუწევს წარმატებისთვის ბრძოლა, თუმც მეტოქედ ფავორიტი **დეა გოგიშვილი** ეყოლება. დეას მიმდინარე ჩემპიონატში თამაში არ მისდის, მაგრამ რენომეს შესანარჩუნებლად და კარის გასაჯახუნებლად ცდას არ დააკლებს...

ვაჟებში ჩვეული სტარტის შემდეგ, რამდენიმე ტურში უმთავრესმა ფავორიტმა **ირაკლი ბერაძემ** ქულები დაკარგა და ლიდერობა სხვებმა იგდეს ხელთ. თუმცა მერე და მერე თავს შეუძახა და იმდენი მოახერხა, რომ ბოლოსწინა ტურისთვის ერთპიროვნული ლიდერი გახდა. გუშინ ბერაძემ შავებით **გიორგი შონია** დაამარცხა და 6 ქულა გაუხდა. ამდენივეს მოგროვების შანსი ჰქონდა **გიგლა ბენიძესაც**, მაგრამ შავებით დამარცხდა **ნიკოლოზ ქუმსიაშვილთან**. ნიკოლოზი სტარტზე კარგად თამაშობდა და მერე ჩამორჩა, მაგრამ ახლა ისევ აგროვებს ქულებს და ალბათ ბერაძის ერთ-ერთი უმთავრესი კონკურენტიც იქნება. მე-8 ტურში მისი მეტოქე **გიორგი სიბაშვილია**, რომელიც განთესვით მეთორმეტეა. ფავორიტად აქ თეთრებით მოთამაშე ქუმსიაშვილი მიიჩნევა. ბერაძე მეხუთედ განთესილ **შალვა ნადირაშვილს** ხვდება, თეთრებიც მისია და მოგების მეტი შანსიც აქვს...

გოგონებისგან განსხვავებით, ვაჟებში 4,5-ქულიანებიდან ერთ-ორს თეორიულად ალბათ შეუძლია პრიზიორთა დავაში ჩარევა, მაგრამ ისიც იმ შემთხვევაში, თუ ორივე პარტიას მოიგებენ და სხვებიც ვერ იყოჩაღებენ; კოეფიციენტიც კარგი უნდა აღმოაჩნდეს...

ერთი სიტყვით, ვითარება დაიძაბა და დღევანდელ ტურს განსაკუთრებული დატვირთვა აქვს.

ერთსაც დავძენთ: ცნობილმა ქართველმა საჭადრაკო კომპოზიტორმა **დავით გურგენიძემ** რამდენიმე წელიწადია, საქართველოს ჩემპიონატების მიმდინარეობისას სასიამოვნო ტრადიცია დაამკვიდრა: ეტიუდების და საჭადრაკო ამოცანების ამოხსნაში ჩემპიონატებს მართავს. გამარჯვებული და პრიზიორები ქვეყნის ჩემპიონის ტიტულს და შესაბამის მედლებს და სიგელებს იღებენ. ნოვაცია საკმაოდ წარმატებული აღმოჩნდა და დიდი სიამოვნებით მონაწილეობენ მოჭადრაკეები. ასპარეზობა ნებაყოფლობითია. ამჯერადაც საკმაოდ გამოჩნდნენ მსურველები, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ბევრი თავს არიდებს ტვინის ჭყლეტას, - გადაღლას. ეტიუდების ამოხსნებში ტურნირი ერთდღიანი იყო და გუშინვე დასრულდა, თუმცა შედეგები ხვალ, ბილო ტურის შემდეგ გახდება ცნობილი. გამარჯვებულებს და პრიზიორებს შესაბამისი ჯილდოები საქართველოს ჩემპიონატის დახურვის ცერემონიალზე გადაეცემათ.

მერვე ტურში საინტერესო წყვილები ასე გამოიყურება: გოგონები: **ნატო იმნაძე(6) - ანა მარდალეიშვილი(5); ანა კუჭავა(5) - მარიამ ჭოლაძე(5,5); დეა გოგიშვილი(4,5) - ანა შამათავა(5,5); ლიზი ტრაპაიძე(4,5) - ნანი უნაფქოშვილი(4,5).**

ვაჟები: **ირაკლი ბერაძე(6) - შალვა ნადირაშვილი(5,5); ნიკოლოზ ქუმსიაშვილი(5,5) - გიორგი სიბაშვილი95,5); გიგლა ბენიძე(5) - გიორგი ბოსიკაშვილი(5); რობერტ ტორონჯაძე(4,5) - გიორგი შონია(5); გიორგი ლომიძე94,5) - ილია ზუმბულიძე(4,5); რამაზ ენდელაძე(4,5) - მირიან გეწაძე(4,5); გუგა ბურდული(4,5) - ლაშა კაჭარავა(4,5).**

**ზვიად შათირიშვილი**



# ჩიბურდანიძეს დასვენებამ არგო

სტამბოლის სუპერტურნირზე ოთხი ტურის შემდეგ დასვენების დღე გამოცხადდა. დებულებით კიდევ ერთხელ, მერვე ტურის შემდეგ მოუწევთ მონაწილეებს ერთდღიანი პაუზა. როგორც იცით, მეოთხე ტურში **მაია ჩიბურდანიძემ** თეთრებით მოულოდნელად წააგო სომეხ **ელინა დანიელიანთან**. ჩიბურდანიძე კარგად უნდა მომზადებულიყო, რათა დანაკლისის აღმოფხვრა შესძლებოდა და დასვენებაც ამ მიზნით მაქსიმალურად უნდა გამოეყენებინა. მაიას მეხუთე ტურამდე გამარჯვება ვერ მოეპოვებინა - სამჯერ დაუზავდა მეტოქეს და ერთხელ დამარცხდა.

ჩვენებურის გუშინდელი მეტოქე **იანკ შენი** იყო. ჩიბურდანიძე შავებით თამაშობდა და ეს კიდევ ართულებდა ამოცანას. საბედნიეროდ, მაიამ ისე წარმართა პარტია, რომ თეთრებისთვის მისხალი შანსი არ მიუცია. მალევე გაათანაბრა პოზიცია და ნელ-ნელა დაიწყო მეტოქის შევიწროება. იანკი გამოუვალ მდგომარეობაში ჩავარდა - ჯერ ერთი პაიკი წააგო, შემდეგ მეორეც და, შამათამდე კარგა ხნით ადრე დანებდა ქართველს. ამ გამარჯვებამ საკმაოდ დაგვაიმედა, - კიდევ ერთხელ გამოჩნდა, რომ თუკი ჩიბურდანიძეს მოტივაცია აქვს, მას ვერც ჩინური კედელი აჩერებს და ვერც სხვა რამ წინაღობა. დღეს კიდევ უფრო დიდი გამოცდა ელის ჩვენებურს - ტურნირის პირველი ნომერი და მამაკაცთათვის ფრიად სანატრელი რეიტინგის მფლობელი ინდოელი **ჰამპი კონერუ**(2621) უნდა შეაჩეროს. შეჩერება ტყუილად არ გვითქვამს - ამჯერადაც ქართველია შავებით და პირველ რიგში თეთრების საწყისი უპირატესობის განეიტრალებაა საჭირო; მოგება კი შემდგომი ეტაპის საქმეა. კონერუ რომ იანკზე მაღალი კვალიფიკაციისა, თვალსაჩინოა; ყოველ შემთხვევაში, რეიტინგით და საჭადრაკო პრაქტიკით ასე ჩანს... ჰინდუსმა გუშინაც იმარჯვა და თანაც - შავებით. მან აქამდე ბრწყინვალედ მოთამაშე ეკვადორელი **მარტა ფიერო** დაიბრიყვა. ეკვადორელი მოულოდნელად ცხრილსაც კი ჩაუდგა სთავეში და საკითხავია, როდემდე გაძლებს კენწეროში. კონერუმ კი შეარყია მისი ძლიერება, მაგრამ შეინარჩუნებს თუ არა წონასწორობას, ამას უახლოესი ორი-სამი ტური გამოაჩენს. ფიეროს წაფორხილებით ისარგებლა **იფან ჰოუმ** და თურქი **ქემრე ილდიზის** დამარცხებით 4,5 ქულით ერთპიროვნულად გალიდერდა.

ძალიან გასაკვირია შვედი **პია კრამლინგის** უსუსური თამაში - მას მხოლოდ ერთი ქულა აქვს და პარტიას პარტიაზე აგებს. მისი დაბრიყვება ამჯერად ჩინელმა **სიუ ჭაომ** შეძლო თეთრებით. საჭადრაკო სიბერე არ უნდა აწუხებდეს შვედს, ალბათ სხვა რამ პრობლემები აქვს...

ტურის ერთ-ერთი გამორჩეული შეხვედრა **მარი სებაგისა და ანტუანეტა სტეფანოვას** დაპირისპირება იყო. ფრანგი სებაგი თეთრებით თამაშობდა და გამარჯვების ამბიციაც ჰქონდა, მაგრამ მსოფლიოს 2004 წლის ჩემპიონმა ხასიათი გვარიანად გაუფუჭა - ნახევარი ქულაც არ დაუთმო. სტეფანოვას სამი ქულა გაუხდა და ცხრილის შუაშია; სებაგს კი ორი ქულით მერვე საფეხური უჭირავს. მშვიდობით გაიყარნენ სომეხი დანიელიანი და აზერბაიჯანელი **ზეინაბ მამედიაროვა**. ზეინაბს საზეიმოდ უნდა ჰქონდეს საქმე, რადგანაც ეს მისი პირველი ნახევარი ქულა იყო ტურნირზე და თანაც სომეხ მოწინააღმდეგესთან მოპოვებულს ალბათ უფრო მეტი ფასი ედება...

მეექვსე ტურშიც საინტერესო ბრძოლების მოწმენი შევიქნებით. კონერუ-ჩიბურდანიძის დაპირისპირება ნამდვილად უპირველესი ყურადღების საგანი გახდება; მეორე რიგში კი ალბათ ფიერო - იფან ჰოუს პარტია შეიძლება მოინათლოს ყველაზე საინტერესოდ. სხვა წყვილებში ძალები არათანაბრადაა განაწილებული, რაშიც თავადაც დარწმუნდებით: **ზეინაბ მამედიაროვა - იანკ შენი; ანტუანეტა სტეფანოვა - ელინა დანიელიანი; პია კრამლინგი - მარი სებაგი; ქემრე ილდიზი - სიუ ჭაო.**

სატურნირო მდგომარეობა ხუთი ტურის შემდეგ: **1. იფან ჰოუ - 4,5; 2-3. ჰამპი კონერუ, სიუ ჭაო - 4-4; 4. მარტა ფიერო - 3,5; 5-6. ანტუანეტქა სტეფანოვა, ელინა დანიელიანი - 3-3; 7. მაია ჩიბურდანიძე - 2,5; 8. მარი სებაგი - 2; 9. იანკლ შენი - 1,5; 10. პია კრამლინგი - 1; 11-12. ზეინაბ მამედიაროვა, ქემრე ილდიზი - 0,5-0,5.**

**ზვიად შათირიშვილი**

# ქართველები პირველ დაფებზე

ევროპის ჩემპიონატზე გუშინდელი დღე ქართველებისთვის ნამდვილად წარმატებული იყო და ჩვენც სიამოვნებით გამცნობთ შედეგებს. მთავარი ფაქტორი კი ის არის, რომ როგორც სანკტ-პეტერბურგში, ისე ბუდვაში პირველ დაფებს ქართველი მჭადრაკეები მიუსხდებიან: რუსთა ჩრდილო დედაქალაქში ამ პატივით **სალომე მელია** ისარგებლებს, ხოლო ჩერნოგორიის საკურორტო ქალაქ ბუდვაში კი **ბაადურ ჯობავა** შეეცდება წარმატებული სვლის გაგრძელებას. თუმცა, მოგახსენებთ, რომ თუკი მელიამ ეს უფლება იმიტომ მოიპოვა, რომ ორ ქალბატონთან ერთად იყოფს ლიდერობას, ბაადურს, უბრალოდ, წილისყრამ შეახვედრა ლიდერი - ჩვენებურს ხუთნახევარი ქულა აქვს და მეორე-მეათე ადგილებს იყოფს; კოეფიციენტით კი მერვეა. ერთპიროვნულად ცხრილს სათავეში უკრაინელი **ანდრეი ვოლოკიტინია**, რომელმაც გუშინ რუსი **ერნესტო ინარკიევი** დააშამათა თეთრი ფერით და ექვსი ქულა გაუხდა. ქართველმა კი საკმაოდ ძლიერი, 2633 რეიტინგქულის მქონე უკრაინელი დიდოსტატი **სერგეი ფიოდორჩუკი** დაიბრიყვა. ქალბატონებში მელიას გალიდერება ქართული დერბის მოგების შემდეგ მოხდა: სალომე შავებით ხვდებოდა ტურნირის მეორე ნომერს და ერთ-ერთ მთავარ ფავორიტს **ნანა ძაგნიძეს**. ნანაც და სალომეც თანატოლები გახლავან და, სხვათა შორის, ყოველთვის უკომპრომისობით გამოირჩევა მათი დაპირისპირებები. ძაგნიძემ არნახულად რომ აიმაღლა რეიტინგი, ცნობილია; მელიასაც არა აქვს მცირე ქულათა მარაგი, მაგრამ გუშინდელ მეტოქეს ძალიან ჩამორჩება. ამის მიუხედავად და იმისა გამოც, რომ შავებით იყო, ბათუმელმა დიდოსტატმა შეძლო მრისხანე მეტოქის დამარცხება. გუშინ მეორე ქართული დერბიც შედგა, მაგრამ მას სუფთა ქართული დაპირისპირება პირობითად თუ დაერქმევა, - **ქეთევან არახამია-გრანტი** კი გახლავთ ქართველი, მაგრამ ორი წელია შოტლანდიის სახელით თამაშობს. მისი მეტოქე **სოფიო გვეტაძე** იყო და აქაც შავებით მოთამაშემ, არახამია-გრანტმა გაიმარჯვა.

გუშინ არც ერთ ქართველს არ წაუგია - არც ვაჟებს და არც ქალბატონებს. არადა, მეტოქეები საკმაოდ ძლიერები ჰყავდათ. **ნინო ხურციძემ** ქულა გაუყო ორგზის ევროპის ჩემპიონს უკრაინელ **ეკატერინა ლაჰნოს**; მერი არბიძემ კი შავებით ასევე უკრაინელს და ასევე ევროპის ჩემპიონს, **ნატალია ჟუკოვას** არ დაანება მოგება და დაუზავდა.

ვაჟებში მოიგო **თორნიკე საიკიძემ** და ცხრილის შუაში აინაცვლა; **მერაბ გაგუნაშვილმა** და **მიხეილ მჭედლიშვილმა** კი ყაიმით ითამაშეს - სამივეს ოთხ-ოთხი ქულა აქვს.

მოგებული გუშინდელი ტურიდან გამოვიდნენ: **ქეთი წაწალაშვილი** და **მარიამ დანელია**. დანარჩენები მშვიდობიანად დაშორდნენ მეტოქეებს.

დღეს სანქტ-პეტერბურგში მორიგი ტურია, ხოლო ბუდვაში ვაჟები ერთი დღით შეისვენებენ.

**ზვიად შათირიშვილი**

კრივი

# შეხვედრა მსოფლიოს ჩემპიონთან

ევროპის ქვეყნებსა და ამერიკაში მრავლად ასპარეზობენ ქართველი პროფესიონალი მოკრივეები. დღეს გაგაცნობთ გასულ კვირაში მათ მიერ გამართული ორთაბრძოლების შედეგებს და პერიპეტიებს...

ქვემძიმე წონით კატეგორიაში მოასპარეზე 26 წლის **სანდრო სიფროშვილმა** მორიგი ორთაბრძოლა გერმანიაში, ქალაქ კუკსჰავენში გამართა. მისი მეტოქე 37 წლის ბრიტანელი მოკრივე **ჰერბი ჰაიდი** (47 გამარჯვება, აქედან 42 ნოკაუტით და 4 მარცხი) იყო, WBO-ს ვერსიით ყოფილი მსოფლიოს ჩემპიონი (თანაც ყველაზე პრესტიჟულ, მძიმე წონაში), ახლაც რეიტინგით მსოფლიოს საუკეთესო ოცეულში შედის (შედარებისთვის, სიფროშვილი საერთო რეიტინგის ასეულის ბოლოშია). 8-რაუნდიანი მატჩი ქართველმა ქულებით წააგო - 72:80, 73:79, 72:80. სანდროს პროფესიულ რინგზე 15 გამარჯვება აქვს მოპოვებული, ეს მისი მე-5 მარცხი იყო. სპეციალისტების მტკიცებით, ნიგერიული წარმოშობის მოკრივემ თავი ვერაფრით მოაწონა პუბლიკას. მართალია, ის მუდამ უტევდა სიფროშვილს, მაგრამ 90-იანი წლების ჰაიდთან შედარებით გერმანულ რინგზე მისი აჩრდილილა იყო დარჩენილი. ჰაიდი პროფესიულ კრივს 2006 წელს დაუბრუნდა, მას შემდეგ ზედიზედ 12 ორთაბრძოლა მოიგო, თუმცა ძლიერ მეტოქეებთან ჩხუბს ერიდება.

ესპანურ ვიგოში პროფესიონალებში მეორე ბრძოლა გამართა მსუბუქწონოსანმა **დავით ძავაშვილმა**. 21 წლის ქართველმა 4-რაუნდიანი შეხვედრის დასრულება არ აცალა **მაურო ირაგუიანუს** (პორტუგალია) და ის პირველივე რაუნდში ნოკაუტში გაგზავნა. ძავაშვილს პროფესიონალებში 1 მოგება და 1 ფრე აქვს. 20 მარტს ჩვენებური მალაგაში იჩხუბებს, მისი მეტოქე 30 წლის ესპანელი **სენტო მარტინესი** იქნება.

ბრიტანულ უიგანში „რობინ პარკ ცენტერის" რინგზე ნოკაუტით წააგო 19 წლის შუაწონოსანმა **მიხეილ ხუციშვილმა**. მე-4 რაუნდში ქართველი ნოკაუტში ბრიტანელმა **მარტინ მიურეიმ** (13 გამარჯვება) გაგზავნა. ხუციშვილმა 18 მატჩში 11 მოიგო, 5 წააგო და 2 ფრედ დაასრულა. ამავე დარბაზში ჩვენებურმა **კახაბერ ავეტისიანმა** (ქვემსუბუქი წონა) 6-რაუნდიანი ბრძოლა ბრიტანელ **მეტიუ ედმონსთან** ქულებით (54:60) წააგო.

მსუბუქწონოსანმა **სერგი განჯელაშვილმა** მაიამიში (აშშ) სარეიტინგო ბრძოლა მოუგო **ალექს ბრინესს** (კოსტა რიკა, 6 მოგება, 7 წაგება, 3 ფრე). ოთხრაუნდიანი მატჩი მან ქულებით მოიგო. განჯელაშვილს 4 მოგება და 2 მარცხი აქვს პროფესიონალებში.

კალიფორნიის შტატის ქალაქ სან-რაფაელში შუაწონოსანმა **დავით ტაბატაძემ** 4-რაუნდიანი ორთაბრძოლა მოუგო 25 წლის ამერიკელ **ენრიკე გუტიერესს**. ტაბატაძე 24 წლისაა, ეს მისი მესამე მატჩი იყო კარიერაში და მან მესამე გამარჯვება მიითვალა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

## გამოიწერეთ ლელო

ნებისმიერი ნომრიდან და მიიღეთ თქვენთვის სასურველ მისამართზე ფასნამატის გარეშე!

3 თვით - 39 ლარი
6 თვით - 78 ლარი
1 წლით - 156 ლარი

„ელვა ჯი"
www.elva.ge
tel: 38 26 73, 38 26 74
fax: 38 08 63

## სპორტული ფედერაციების, ორგანიზაციების და კლუბების საყურადღებოდ!

„ლელო" ქართული სპორტის მემატიანეა, მაგრამ თქვენ ამიერიდან შესაძლებლობა გეძლევათ, სპეციალური გვერდების მომზადებით, მომავალს უფრო ვრცლად შემოუნახოთ თქვენი საქმიანობის დღევანდელობა და წინსვლა, ქართული სპორტის განვითარებაში შეტანილი წვლილი.

დაწვრილებითი ცნობებისთვის ისარგებლეთ ჩვენი გაზეთის მე-2 გვერდზე საცნობარო ბლოკში მითითებული კავშირის ნებისმიერი საშუალებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩოგბურთი

# მეხუთე დიდი სლემი

სერბი **ნოვაკ ჯოკოვიჩი** სეზონის პირველ ნაწილში შარშან მოპოვებული ტიტულების დაცვით არის დაკავებული. პირველი ცდა - ავსტრალიის ღია პირველობის მოგება მას არ გამოუვიდა. გუშინ დაიწყო ინდიან უელსის ტურნირი, რომელსაც „დიდი სლემის“ არაოფიციალურ მეხუთე ჩემპიონატსაც უწოდებენ. სწორედ აქ შეეცდება ნოვაკი პასუხი გასცეს შეკითხვას - შეუძლია თუ არა სტაბილური გამოსვლა, თუ შარშანდელი წარმატებული სეზონი ერთჯერადი ტრიუმფი იყო?

მოქმედი ჩემპიონი ინდიან უელსში მესამე ნომრად არის განთესილი და მეორე წრიდან ჩაებმება ბრძოლაში. ამ ეტაპზე მისი სავარაუდო მეტოქე არგენტინელი **მარტინ ვასალო-არგელო** უნდა იყოს. თუ ყველაფერი პროგნოზის მიხედვით წარიმართა, მესამე წრეში მას გერმანელი **რაინერ შუტლერი** შეხვდება. სერბს, ალბათ, სერიოზულად აქვს განზრახული ტიტულისთვის ბრძოლა, შესაბამისად, ეს პირველი ორი შეხვედრა მისთვის პრობლემა არ უნდა იყოს. შემდეგ კი ფინალისკენ მიმავალი გზა უფრო გართულდება. მეოთხე წრეში ნოვაკს **სტანისლას ვავრინკასთან** ან **რადეკ შტეპანეკთან** ბრძოლა მოუწევს. მეოთხედფინალში მოსახვედრად სერბს აგრეთვე წინააღმდეგობას გაუწევენ **დავიდ ფერერი** (12) და **ენდი როდიკი** (7). დევისის თასის ამასწინდელ მატჩებში ორივემ ბრწყინვალე ფორმა გამოავლინა, როდიკი კი საერთოდ, კარიერაში საუკეთესო ჩოგბურთს აჩვენებს. ტურნირის ბადის ამ ნაწილში ჯოკოვიჩს, შესაძლოა, პრობლემები შეუქმნას შარშანდელ ფინალში მისმა მეტოქემ - **მარდი ფიშმა.**

ტურნირის მთავარ ფავორიტად რაფაელ ნადალი მიიჩნევა. ამაზე არავინ დაობს. გასულ კვირას დევისის თასზე სერბების განადგურებით, მსოფლიოს პირველმა ჩოგანმა დაამტკიცა, რომ ბრწყინვალე ფორმაშია. ერთადერთი პრობლემა - თიხნარიდან ჰარდზე გადასვლაა, მაგრამ პირველ ორ წრეში ესპანელს იოლი მეტოქეები ელის და რაფა სწორედ იქ გაივლის აკლიმატიზაციას.

ნადალის ბადეში ორი უძლიერესი არგენტინელი - **დავიდ ნალბანდიანი** და **ხუან მარტინ დელ პოტრო** არიან. მათ დევისის თასზე არ უთამაშიათ და მეტი დრო ჰქონდათ ინდიან უელსის ჰარდისთვის შესაგუებლად. დელ პოტრომ ბოლო თვე სპეციალურად ამ ტურნირისთვის მზადებას მიუძღვნა, ნალბანდიანს კი ახალი მწვრთნელი ჰყავს - **ლუის ლობო.** სავარაუდო მეოთხედფინალი - ნადალი-დელ პოტრო უფრო მიმზიდველი ჩანს, ვიდრე ნადალი-**მონფილსი.** თუმცა ამ უკანასკნელს წელს ერთხელ დამარცხებული ჰყავს ესპანელი.



ამ რამდენიმე დღის წინ გავრცელდა ცნობა იმის შესახებ, რომ **როჯერ ფედერერს** პირად მწვრთნელად ცნობილი სპეციალისტი **დარენ კეიჰილი** აჰყავდა, მაგრამ გარიგება არ შედგა. დარენმა არ მოისურვა წელიწადში რვა თვე ოჯახს მოწყვეტა და ფედერერთან ერთად მოგზაურობა. ფედერერის ბადეში ბევრი ისეთი მოთამაშეა, რომლებსაც წელს ტრავმებისკენ აქვთ მიდრეკილება. იმავე როჯერს, **გონსალესს, ვერდასკოს, დავიდენკოს** ამ სეზონში უკვე მოუწიათ სამკურნალო ციკლის ჩატარებამ. თავის მხრივ, ბადის ეს ნაწილი საკმაოდ ძლიერიცაა. აქ ფედერერი 2003 წლიდან მოყოლებული პირველად არ უდგას სათავეში განთესილთა სიას, 1999 წლის შემდეგ პირველად განთესვის ნომერი არ მიუღია **ლეიტონ ჰიუიტს.**

ხორვატი **ივო კარლოვიჩი** უნდა გახდეს როჯერის პირველი სერიოზული გამომცდელი. მას მოჰყვებიან **ჯეიმს ბლეიკი** ან ფერნანდო გონსალესი.

**ენდი მიურეი** (4) ბოლო მომენტამდე თავს იკავებდა ინდიან უელსში გამგზავრებაზე. ვირუსულმა ინფექციამ ეს ჩოგბურთელი დუბაის ტურნირის მთავარი პრიზის მაძიებელთა რიცხვს ჩამოაცილა, შემდეგ კი უკრაინასთან დევისის თასის მატჩიც გამოატოვებინა, რომელშიც ბრიტანელები სამარცხვინოდ დამარცხდნენ.

იმისთვის, რომ მიურეი მეოთხედფინალში **ჟილ სიმონს** შეხვდეს, ამისთვის **პოლ-ანრი მატიოს, მარინ ჩილიჩისა** და **ტომი რობრედოს** ბარიერი უნდა გადალახოს. სიმონს რაც შეეხება, მას ჩეხეთთან დევისის თასის მატჩში შელახული პრესტიჟის აღდგენა მოუწევს.

სიმონის გარდა, მეოთხედფინალში ენდის შეიძლება **ჟო-ვილფრიდ ცონგა** ან **მარიო ანჩიჩი** შეხვდეს. წესით, ენდის სიმონთან შეხვედრა უნდა ერჩივნოს, რადგან მასთან მიჰყავს პირადი ანგარიში - 3:1, ცონგასთან და ანჩიჩითან კი აგებს - 1:3 და 2:3.

მოკლედ, წინ ძალიან საინტერესო ტურნირი გველის. ინდიან უელსში ტოპ-50-ის 48 და ტოპ-20-ის ყველა მოთამაშე შეიკრიბა. ტყუილად კი არ ეძახიან ამ ტურნირს „დიდი სლემის“ მეხუთე ჩემპიონატს.

**გია თვალაბეიშვილი**

**BNP Paribas Open**

ინდიან უელსი, აშშ

11-22 მარტი, 2009

ჰარდი. საპრიზო ფონდი: 4 500 000 დოლარი

BNP PARIBAS OPEN

| 1/64 | 1/32 | 1/16 | 1/8 | 1/4 | 1/2 |
|---|---|---|---|---|---|
| ნადალი (ესპ, 1) | ნადალი (ესპ, 1) | | | | |
| ანდერსონი (ს. აფრ) | | | | | |
| ბერერი (გერ) | | | | | |
| რასელი (აშშ) | | | | | |
| გარსია ლოპესი (ესპ) | ტურსუნოვი (რუს, 26) | | | | |
| ტურსუნოვი (რუს, 26) | | | | | |
| ბერდიხი (ჩეხ, 21) | ბერდიხი (ჩეხ, 21) | | | | |
| იუჟნი (რუს) | | | | | |
| ტროიცკი (სერ) | | | | | |
| ფაუ (გერ) | | | | | |
| კენდრიკი (აშშ) | ნალბანდიანი (არგ, 14) | | | | |
| ნალბანდიანი (არგ, 14) | | | | | |
| მონფილსი (საფ, 9) | მონფილსი (საფ, 9) | | | | |
| ისნერი (აშშ) | | | | | |
| კ. როხუსი (ბელ) | | | | | |
| მასუ (ჩილ) | | | | | |
| შვანკი (არგ) | საფინი (რუს, 24) | | | | |
| საფინი (რუს, 24) | | | | | |
| მელცერი (ავსტრია, 30) | მელცერი (ავსტრია, 30) | | | | |
| დენტი (აშშ) | | | | | |
| ჟუნკეირა (არგ) | | | | | |
| ოდესნიკი (აშშ) | | | | | |
| სვიტინგი (აშშ) | დელ პოტრო (არგ, 6) | | | | |
| დელ პოტრო (არგ, 6) | | | | | |
| ჯოკოვიჩი (სერ, 3) | ჯოკოვიჩი (სერ, 3) | | | | |
| ვასალო არგელო (არგ) | | | | | |
| დე ვოესტი (ს. აფრკ) | | | | | |
| ერნანდესი (ესპ) | | | | | |
| ჰაასი (გერ) | შუტლერი (გერ, 29) | | | | |
| შუტლერი (გერ, 29) | | | | | |
| შტეპანეკი (ჩეხ, 18) | შტეპანეკი (ჩეხ, 18) | | | | |
| კუერი (აშშ) | | | | | |
| კანიასი (არგ) | | | | | |
| ჩელა (არგ) | | | | | |
| სეპი (იტა) | ვავრინკა (შვეიც, 16) | | | | |
| ვავრინკა (შვეიც, 16) | | | | | |
| ფერერი (ესპ, 12) | ფერერი (ესპ, 12) | | | | |
| უიდომი (აშშ) | | | | | |
| ნავარო (ესპ) | | | | | |
| ჰანესკუ (რუმ) | | | | | |
| შარდი (საფ) | ფიში (აშშ, 20) | | | | |
| ფიში (აშშ, 20) | | | | | |
| კიფერი (გერ, 31) | კიფერი (გერ, 31) | | | | |
| რეინოლდსი (აშშ) | | | | | |
| ფონინი (იტა) | | | | | |
| კოლერერი (ავსტრია) | | | | | |
| ზვერევი (გერ) | როდიკი (აშშ, 7) | | | | |
| როდიკი (აშშ, 7) | | | | | |

| 1/2 | 1/4 | 1/8 | 1/16 | 1/32 | 1/64 |
|---|---|---|---|---|---|
| | | | | სიმონი (საფ, 8) | სიმონი (საფ, 8) |
| | | | | | ლუ (ტაივ) |
| | | | | | ლამერი (შვეიც) |
| | | | | | ლუბიჩიჩი (ხორ) |
| | | | | ანჩიჩი (ხორ, 28) | ნიშიკორი (იაპ) |
| | | | | | ანჩიჩი (ხორ, 28) |
| | | | | ანდრეევი (რუს, 22) | ანდრეევი (რუს, 22) |
| | | | | | კიმი (აშშ) |
| | | | | | გულბისი (ლატ) |
| | | | | | გაბაშვილი (რუს) |
| | | | | ცონგა (საფ, 11) | აკასუსო (არგ) |
| | | | | | ცონგა (საფ, 11) |
| | | | | რობრედო (ესპ, 15) | რობრედო (ესპ, 15) |
| | | | | | სპეიდი (აშშ) |
| | | | | | კუნიცინი (რუს) |
| | | | | | დარცისი (ბელ) |
| | | | | ჩილიჩი (ხორ, 19) | გრანოლერსი (ესრ) |
| | | | | | ჩილიჩი (ხორ, 19) |
| | | | | მატიო (საფ, 32) | მატიო (საფ, 32) |
| | | | | | სტარაჩე (იტა) |
| | | | | | გრემელმაიერი (გერ) |
| | | | | | მონტანიესი (ესპ) |
| | | | | მიურეი (ბრიტ, 4) | სერა (საფ) |
| | | | | | მიურეი (ბრიტ, 4) |
| | | | | დავიდენკო (რუს, 5) | დავიდენკო (რუს, 5) |
| | | | | | ბენეტო (საფ) |
| | | | | | კოლშრაიბერი (გერ) |
| | | | | | ლაპენტი (ეკვ) |
| | | | | სიოდერლინგი (შვე, 25) | ხირალდო (კოლ) |
| | | | | | სიოდერლინგი (შვე, 25) |
| | | | | გასკე (საფ, 23) | გასკე (საფ, 23) |
| | | | | | ფ. ლოპესი (ესპ) |
| | | | | | ლორდა (საფ) |
| | | | | | ბელუჩი (ბრა) |
| | | | | ვერდასკო (ესპ, 10) | ტიპსარევიჩი (სერ) |
| | | | | | ვერდასკო (ესპ, 10) |
| | | | | ბლეიკი (აშშ, 13) | ბლეიკი (აშშ, 13) |
| | | | | | დევილდერი (საფ) |
| | | | | | ნიემინენი (ფინ) |
| | | | | | ჰიუიტი (ავსტრა) |
| | | | | გონსალესი (ჩილ, 17) | ჰერნიხი (ჩეხ) |
| | | | | | გონსალესი (ჩილ, 17) |
| | | | | კარლოვიჩი (ხორ, 27 | კარლოვიჩი (ხორ, 27) |
| | | | | | სტახოვსკი (უკრ) |
| | | | | | ევანსი (აშშ) |
| | | | | | ჟიკელი (საფ) |
| | | | | ფედერერი (შვეიც, 2) | ბოლელი (იტა) |
| | | | | | ფედერერი (შვეიც, 2) |

# უცხოური სპორტი

## ფეხბურთი. უეფას თასი. 1/16 ფინალი. I მატჩები

### ცსკა-შახტარი 1:0

**ცსკა:** აკინფეევი - ა. ბერეზუცკი, ვ. ბერეზუცკი, იგნაშევიჩი, შენიკოვი - კრასიჩი (89. კალუდა), შემბერასი, რაჰიმიჩი (46. მამაევი), ჟირკოვი (70. ჩანერ ერქინი) - ძაგოევი - ვაგნერ ლავი.

**შახტარი:** პრატოვი - სრნა, ჩიგრინსკი, იშჩენკო, რატი - დულიაი, ჰუბშმანი - ილსინიო (67. ვილიანი), ჟადსონი (85. გაი), ფერნანდინიო - ლუის ადრიანო (72. მარსელო მორენო).

**გოლი:** 1:0 ვაგნერ ლავი (50-პენ)

**გაფრთხილება:** 3-3; **დარტყმა:** 6(2)-12(4); **კუთხური:** 3-5; **თამაშგარე:** 1-2; **ჯარიმა:** 13-15; **ბურთის ფლობა:** 51%-49%

**მაყურებელი:** 19 700

### დინამო (კ)-მეტალისტი 1:0

**დინამო:** ბოგუში - ბეტაო, მიხალიკი, საბლიჩი, ნინკოვიჩი (90+2. გიოანე) - კორეა, ვუკოევიჩი, ალიევი, რ. ერიომენკო - კრავეცი (85. გუსევი), მილევსკი.

**მეტალისტი:** გორიაინოვი - ობრადოვიჩი, გეიე, მაიდანა, განკარჩიკი - ედმარი, სლიუსარი, ვალიაიევი, ასეევდუ (46. ბერეზოვჩუკი) - ოლეინიკი (60. დევიჩი) - ჟაჟა.

**გოლი:** 1:0 ვუკოევიჩი (54)

**გაფრთხილება:** 1-6; **დარტყმა:** 15(8)-4(2); **კუთხური:** 10-1; **თამაშგარე:** 0-1; **ჯარიმა:** 10-17; **ბურთის ფლობა:** 58%-42%

**მაყურებელი:** 17 800

### ჰამბურგი-გალათასარაი 1:1

**ჰამბურგი:** როსტი - ბენჯამინი, ჯ. ბოატენგი, მატიისენი, აოგო (71. ოლიჩი) - იაროლიმი, ალექს სილვა (84. პიტროიპა) - ტორხოვსკი, იანსენი - პეტრიჩი, გერერო.

**გალათასარაი:** დე სანქტისი - საბრი სარიოგლუ, ემრე აშიქი, ჰაქან ბალთა, ვოლქან იამანი - ბარიშ ოზბექი, აიჰან აქმანი, ლინკოლნი (59. გიუვენი), არდა თურანი (83. ჰასან შაში) კიუელი, ნონდა (74. უმით ქარანი).

**გოლები:** 0:1 აიჰან აქმანი (32), 1:1 იანსენი (49)

**გაძევება:** ემრე აშიქი (53. გალათასარაი)

**გაფრთხილება:** 4-3; **დარტყმა:** 16(8)-2(1); **კუთხური:** 8-0; **თამაშგარე:** 0-2; **ჯარიმა:** 14-9; **ბურთის ფლობა:** 56%-44%

**მაყურებელი:** 52 000

### პსჟ-ბრაგა 0:0

**პსჟ:** ედელი - სეარა, ტრაორე, ზ. კამარა, არმანი - მაკელელე (59. ჟიოლი), კლემანი - სესენონი, შანტომი (69. კეჟმანი), როტენი - ლუინდულა (59. ოარაუ).

**ბრაგა:** ედუარდო - როდრიგესი, ევალდო, ანდრე ლეონე, ჟოაო პერეირა - სესარ პეიშოტო (58. სტელვიო) - ლუიშ აგიარი, ვანდინიო, ჟორჟინიო (70. პაულო სეზარი) - რენტერია (84. მარსიო მოსორო), ალანი.

**გაფრთხილება:** 1-0; **დარტყმა:** 10(7)-3(0); **კუთხური:** 5-1; **თამაშგარე:** 3-1; **ჯარიმა:** 8-9 **ბურთის ფლობა:** 50%-50%

**მაყურებელი:** 35 000

### ვერდერი-სტ. ეტიენი 1:0

**ვერდერი:** ვიზე - ბოონიში, ბაუმანი, ნალდო, პასანენი - ფრინგსი - დ. იენსენი (13. ჰუნტი), ციოლისი - დიეგო - პისარო, უგო ალმეიდა (59. როზენბერგი).

**სტ. ეტიენი:** ჟანო - ვარო, ბენალუანი, სოგე, დაბო (46. მატუიდი) - ოტკოერი, დერნისი (84. პეიე), პაულუ მაშადო (72. რივიერი), ბეიალ სალი - მირალა, გომისი.

**გოლი:** 1:0 ნალდო (20)

**გაფრთხილება:** 1-3; **დარტყმა:** 19(8)-9(4); **კუთხური:** 5-2; **თამაშგარე:** 0-7; **ჯარიმა:** 16-17; **ბურთის ფლობა:** 50%-50%

**მაყურებელი:** 34 000

### მანჩესტერ სიტი-ოლბორგი 2:0

**მანჩესტერ სიტი:** გივენი - რიჩარდსი, ონუოჰა, დანი, ბრიჯი - რაიტ-ფილიპსი (87. ეტუჰუ), საბალეტა, ირლანდი, ელანო - რობინიო - კაისედო (63. ევანსი).

**ოლბორგი:** ზაზა - ბოგელუნდი, ბოშამი, პ. კრისტენსენი, მ. იაკობსენი (86. ლ. ნილსენი) - აუგუსტინუსენი - კაკა, იოჰანსონი, ენევოლდსენი (76. რისგაარდი), დუე (76. კურტი) - შელტონი.

**გოლები:** 1:0 კაისედო (8), 2:0 რაიტ-ფილიპსი (30)

**გაფრთხილება:** 0-2; **დარტყმა:** 13(6)-10(1); **კუთხური:** 7-6; **თამაშგარე:** 4-0; **ჯარიმა:** 16-16; **ბურთის ფლობა:** 57%-43%

**მაყურებელი:** 43 000

### მარსელი-აიაქსი 2:1

**მარსელი:** მანდანდა - ბონარი, სიველი, ტაივო, ჰილტონი - ბენ. შეირუ, კანა (46. მ'ბამი), ვალბუენა - ბ. კონე (75. სამასა), ნიანგი, ბენ არფა (67. ზენდენი).

**აიაქსი:** ვერმეერი - ალდერვეირელდი, ვან დერ ვილი, ოლეგერი, ემანუელსონი (43. სილვა) - ვერმაელენი, ლინდგრენი (22. შილდერი), ენო - აისატი. სუარაესი (83. ლეონარდო), სულეიმანი.

**გოლები:** 1:0 ბენ. შეირუ (18), 2:0 ნიანგი (33), 2:1 სუარესი (36-პენ)

**გაძევება:** ვან დერ ვილი (42. აიაქსი)

**გაფრთხილება:** 3-2; **დარტყმა:** 8(5)-6(3); **კუთხური:** 5-2; **თამაშგარე:** 2-0; **ჯარიმა:** 3-7; **ბურთის ფლობა:** 57%-43%

**მაყურებელი:** 35 000

### უდინეზე-ზენიტი 2:0

**უდინეზე:** ჰანდაროვიჩი - საპატა, ა. კოდა (84. ფელიპე), დომიცი, პასკუალე - ინლერი (80. ობოდო), გ. დ'აგოტინო, ასამოა - პეპე (88. მაურისიო ისლა), კვალიარელა, დი ნატალე.

**ზენიტი:** მალაფეევი - ანიუკოვი, შიროკოვი, კრიჟანაცი, შირლი - დენისოვი, ტიმოშჩუკი, ზირიანოვი (86. იონოვი)- დანი, ჰუშტი (62. სემშოვი), პოგრებნიაკი (63. ფათიჰ თექე).

**გოლი:** 1:0 კვალიარელა (85). 2:0 დი ნატალე (90+7-პენ)

**გაფრთხილება:** 4-5; **დარტყმა:** 16(7)-7(5); **კუთხური:** 6-5; **თამაშგარე:** 2-1; **ჯარიმა:** 2-4; **ბურთის ფლობა:** 51%-49%

**მაყურებელი:** 20 000



## კალათბურთი

### NBA რეგულარული ჩემპიონატი

### ატლანტა-იუტა 100:93

25:18, 30:24, 18:33, 27:18

ა: ჯო ჯონსონი (31+9 პასი), ჯ. სმიტი (22+12 მოხსნა+3 დაფარება), მიურეი (16), ჰორფორდი (13+12 მოხსნა+3 დაფარება).

ი: დ. უილიამსი (20+9 პასი), მილსეპი (16+9 მოხსნა), ოქური (14+10 მოხსნა), რ. ბრიუერი (14), ბუზერი (13+8 მოხსნა).

### ორლანდო-ჩიკაგო 107:79

26:13, 20:23, 39:17, 22:26

ო: ბეტი (18+8 მოხსნა), დ. ჰოვარდი (15+9 მოხსნა+3 დაფარება), კ. ლი (14), გორტატი (13+15 მოხსნა), რედიკი (13), ელსტონი (10+6 პასი+3 ჩაჭრა).

ჩ: სალმონსი (18+8 მოხსნა), ბ. მილერი (11).

### გ. სტეიტი-ნიუ ჯერსი 116:112

30:28, 23:39, 32:20, 31:25

გ-ს: ს. ჯექსონი (29+7 მოხსნა+7 პასი), ელისი (19+6 პასი), კროუფორდი (19), მაგეტი (18+7 მოხსნა), ბიედრინსი (10+13 მოხსნა).

ნ-ჯ: დ. ჰარისი (31+7 მოხსნა+12 პასი+3 ჩაჭრა), ვ. კარტერი (14), ბ. ლოპესი (14), ჰასელი (13), ბ. სიმონსი (10), დულინგი (10), ჰეიესი (10).

### ფილადელფია-ტორონტო 115:106

19:17, 37:22, 36:35, 23:32

ფ: ტ. იანგი (29), დალემბერი (19+13 მოხსნა+3 დაფარება), იგუოდალა (15+7 პასი), ლ. უილიამსი (13), სპეიტსი (13).

ტ: ბარნიანი (21), მერიონი (18), ბოში (17), კალდერონი (12+6 პასი), ე. პარკერი (12), უკიჩი (11).

### ვაშინგტონი-ნიუ ორლეან 98:109

28:22, 18:23, 22:40, 30:24

ვ: ჯეიმისონი (25+10 მოხსნა+3 ჩაჭრა), კ. ბატლერი (23+9 პასი), მ. ჯეიმსი (14), ნ. იანგი (14), სონგაილა (10).

ნ-ო: პოლი (30+10 მოხსნა+13 პასი+4 ჩაჭრა), რ. ბატლერი (21), პოუსი (15), დ. უესტი (13+9 მოხსნა), ტ. ჩენდლერი (11+10 მოხსნა+3 დაფარება).

### მაიამი-ბოსტონი 107:99

31:32, 19:23, 32:18, 25:26

მ: უეიდი (32+7 პასი+4 ჩაჭრა), მუნი (13+8 მოხსნა), ჯ. ო'ნილი (12+3 დაფარება), ჩალმერსი (10+7 პასი+4 ჩაჭრა), ჰასლემი (10), დ. კუკი (10).

ბ: რ. ალენი (27), პოუ (23+13 მოხსნა), პირსი (16), პერკინსი (13+8 მოხსნა+3 დაფარება), ჰაუსი (12).

### დენვერი-ოკლაჰომა 112:96

31:19, 22:25, 30:26, 29:26

დ: კ. ენტონი (22+3 ჩაჭრა), კლეიზა (20), ბილაპსი (17+9 პასი), ბელკმენი (14+14 მოხსნა), ნენე (12), სმიტი (11), კ. ანდერსენი (10+4 დაფარება), ე. კარტერი (6+12 პასი).

ო: ჯ. გრინი (19+7 მოხსნა), ე. უოტსონი (18+7 პასი), სეფოლოშა (14+9 მოხსნა), უესტბრუკი (13), მ. როუზი (10), რ. სვიფტი (10).

### დეტროიტი-ნ. იორკი 111:116 (ო)

28:28, 28:20, 25:23, 20:30, 10:15

დ: ჰემილტონი (27+9 მოხსნა), პრინსი (25+10 მოხსნა+3 დაფარება), სტაკი (23+8 მოხსნა+8 პასი), მაკდაესი (21+22 მოხსნა).

ნ-ი: რობინსონი(30+6 პასი), ჰიუზი (22), ჩენდლერი (17), დ. ლი (16+18 მოხსნა), ელ ჰარინგტონი (10).

### მინესოტა-მემფისი 104:79

35:14, 15:26, 23:21, 31:18

მინ: გომესი (25), ლავი (19+11 მოხსნა), მ. მილერი (18+11 მოხსნა), კ. სმიტი (13+8 მოხსნა), კარდინალი (11).

მემ: მაიო (18), კონლი (17), მ. გასოლი (14), გეი (12+7 მოხსნა), მილიჩიჩი (10+10 მოხსნა).

### ჰიუსტონი-ლეიკერსი 96:102

24:24, 27:16, 19:27, 26:35

ჰ: ვაფერი (20+3 ჩაჭრა), იაო მინი (16), სკოლა (15+9 მოხსნა), ბრუქსი (14), არტესტი (11+6 ჩაჭრა), ლენდრი (10+8 მოხსნა).

ლ: ბრაიანტი (37+6 პასი+4 ჩაჭრა), პ. გასოლი (20+4 ჩაჭრა), ჯ. პაუელი (17+9 მოხსნა).

### პორტლენდი-დალასი 89:93

25:24, 19:30, 23:20, 22:19

პ: ოლდრიჯი (23+11 მოხსნა), როი (22+6 პასი), აუთლო (20), ბლეიკი (13), პრჟიბილა (9+15 მოხსნა+5 დაფარება).

დ: ნოვიცკი (29+10 მოხსნა), ტერი (24), დამპიე (12+9 მოხსნა), ბასი (10), კიდი (7+10 მოხსნა+10 პასი).

## ცხელი ხაზი

| ფეხბურთი | |
|---|---|
| **ამხანაგური მატჩი** | |
| მექსიკა-ბოლივია | 5:1 |
| **კალათბურთი** | |
| **ევროლიგა** | |
| მაკაბი-ბარსელონა | 74:90 |
| მილანი-პროკომი | 72:96 |
| რეალი-ალბა | 83:82 |
| ტაუგრესი-ოლიმპიაკოსი | 80:88 |
| **გერმანია** | |
| კიოლნი-ტიუბინგენი | 67:85 |
| **ჰოკეი** | |
| **კჰლ** | |
| ატლანტი-მეტალურგი (მ) | 3:4 |
| ლოკომოტივი-სპარტაკი | 5:3 |
| **ავსტრია** | |
| ზალცბურგი-ვენა | 2:1 |
| ლინცი-კლაგენფიურტი | 3:5 |
| **ჩეხეთი** | |
| სლავია-ვიტკოვიცე | 5:3 |
| **შვედეთი** | |
| ლინჩეპინგი-აიკ | 4:0 |
| ფრიოლუნდა-ლულეო | 1:0 |
| ჰვ71-ტიმრა | 3:1 |
| **ჩოგბურთი** | |
| **ATP. ინდიან უელსი** | |
| კოლშრაიბერი-ბენეტო | 6:3, 6:2 |
| კუნიცინი-სპეიდი | 6:3, 6:4 |
| სერა-მონტენიესი | 3:6, 0:6 |
| **WTA. ინდიან უელსი** | |
| კირილენკო-გალოვიტცი | 6:3, 5:7, 5:7 |
| პავლიუჩენკოვა-დომახოვსკა | 6:1, 6:3 |
| იაკიმოვა-ლეპჩენკო | 6:4, 6:1 |
| კინგი-კნაპი | 2:6, 1:6 |
| მირზა-კორიტცევა | 2:6, 6:3, 6:2 |
| პაჩეკი-სანტანჯელო | 6:3, 6:2 |
| რიბარიკოვა-ვიკმაიერი | 3:6, 2:6 |
| დუშევინა-მარტიჩი | 6:4, 6:3 |
| ჩეტკოვსკა-ფორეტცი | 6:2, 7:5 |
| სტრიუკოვა-ლაგოსტერა | 6:7, 6:7 |

## TV პროგრამა

### 13 მარტი. პარასკევი

#### HTB-პლუსი (ფეხბურთი)

**08:40** 2:1 - საფეხბურთო ტოქ-შოუ.
**09:40** 90 წუთი - საფეხბურთო ტოქ-შოუ.
**11:15** გასული კვირის ჰიტ-ალლუმი. საფრანგეთის ჩემპიონატი. ლილი-ლიონი.
**13:00** თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
**13:20** უიქ ენდის მატჩების ანონსი.
**13:30** გასული კვირის ჰიტ-ალლუმი. ჰოლანდიის ჩემპიონატი. ტვენტე-პსვ.
**15:20** ჩემპიონთა ლიგა. 1/8 ფინალი. საპასუხო მატჩები. მიმოხილვა.
**17:35** თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
**17:50** 2:1 - საფეხბურთო ტოქ-შოუ.
**18:50** გასული კვირის ჰიტ-ალლუმი. საფრანგეთის ჩემპიონატი. ტულუზა-ბორდო.
**20:40** სასტვენი.
**21:10** თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
**21:30** FUTBOL MUNDIAL - საერთაშორისო ტელეჟურნალი.
**22:00** საფეხბურთო კლუბი.
**22:55** ინგლისის ჩემპიონატი. ტურის წინ.
**23:25** გერმანიის ჩემპიონატი. ვოლფსბურგი-შალკე (LIVE).
**01:25** თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
**01:40** FUTBOL MUNDIAL - საერთაშორისო ტელეჟურნალი.
**02:10** საფეხბურთო კლუბი.
**03:00** ინგლისის ჩემპიონატი. ტურის წინ.
**03:30** გერმანიის ჩემპიონატი. ვოლფსბურგი-შალკე.
**05:15** ჩემპიონთა ლიგა. 1/8 ფინალი. საპასუხო მატჩი. პორტუ-ატლეტიკო.

#### EUROSPORT

**11:30** სამთო-სათხილამურო სპორტი. მსოფლიოს თასი. სუპერგიგანტი. ქალები. არე. შვედეთი.
**12:00** სამთო-სათხილამურო სპორტი. მსოფლიოს თასი. სლალომი. I ცდა. ქალები. არე. შვედეთი (LIVE).
**12:45** სამთო-სათხილამურო სპორტი. მსოფლიოს თასი. გიგანტური სლალომი. I ცდა. კაცები. არე. შვედეთი (LIVE).
**13:45** ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიოს თასი. HS138. კვალიფიკაცია. ლილეჰამერი. ნორვეგია.
**14:30** სამთო-სათხილამურო სპორტი. მსოფლიოს თასი. სლალომი. II ცდა. ქალები. არე. შვედეთი (LIVE).
**15:15** სამთო-სათხილამურო სპორტი. მსოფლიოს თასი. გიგანტური სლალომი. II ცდა. კაცები. არე. შვედეთი (LIVE).
**16:15** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 1/8 ფინალი. საპასუხო მატჩები. მიმოხილვა.
**17:30** ველოსპორტი. პარიზი-ნიცა. VI ეტაპი (LIVE).
**19:30** ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიოს თასი. HS138. ლილეჰამერი. ნორვეგია (LIVE).
**21:15** ბიატლონი. მსოფლიოს თასი. სპრინტი. ქალები. ვანკუვერი. კანადა (LIVE).
**22:45** ევროგოლი - საფეხბურთო მიმოხილვა.
**23:00** ციგურებით სირბილი. მსოფლიოს ჩემპიონატი. II დღე. ვანკუვერი. კანადა (LIVE).
**01:00** ბიატლონი. მსოფლიოს თასი. სპრინტი. კაცები. ვანკუვერი. კანადა (LIVE).
**02:30** ექსტრემალური სპორტი.
**02:45** ველოსპორტი. ტირენა ადრიატიკო. III ეტაპი.
**03:30** თავგადასავალი. ტელეჟურნალი.
**22:30** რალი. მსოფლიოს ჩემპიონატი. კვიპროსი. I დღე.

#### EUROSPORT-2

**10:30** ახალი ამბები.
**13:00** ფეხბურთი. უეფა თასი. 1/8 ფინალი. პირველი მატჩები.
**14:00** ახალი ამბები.
**14:00** ფეხბურთი. იაპონიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
**14:30** სნოუბორდი. მსოფლიოს თასი. ესპანეთი (LIVE).
**16:15** ახალი ამბები.
**17:00** ფეხბურთი. უეფა თასი. 1/8 ფინალი. პირველი მატჩები.
**17:30** ბილიარდი.
**18:45** ფეხბურთი. უეფა თასი. 1/8 ფინალი. პირველი მატჩები.
**19:45** ახალი ამბები.
**20:00** ბილიარდი.
**22:00** ფეხბურთი. იაპონიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
**22:30** ახალი ამბები.
**23:00** კალათბურთი. ევროლიგა. ტელეჟურნალი.
**23:30** რაგბი. საფრანგეთის ჩემპიონატი. TOP14. XX ტური. მონტობანი-სტად ფრანსე (LIVE).
**01:15** ბილიარდი.
**03:15** ახალი ამბები.

## ჰოკეი

### NHL. რეგულარული ჩემპიონატი

### ოტავა-ტამპა ბეი 3:2 (ო)

1:1, 1:1, 0:0, 1:0

**გოლები:** 0:1 კ. მერფი-4 (ლეკავალიე-35, მენტ ლუისი-42), 1:1 შენონი-4 (სპეცა-32, ალფრედსონი-40), 2:1 კელი-9 (ალფრედსონი-41, ფილიპსი-1), 2:2 ჰოლი-5 (არტიუხინი-10, კრაიჩეკი-11), 3:2 ფიშერი-11 (ფილიპსი-12, ვოლჩენკოვი-5).

### ჩიკაგო-კაროლინა 3:2 (ბ)

0:1, 1:0, 1:1, 0:0

**გოლები:** 0:1 ბრინდამორი-11 (სამსონოვი-28, ივსი-8), 1:1 ვერსტეეგი-18 (კეიტი-26), 2:1 ბროუერი-10 (კეინი-38, ბარკერი-29), 2:2 ტ. რუუტუ-21 (რეი უიტნი-38, ე. სტაალი-27).

**ბულიტები გაიტანეს:** ტეუვზი (ჩიკაგო), ტ. რუუტუ (კაროლინა), კეინი (ჩიკაგო), ი. იოკინენი (კაროლინა), ვერსტეეგი (ჩიკაგო).

### ანაჰაიმი-ვანკუვერი 4:3 (ო)

1:0, 2:2, 0:1, 1:0

**გოლები:** 1:0 სელიანე-21, 2:0 გეტცლაფი-21 (კრისტენსენი-15, რაიან უიტნი-13), 2:1 ბაროუზი-20 (ბიეკსა-25, დ. სედინი-39), 2:2 უელვუდი-15 (დემიტრა-24, უ. მიტჩელი-17), 3:2 ნოკელაინენი-1 (კრისტენსენი-16, რაიან უიტნი-14), 3:3 კესლერი-20 (სუნდინი-1(, დემიტრა-25), 4:3 ს. ნიდერმაიერი-11 (პრონგერი-30, მარჩანტი-9).

ეროვნული ბიბლიოთეკა

უცხოური სპორტი

კრივი

# ტაისონი სამსახურს ეძებს

ფინანსურ კრიზისში მყოფმა **მაიკ ტაისონმა** ცნობილ მწვრთნელ **ფრედი როუჩს** თხოვნით მიმართა - ლეგენდარულ მოკრივეს სურს ფრედის საკრივო დარბაზში იმუშაოს და აგრეთვე, **მენი პაკიაოს** საწვრთნელ შტაბში ჩაირიცხოს. როგორც ცნობილია, ფილიპინელი მოკრივე ამჟამად ბრიტანელ **რიკი ჰატონთან** ბრძოლისთვის ემზადება.

მაგრამ როუჩმა თავისი საკრივო დარბაზისთვის უკვე მონახა ახალი მწვრთნელი. ეს გახლავთ სუპერმძიმე წონაში მსოფლიოს ყოფილი ჩემპიონი **მაიკლ მურერი**. რაც შეეხება მაიკ ტაისონს, ფილიპინელის ბანაკში მასაც სიხარულით ელიან, მაგრამ მის სამწვრთნელო თვისებებში ცოტათი ეჭვი ეპარებათ.

*„მაიკი კარგი ბიჭია, ის მე ძალიან დიდ პატივს მცემს თუმცა ეჭვი მეპარება, მას საკმარისი მოთმინება ჰქონდა იმისთვის, რათა მწვრთნელად იმუშაოს. სამწუხაროდ, დღეისთვის მაიკის საქმეები არც ისე კარგად მიდის. გავიგეთ, რომ თურმე სამუშაოს ეძებს. სხვათა შორის, ტაისონი ეხმარებოდა მენის ოსკარ დე ლა ჰოიასთან ბრძოლის წინა დღეს. მან ურჩია პაკიაოს დისტანცია დაეჭირა, რადგან ოსკარს გაცილებით გრძელი ხელები ჰქონდა. ეს ძალიან სასარგებლო რჩევა იყო. ტაისონის დიდი გულშემატკივარი ვარ“*, - ამბობს როუჩი.



ფორმულა 1

# ფრანგები ტრასას ააშენებენ



გასულ წლის ოქტომბერში, საფრანგეთის ავტოსპორტის ფედერაციამ გააუქმა მანიკურის გრანპრი და საფრანგეთი ფორმულა 1-ის ეტაპის გარეშე დარჩა. მაშინვე დაიწყო ლაპარაკი იმის შესახებ, რომ აუცილებელი იყო ახალი ტრასის აშენება, რომელიც ძირითადი ტურისტული ცენტრების ახლოს იქნებოდა განთავსებული. პრესაში მოხვდა დისნეილენდისა და ივლინის დეპარტამენტის პროექტების დეტალები, მაგრამ გუშინ ოფიციალურად გამოცხადდა, რომ მხარი დაუჭირეს ავტოდრომის პროექტს, რომელიც პარიზის ჩრდილო-აღმოსავლეთით, ფლინ-ლე მუროში აშენდება.

ტენდერი მოიგო ოთხ წარმოდგენილ პროექტს შორის ყველაზე იაფმა - მომავალი ტრასის ღირებულება 112 მილიონი ევრო იქნება.

4.5-კილომეტრიანი ტრასა ფრანგმა არქიტექტორმა **ჟან-მიშელ ვილმოტმა** შეიმუშავა, მშენებლობას კი ბრიტანული - Apex UK აიღებს საკუთარ თავზე. სხვათა შორის, ეს კომპანია დუბაის ტრასის მშენებლობაშიც მონაწილეობდა.

სამუშაოები 2011 წელს უნდა დასრულდეს, საფრანგეთის გრან პრის კალენდარში დაბრუნება კი **ბერნი ექლსტოუნთან** კონტრაქტის გაფორმებაზე იქნება დამოკიდებული.

ჩოგბურთი

# ფედერერი პრემიას უახლოვდება

მსოფლიოს მეორე ჩოგანი **როჯერ ფედერერი** ყველაზე მეტად იმსახურებს ასტურიის პრინცის პრემიას - ასეთი აზრი გამოთქვა ლონდონის 2012 წლის ოლიმპიადის საორგანიზაციო კომიტეტის პრეზიდენტმა, ლეგენდარულმა მძლეოსანმა **სებასტიან კოემ**.

ბრიტანელმა ათლეტმა ასტურიის პრინცის ფონდში სპეციალური წერილი გააგზავნა, რომელშიც წერია, რომ ფედერერის კანდიდატურას მხარს უჭერენ წინა წლებში ამ პრემიის ლაურეატები - ჩოგბურთელი **რაფაელ ნადალი**, ფორმულა 1-ის პილოტები - შვიდგზის ჩემპიონი **მიხაელ შუმახერი** და **ფერნანდო ალონსო**, კალათბურთელი **პაუ გასოლი**...

ასტურიის პრინცის პრემიას ესპანურენოვანი სამყაროს ნობელის პრემიასაც უწოდებენ. 1981 წლიდან მოყოლებული, ის რვა ნომინაციაში გადაეცემა შესაბამის ლაურეატებს. მაგალითად, ჰუმანიტარულ მოღვაწეობაში, სოციალურ მეცნიერებაში, ხელოვნებაში, ლიტერატურაში, მეცნიერულ-ტექნიკურ გამოკვლევაში, საერთაშორისო თანამშრომლობაში და ა. შ.

სპორტის სფეროში ზემოთ ჩამოთვლილი სპორტსმენების გარდა, ასტურიის პრემიის ლაურეატები არიან - ჩოგბურთელები **შტეფი გრაფი** და **არანჩა სანჩესი**, მძლეოსანი **სერგეი ბუბკა**, ველომრბოლი **ლენს არმსტრონგი**...



ჭადრაკი

# ანანადსა და ტოპალოვს თარიღი დაუდგინეს

გუშინ ცნობილი გახდა **ვიშვანათან ანანდსა** (ინდოეთი) და **ვესელინ ტოპალოვს** (ბულგარეთი) შორის საჩემპიონო მატჩის ჩატარების ვადები.

ჭადრაკის საერთაშორისო ფედერაციის საპრეზიდენტო საბჭომ გადაწყვიტა, რომ ეს მატჩი არაუგვიანეს 2010 წლის 20 აპრილს უნდა დაიწყოს.

საბჭოს სხდომა სტამბოლში გაიმართა და იქ კიდევ რამდენიმე მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება მიიღეს. მაგალითად, დამტკიცდა მომავალი საჩემპიონო ციკლის (2010-11) ჩატარების სისტემა.

პრეტენდენტთა ტურნირი 2010 წელს გერმანიის ქალაქ დრეზდენში გაიმართება. აქ გამარჯვებისთვის იბრძოლებენ: **გატა კამსკი** (აშშ), ანანდსა და ტოპალოვს შორის დამარცხებული, FIDE-ს გრანპრის ორი გამარჯვებული, მსოფლიოს თასის მფლობელი, რეიტინგის მიხედვით ორი საუკეთესო დიდოსტატი და ორგანიზატორთა არჩეული ერთი ნომინანტი. პრეტენდენტთა ტურნირის გამარჯვებული 2011 წელს საჭადრაკო გვირგვინისთვის მსოფლიოს ჩემპიონს შეხვდება.

სპეციალისტებმა ეს სისტემა მოიწონეს. პრაქტიკულად ყველას აქვს ჩემპიონობისთვის ბრძოლის შანსი: მათ, ვინც გრანპრიში ან მსოფლიოს თასზე მონაწილეობს და მათ, ვინც ტურნირებს იგებს და ამით რეიტინგს იმაღლებს.

სამთო-სათხილამურო სპორტი

# კაცებში ფავორიტი გამოიკვეთა

მსოფლიოს თასის ბოლო ეტაპის მეორე დღეს მოთხილამურეებმა პირველობა სუპერგიგანტში გაითამაშეს. გუშინდელ მიმოხილვაში ქალების ბრძოლაზე გავამახვილეთ ყურადღება, რადგან **ლინდსი ვონმა** პრაქტიკულად შეასრულა სეზონის მთავარი ამოცანა და მსოფლიოს თასის მფლობელი გახდა.

გაცილებით რთულად არის საქმე კაცებს შორის. აქ ბრძოლა ბოლო მომენტამდე იქნება, თუმცა შვედეთის კურორტ არეში გამართული ორი სტარტის შემდეგ, ერთი ფავორიტი გამოიკვეთა. სწრაფდაშვების მოგებისა და სუპერგიგანტში მეორე ადგილის დაკავების შემდეგ, კარიერაში მსოფლიოს თასის მეორედ მოგების კარგი შანსი მიიღო ნორვეგიელმა **აქსელ ლუნდ სვინდალმა.** მან 102 ქულით გაასწრო უახლოეს მდევარ **ბენიამინ რაიხს**, მაგრამ ეს ბევრს არაფერს ნიშნავს. სვინდალი სწრაფი დისციპლინების სპეციალისტია და აქ მან უკვე დაამტკიცა თავისი მაღალი კლასი. წინ კი გიგანტური სლალომი და სლალომია, სადაც ნორვეგიელი ვერ ბრწყინავს. ამიტომაც, მთავარი ბრძოლა ჯერ კიდევ წინ არის.

სხვათა შორის, ორი წლის წინ, სვინდალმა მსოფლიოს თასი სეზონის ბოლო რბოლაში, სლალომის დროს მოიპოვა, როცა მე-15 შივიდა ფინიშზე და საერთო ჩათვლაში გამარჯვებისთვის საჭირო ქულა მიითვალა. შესაძლოა, მოვლენები წელსაც ანალოგიური სცენარით განვითარდეს, მით უმეტეს, რომ რაიხი სწორედ სლალომების სპეციალისტად ითვლება.

სანამ ბროლის გლობუსისთვის ბრძოლა გადამწყვეტ ფაზაში შევა, სვინდალმა ერთი ტიტულის მოგება უკვე შეძლო. კერძოდ, მან ბროლის მცირე გლობუსი დაიმსახურა სუპერგიგანტში, რითაც ორი წლის წინანდელი შედეგი გაიმეორა.

*„ისე მოხდა, რომ სტარტის წინ, ფაქტობრივად, არ მიძინია - სიცხემ ამიწია. მიუხედავად ამისა, სტარტის გამოტოვება არც მიფიქრია. ტრასა, რაც შეიძლება სწრაფად უნდა დამეფარა, რადგან რაიხმა ძალიან კარგი დრო აჩვენა. დაველოდოთ სლალომს. არ მგონია, იქ კარგად გამოსვლა შევძლო“*, - განაცხადა ფინიშის შემდეგ სვინდალმა.

■ ■ ■

ორი სიტყვით ქალების სუპერგიგანტის შესახებ. ბრწყინვალე ფორმაში შეხვდა ბოლო ეტაპს ლინდსი ვონი. ამერიკელმა ზედიზედ მეორე ეტაპი მოიგო, რისი წყალობითაც მესამე ტიტული მიითვალა - კერძოდ, ვონმა სუპერგიგანტში მსოფლიოს თასი მოიგო.

**არე (შვედეთი)**

**სუპერგიგანტი. კაცები**

1. **ვერნერ ჰილი** (იტა) - 1:13.41; 2. **აქსელ ლუნდ სვინდალი** (ნორ) - 1:13.48; 3. **კრისტოფ ინერჰოფერი** (იტა) - 1:13.61; 4. **ბენჯამინ რაიხი** (ავსტრია) - 1:13.62; 5. **პეტერ ფილი** (იტა) - 1:14.15; 6. **კარლო იანკა** (შვეიც) - 1:14.20.

**საერთო ჩათვლა**

1. **აქსელ ლუნდ სვინდალი** (ნორ) - 1009; 2. **ბენიამინ რაიხი** (ავსტრია) - 907; 3. **დიდიე კუში** (შვეიც) - 859; 4. **ივიცა კოსტელიჩი** (ხორ) - 837; 5. **ჟან-ბაპტისტ გრანჟი** (საფ) - 777; 6. **დიდიე დეფაგო** (შვეიც) - 716.

**სუპერგიგანტი. ქალები**

1. **ლინდსი ვონი** (აშშ) - 1:20.63; 2. **ნადია ფანკინი** (იტა) - 1:20.71; 3. **მარია რიში** (გერ) - 1:20.87; 4. **რენატე გიოტშლი** (ავსტრია) - 1:21.27; 5. **ანია პერსონი** (შვედ) - 1:21.52; 6. **ანდრეა დეტლინგი** (შვეიც) - 1:21.62.

**საერთო ჩათვლა**

1. **ლინდსი ვონი** (აშშ) - 1688; 2. **მარია რიში** (გერ) - 1299; 3. **ანია პერსონი** (შვედ) - 990; 4. **კატრინ ცეტელი** (ავსტრია) - 985; 5. **ტანია პოუტიაინენი** (ფინ) - 802; 6. **ტინა მაზე** (სლოვენ) - 728.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**



